პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ხუთშაბათი, 24 იანვარი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 18 (2364)

დღიური

- კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულების მონაწილეთა პროცესი სტამბოლში.
- ზანგების აჯანყება ფრანგ იმპერიალისტების წინააღმდეგ.
- ლონდონში გაიმართა რემედასისა და იმპერიალიზმთან მებრძოლ ლიგის დემონსტრაცია.
- რუმინეთში ვითარდება მოძრაობა საბჭოთა კავშირის ამ ოქმის? პაქტის სასარგებლოდ.
- სამხრეთ-სლავიის მთავრობამ დაშალა პოლიტიკური ყველა პარტიები.
- ინგლის-ირაქის კონფლიქტი.
- ირაქის მთავრობა გადადგა.
- იტალიის პარლამენტის დათხოვნა.

საბჭოების გადარჩევის კამპანიასთან დაკავშირებით
თბილისის მე-9 პარტკონფერენცია
გადადებულია
და 28 იანვრის მაგივრად შესდგება 1929 წ. 18 თებერვალს.
თბ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

მთლად დაეცნენ

ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაციის უკანასკნელი ხნის მთელი მოქმედება გვიკარნახებს, რომ საჭიროა სავსებით გარკვეულად დაისვას ტროცკისტული ორგანიზაციის საკითხი. ამ ორგანიზაციის მოქმედება აიძულებს პარტიას და ხელისუფლებას პრინციპიალურად სხვაგვარად მოეპყრას ტროცკისტელებს და არა ისე, როგორც პარტია ეპყრობოდა მათ მე-15 ყრილობამდე.

ტროცკისტების აშკარა გამოსვლა ქუჩაში 1927 წლის 7 ნოემბერს, იყო გარდატეხის ის მომენტი, როცა ტროცკისტულმა ორგანიზაციამ გვიჩვენა, რომ იგი სწყვეტს კავშირს არა მარტო პარტიასთან, არამედ საბჭოთა რეჟიმთანაც. ამ გამოსვლას წინ უძღოდა მთელი რიგი ანტი-პარტიული და ანტი-საბჭოთა მოქმედებანი: სახელმწიფო შენობის (მოსკოვის უმაღლეს ტეხნიკური სასწავლებლის) ძალით ხელში ჩაგდება კრებისთვის, არალეგალური სტამბების მოწყობა და სხვა. მაგრამ პარტია მე-15 ყრილობამდე ტროცკისტული ორგანიზაციის მიმართ მაინც ისეთ ზომებს იღებდა, რომლებიც მოწმობდნენ, რომ პარტიას სურდა გაესწორებია ტროცკისტები, რომ მათ ეღიარებიათ თავიანთი შეცდომები, რომ ისინი დაბრუნებულიყვნენ პარტიული დისციპლინის გზაზე. რამდენიმე წლის განმავლობაში, დაწყებული 1923 წლის დისკუსიიდან, პარტია მოთმინებით ატარებდა ამ უმთავრესად იდეოლოგიური ბრძოლის ხაზს. მე-15 ყრილობამდეც კი ლაპარაკი იყო მხოლოდ ასეთ ზომებზე ტროცკისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი „ტაქტიკური ხასიათის უთანხმოებიდან გადავიდნენ საპროგრამო ხასიათის უთანხმოებაზე, შეუდგნენ ლენინის შეხედულებათა რევიზიას და დაექანენ მენშევიზმის პოზიციებისაკენ". (მე-15 ყრილობის რეზოლიუცია).

ერთმა წელმა, რომელმაც განვლო მე-15 ყრილობის შემდეგ, გვიჩვენა მე-15 ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა სისწორე, რომელთა მიხედვითაც პარტიიდან გამორიცხულ იქნენ ტროცკისტების აქტიური მუშაკები. 1928 წლის განმავლობაში ტროცკისტები ანტი-პარტიული არალეგალური ჯგუფიდან გადაიქცნენ არალეგალურ ანტი-საბჭოთა ორგანიზაციად. ამაშია ის ახალი რამ, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები 1928 წლის განმავლობაში აიძულა რეპრესიული ზომები მიეღოთ ამ არალეგალური ორგანიზაციის მოღვაწეთა წინააღმდეგ. პროლეტარული დიქტატურის ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ დაუშვან, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში არსებობდეს არალეგალური ანტი-საბჭოთა ორგანიზაცია, — თუნდაც უმნიშვნელო თავის წევრთა რიცხვით, — ორგანიზაცია, რომელსაც ექნება თავისი სტამბები, ეყოლება თავისი კომიტეტები, ორგანიზაცია, რომელიც ეცდება მოაწყოს ანტი-საბჭოთა გაფიცვები, მოამზადოს თავისი მომხრეები სამოქალაქო ომისთვის პროლეტარული დიქტატურის ორგანოების წინააღმდეგ. სწორედ აქამდე დაექანენ ტროცკისტები, ოდესღაც ყოფილი ფრაქცია პარტიის შიგნით, ფრაქცია, რომელიც ეხლა არალეგალურ, ანტი-საბჭოთა ორგანიზაციად გადაიქცა. ამიტომ, გასაგებია, რომ ანტი-საბჭოთა მენშევიკური ელემენტები, რომლებიც კი არსებობენ ჩვენს ქვეყანაში, თანაუგრძნობენ ტროცკისტებს და ეხლა მათ ირგვლივ ირაზმებიან.

ტროცკისტების ბრძოლას საკავშირო კომპარტიის (ბ) წინააღმდეგ თავისი ლოღიკა ჰქონდა და ამ ლოღიკამ ტროცკისტები ანტი-საბჭოთა ბანაკში მიიყვანა. ტროცკიმ დაიწყო იმით, რომ თავის თანამოაზრეებს 1928 წლის იანვარში ურჩევდა — გაელაშქრათ საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და თავიანთი თავი არ დაეპირისპირებიათ საბჭოთა კავშირისათვის. მაგრამ ბრძოლის ლოღიკის გამო ტროცკი მივიდა იქამდე, რომ თავისი გალაშქრება საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, პროლეტარული დიქტატურის ხელმძღვანელი ძალის წინააღმდეგ, მიმართა თვით პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობის წინააღმდეგ. ტროცკისტები ყოველგვარი საშუალებებით სცდილობდნენ მუშათა კლასის თვალში გაეტეხათ სახელი ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისთვის. ტროცკი 1928 წლის 21 ოქტომბრის სადირექტივო წერილში, რომელიც ტროცკისტებმა გაგზავნეს საზღვარგარეთ, და, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა არა მარტო რენეგატ მასლოვის ორგანოში, არამედ თეთრგვარდიელთა ორგანოებში, — „რულ"-ში და სხვაგან, ცილისწამებით აღსავსე, ანტი-საბჭოთა აზრებს ავრცელებდა იმის შესახებ, ვითომც საბჭოთა კავშირში არსებული წყობილება არის „პირუკუღმა გადაბრუნებული კერენსკიადა", და მოუწოდებდა მასებს — მოეწყოთ გაფიცვები, ჩაეშალათ კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიები, შეძლებისდაგვარად მოემზადებიათ არსებითად თავიანთი კადრები ახალი სამოქალაქო ომისათვის.

სხვა ტროცკისტები პირდაპირ ამბობენ ამის შესახებ, რომ ამ სამოქალაქო ომის მომზადების საქმეში „არ უნდა შევჩერდეთ არაფრის წინაშე, არავითარი დაწერილი და დაუწერელი წესდებების წინაშე"-ო. ცილისწამება წითელი არმიისა და მისი ხელმძღვანელების წინააღმდეგ, ცილისწამება, რომელსაც ტროცკისტები ავრცელებენ არალეგალურ რენეგატულ პრესაში და მისი საშუალებით საზღვარგარეთის თეთრგვარდიელთა პრესაში, მოწმობს, რომ ტროცკისტები არ შეჩერდებიან იმის წინაშე, რომ ის ელემენტები, რომლებსაც სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობენ, და საერთაშორისო ბურჟუაზია წაუსისიანონ საბჭოთა სახელმწიფოს. წითელი არმია და მისი ხელმძღვანელები დახასიათებულნი არიან, როგორც მომავალი ბონაპარტისტული გადატრიალების არმია. ამასთან ერთად ანტი-საბჭოთა ტროცკისტული ორგანიზაცია სცდილობს, ერთის მხრით, გათიშოს კომინტერნის სხვა ქვეყნების სექციები და შეიტანოს გახრწნა კომინტერნის რიგებში, შექმნას ყველგან თავისი ფრაქციები, მეორეს მხრით, — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წაასისიანოს უმისოდაც მტრულად განწყობილი ელემენტები.

ტროცკისტების ნაწარმოებთა რევოლიუციონურ ფრაზას აღარ ძალუძს დაფაროს ტროცკისტულ მოწოდებათა და ტროცკისტულ ცილისწამებათა კონტრ-რევოლიუციონური ბუნება.

ლენინი მე-10 ყრილობაზე, კრონშტადტის აჯანყებასთან დაკავშირებით, აფრთხილებდა პარტიას, რომ თვით „თეთრგვარდიელებიც კი სცდილობენ კომუნისტური ელფერი მიიღონ, მიიღონ კომუნისტებზე უფრო „მემარცხენე" ელფერი იმ მიზნით, რომ როგორმე დაასუსტონ და დაამხონ პროლეტარული რევოლიუციის დასაყრდენი რუსეთში"-ო. ლენინს მაშინ მოჰყავდა მაგალითი, თუ როგორ „იყენებენ მენშევიკები უთანხმოებას საკავშირო კომპარტიის (ბ) შიგნით, რათა ფაქტიურად წააქეზონ და ხელი შეუწყონ კრონშტადტელ მეამბოხეებს, ესერებს და თეთრგვარდიელებს, ხოლო დამარცხების შემთხვევისათვის დასახონ თავი საბჭოთა ხელისუფლების მომხრეებად, მხოლოდ ვითომდა მცირეოდენი „შესწორებებით". ტროცკისტების არალეგალურმა ორგანიზაციამ სავსებით დაამტკიცა, რომ იგი არის ამგვარი ნიღაბჩამოფარებული ორგანიზაცია, რომელიც თავის ირგვლივ რაზმავს ამჟამად პროლეტარულ დიქტატურისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს. ტროცკისტული ორგანიზაცია საქმით ასრულებს იმავე როლს, რაც თავის დროზე მენშევიკების პარტიამ შეასრულა საბჭოთა კავშირში, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტროცკისტული ორგანიზაციის მავნე მუშაობა მოითხოვს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა დაუნდობელი ბრძოლა აწარმოონ ამ ანტი-საბჭოთა ორგანიზაციის წინააღმდეგ. ამით აიხსნება გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამართველოს ის ღონისძიებანი, რომლებიც მიიღო მან უკანასკნელ ხანებში ამ ანტი-საბჭოთა ორგანიზაციის ლიკვიდაციისათვის — დაპატიმრება და გადასახლება.

ალბად, პარტიის ყველა წევრი არ აძლევს თავის თავს ანგარიშს იმაში, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ყოფილ ტროცკისტულ ოპოზიციასა და საკავშირო კომპარტიის (ბ) გარეთ არსებულ ეხლანდელ ანტი-საბჭოთა ტროცკისტულ არალეგალურ ორგანიზაციას შორის უკვე გარდაუვალი უფსკრული აღიმართა.

დროა ამ აშკარა ჭეშმარიტების შეგნება და შეთვისება. ამიტომ სრულიად შეუწყნარებელია ის „ლიბერალური" დამოკიდებულება ფარული ტროცკისტული ორგანიზაციის მოღვაწეობისადმი, რომელსაც ზოგჯერ პარტიის ზოგიერთი წევრები იჩენენ. ეს აუცილებლად უნდა შეიგნოს პარტიის ყველა წევრმა. უფრო მეტიც. საჭიროა განუმარტოთ მთელ ჩვენ ქვეყანას, მუშათა და გლეხთა ფართო ფენებს, რომ ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაცია ანტი-საბჭოთა ორგანიზაცია არის, პროლეტარული დიქტატურისადმი მტრულად განწყობილი ორგანიზაცია.

დაე, შუაგზაზე გაჩერებულმა ტროცკისტებმაც კარგად მოისაზრონ ეს ახალი მდგომარეობა, რომელიც შექმნა ტროცკისტული ოპოზიციის ბელადების ბოლოდროინდელმა მოქმედებამ და ტროცკისტული ფარული ორგანიზაციის საქმიანობამ. ან ტროცკისტულ ფარულ ორგანიზაციასთან ერთად და საკავშირო კომპარტიის (ბ) წინააღმდეგ, პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირში, ან სრული კავშირის გაწყვეტა ანტი-საბჭოთა, ფარულ ტროცკისტულ ორგანიზაციასთან, სრულებით ხელის აღება ამ ორგანიზაციისათვის ყოველგვარი მხარის დაჭერაზე.

„პრავდა", 24 იანვარი.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება

ამანულა-ხანმა განაახლა ბრძოლა მეამბოხეების წინააღმდეგ

საბჭოთა მთავრობის წინადადება

პოლონეთ-საბჭოთა ოქმზე ხელის მოწერის პროცედურის შესახებ

მოსკოვი, 23 იანვარი. ამხ. ლიტვინოვმა მიიღო პატეკი ოქმზე ხელის მოწერის ფორმისა და პროცედურის განსახილველად. ამხ. ლიტვინოვმა აცნობა პატეკს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა წინადადებას იძლევა ოქმზე ხელის მოწერა მოხდეს შემდეგი წესით:

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მთავრობები, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ხელი მოაწერონ ოქმზე, ამ ხელმოწერას დაუყოვნებლივ ახორციელებენ მოსკოვში. მას შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის რწმუნებულნი ხელს მოაწერენ ოქმზე, საბჭოთა კავშირის მთავრობა დაუყოვნებლივ და უშუალოდ გაუგზავნის ფინეთს, ესტონეთსა და ლიტვას (ლიტვას ასეთი მიმართვა უკვე გაეგზავნა და მისი თანხმობა უკვე მიღებულია), ხოლო რუმინეთს პოლონეთის მთავრობის მეშვეობით, წინადადებას — შეუერთდნენ ოქმს, რამდენადაც ისინი უკვე შეუერთდნენ პარიზის ხელშეკრულებას. აღნიშნული სახელმწიფოები ისეთივე წესით უერთდებიან ოქმს, რა წესიც გათვალისწინებულია თვით კელოგის პაქტში. იმ სახელმწიფოების მთავრობები, რომლებიც ხელს მოაწერენ ოქმს, აგრეთვე შეუერთდებიან მას, ვალდებულნი ხდებიან მოკლე ხნის განმავლობაში, სარატიფიკაციოდ შეიტანონ როგორც კელოგის პაქტი, ისე თვით ოქმი, თუ პაქტის რატიფიკაცია ადრე არ მომხდარა. ოქმი საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც ეს სახელმწიფოები ერთმანეთს გადასცემენ სარატიფიკაციო სიგელებს, ხოლო საბჭოთა კავშირსა, პოლონეთსა და იმ სახელმწიფოებს შორის, რომელნიც ოქმს შეუერთდებიან, იმ მომენტიდან, როდესაც საბჭოთა კავშირის მთავრობას მოსკოვში ჩაბარდება ოფიციალური ნოტა ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ ოქმის დამტკიცების შესახებ.

ამხ. ლიტვინოვმა განმარტა, რომ აღნიშნული პროცედურა იმ მხრივ არის მოხერხებული, რომ ეს პროცედურა გამოყენებულია თვით კელოგის პაქტის მიმართ და, მაშასადამე, იგი მიღებულია როგორც საბჭოთა კავშირის მთავრობის, ისე პოლონეთის მთავრობის მიერ, იგი ხელს უწყობს იმას, რომ კელოგის პაქტი მოკლე ხნის განმავლობაში ძალაში შევიდეს აღმოსავლეთ ევროპის თუნდაც რამდენსამე სახელმწიფოს შორის, ამავე დროს საშუალებას აძლევს აღმოსავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოს—გახდეს ოქმის სრულუფლებიანი მონაწილე იმ სახელმწიფოებთან ერთად, რომლებიც ხელს მოაწერენ ოქმს.

პატეკმა განაცხადა, რომ მხედველობაში ღებულობს ამ წინადადებასა და განმარტებებს. იგი ამის გამო თავის მთავრობას შეეკითხება. (ადს).

პოლონეთის საპასუხო ნოტის გამო

პოლონეთის მთავრობის მეორე ნოტა და ცნობა იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მოხდა ამხ. ლიტვინოვისა და პოლონეთის ელჩის პატეკს შორის, მოწმობს, რომ საბჭოთა წინადადება რეალიზაციის სტადიაში შევიდა. სამწუხაროა, რომ პოლონეთის მთავრობამ ამხ. ლიტვინოვის ნოტის (წარსული წლის 29 დეკემბრის თარიღით) მიღების შემდეგ უშუალოდ არ განახორციელა თავისი განზრახვა და არ დაიწყო საბჭოთა კავშირთან კონკრეტული მოლაპარაკება, საბჭოთა მთავრობის მიერ წარდგენილ ოქმზე ხელის მოწერის წესებისა და ფორმების შესახებ. პოლონეთის 19 იანვრის ნოტაში გამოთქმულია რწმენა, რომ ის გარემოება, რომელმაც ეს შეფერხება გამოიწვია, სათანადოთ იქნება გაგებული. ერთად-ერთი მიზეზი, რომელმაც გავლენა მოახდინა პოლონეთის მთავრობის წინანდელი გაურკვეველი პოზიციის შეცვლაზე, პოლონეთის ნოტის თანახმად, არის კელოგის პაქტის რატიფიკაცია ამერიკის სენატის მიერ და ის შედეგი, რომელიც მოჰყვა პოლონეთსა და დიდ სახელმწიფოებს შორის წარმოებულ მოლაპარაკებას. მხოლოდ ამ ფაქტებმა მისცეს ნება პოლონეთის მთავრობას, როგორც ნათქვამია იმავე ნოტაში, თავისუფლად დაეწყო მოლაპარაკება ოქმზე ხელის მოწერის შესახებ. ამხ. ლიტვინოვის მეორე ნოტაში საკმაო სიცხადით და სისრულით არის დამტკიცებული, რომ წინადაც არ არსებობდა არავითარი დაბრკოლება იმისათვის, რომ პოლონეთს მიეღო საბჭოთა წინადადება; არ არსებობდა ასეთი დაბრკოლება, რადგან, საკავშირო მთავრობის წინადადება არ შეიცავდა არავითარ ახალ ვალდებულებას იმასთან შედარებით, რაც პოლონეთმა იკისრა კელოგის პაქტზე ხელის მოწერით და რადგან თვით პაქტი არ შეიცავს არავითარ ისეთ პირობას, რომელიც ზღუდავდეს პარიზის ხელშეკრულების ყოველი მონაწილის უფლებას—მოახდინოს მისი რატიფიკაცია.

ყოველ შემთხვევაში უნდა მივესალმოთ იმ ფაქტს, რომ უკვე კონკრეტული ხასიათი მიიღო საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მოლაპარაკებამ კელოგის პაქტის ვადამდე ძალაში შესვლის შესახებ. ეხლა არავის აღარ შეუძლია არ აღიაროს საბჭოთა მთავრობის წინადადების მნიშვნელობა აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის. უნდა ვისურვოთ მხოლოდ, რომ მოლაპარაკებამ ოქმზე ხელის მოწერის ფორმისა და პროცედურის შესახებ რაც შეიძლება მალე მოგვცეს დადებითი შედეგები. ამ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება ეხლა სავსებით დამოკიდებულია პოლონეთის მთავრობაზე, რომელმაც საბჭ. მთავრობისაგან უკვე მიიღო კონკრეტული წინადადებანი ოქმზე ხელის მოწერასთან დაკავშირებული ფორმალური მომენტების შესახებ. ამ წინადადებაში არაფერია ახალი იმ ოქმთან შედარებით, რომელიც საკავშირო მთავრობამ წარუდგინა პოლონეთს წარსული წლის 29 დეკემბერს. რამდენადაც პოლონეთის მთავრობამ უკვე განაცხადა, რომ ეთანხმება ამ ოქმს, მას, იმედია, არაფერი ექნება საწინააღმდეგო იმ წინადადებისა, რომელიც ლიტვინოვმა გადასცა გუშინ პოლონეთის ელჩს.

მას შემდეგ, რაც საკავშირო მთავრობამ პოლონეთის მთავრობას გადასცა ნოტა წარსული წლის 29 დეკემბრის თარიღით, საბჭოთა კავშირს არაფრით არ შეუცვლია ამ ნოტაში აღნიშნული პოზიცია. ოქმის მე-4 მუხლი, რომელიც დართული აქვს 29 დეკემბრის ნოტას, სავსებით ნათლად არკვევდა ბალტიის მხრის ქვეყნებისა და რუმინეთის მონაწილეობის საკითხს. პოლონეთის 19 იანვრის ნოტაში ნათქვამია, რომ არავითარი განსხვავება არ არსებობს პოლონეთის პოზიციის — პოლონეთის, რომელმაც მოაწერა ხელი კელოგის პაქტს, მაგრამ ჯერ კიდევ არ მოუხდენია მისი რატიფიკაცია, —და ბალტიის სახელმწიფოების მდგომარეობის შორის, რომლებმაც მხოლოდ განაცხადეს, რომ მზად არიან შეუერთდნენ ამ პაქტს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სხვადასხვა მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან კელოგის პაქტის მიმართ პოლონეთი და ბალტიის სახელმწიფოები, ჩანს თვით პოლონეთის ნოტიდანაც. ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ მაშინ, როდესაც ლიტვამ ოფიციალურად აცნობა საკავშ. მთავრობას, რომ იგი უერთდება პარიზის პაქტს, ბალტიის მხრის დანარჩენმა სახელმწიფოებმა დღემდე არაფერი არ აცნობეს თავიანთი პოზიციის შესახებ ამ საკითხში. მაგრამ საბჭოთა კავშირის მთავრობას სრულებითაც არა აქვს განზრახვა შეჩერდეს ამგვარი ფორმალური მომენტების წინაშე, თუ ბალტიის მხრის სახელმწიფოები და რუმინეთი სცნობენ, რომ ისინი უკვე შეუერთდნენ კელოგის პაქტს, ჩვენ განზრახვა არა გვაქვს შევამოწმოთ — დაცულია თუ არა მათ მიერ ამისათვის საჭირო მთელი პროცედურა, და მზად ვართ მივსცეთ წინადადება — შეუერთდნენ პოლონეთ-საბჭოთა ოქმს.

როგორც ვთქვით, საბჭოთა მთავრობის ცდა, — შექმნას აღმოსავლეთ ევროპის პაციფიკაციის ახალი სერიოზული ფაქტორი, სავსებით დამოკიდებულია პოლონეთის მთავრობის პოზიციაზე, იმაზე, შეუქმნის თუ არა იგი რაიმე დაბრკოლებას საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ ოქმზე ხელის მოწერას და გამოიყენებს თუ არა ამჟამად წარმოებულ მოლაპარაკებას იმისათვის, რომ გააჭიანუროს ოქმის რეალიზაცია, იმ იმედით, რომ დადგება ახალი მომენტები, რომლებსაც შეეძლებათ საკავშ. მთავრობის წინადადების ჩაშლა. მაგრამ ეხლავე შეიძლება აღინიშნოს საკავშირო მთავრობის წინადადების წარმატება. ამ წინადადებამ დასახა გზები მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის და მკვდარი წერტილიდან დასძრა ხალხთა შორის შეიარაღებული შეტაკების თავიდან აცილების პრობლემა.

„იზვესტია", 22 იანვარი.

ინგლისის კომპარტიის ყრილობა

ლონდონი, 22 იანვარი. 20 იანვარს ინგლისის კომპარტიის ყრილობის სხდომაზე მოსმენილ იქნა შვეციის, ნორვეგიის, დანიის კანადის და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიების ძმური მისალმებანი.

შესდგა ყრილობის დახურული სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი პროფკავშირებში პოლიტიკური მიზნებისათვის ფულის შეგროვების მოწყობის შესახებ.

საკლატვალამ გააკეთა მოხსენება თავისი საპარლამენტო მოღვაწეობის შესახებ და აღნიშნა ის სიძნელენი, რომელთა დაძლევაც უხდება მას თემთა პალატაში.

საღამოს სხდომაზე ბრაუნმა გააკეთა მოხსენება მემარცხენე ფრთის მოძრაობის შესახებ. (ადს).

ლონდონი, 22 იანვარი. 21 იანვარს ინგლისის კომპარტიის ყრილობაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია პროფკავშირებში პოლიტიკური მიზნებისათვის ფულის შეგროვების საკითხის შესახებ. რეზოლიუცია საჭიროდ სთვლის ფულის შეგროვებას პოლიტიკური მიზნებისათვის. მაგრამ ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სათანადო კონტროლი უნდა გაუწიონ შეგროვილი თანხების ხარჯვას.

ორატორები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ბრაუნის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში, აკრიტიკებდნენ მემარცხენე ფრთის მოძრაობის სხვადასხვა დეფექტებს და ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ამ მოძრაობის არსებობას, მაგრამ სწორად არ მიაჩნიათ მისი ეხლანდელი ორგანიზაციული ფორმა. ყრილობამ უარჰყო რეზოლიუცია, რომელიც საჭიროდ სთვლიდა მემარცხენე ფრთის მუშაობის განგრძობას.

შემდეგ ბელმა გააკეთა მოხსენება კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესის მუშაობის შესახებ. (ადს).

საბჭოთა კავშირის წინადადებების გამოძახილი

პატეკი საჭიროდ თვლის საბჭ. წინადადების ყურადღებით განხილვას

ვარშავა, 22 იანვარი. მოსკოვში გამგზავრების წინ პატეკმა განუცხადა კრაკოვის „კურიერ ილიუსტროვანი"-ს კორესპონდენტს, რომ „საბჭოთა მეორე ნოტა აუცილებლად განხილულ უნდა იქნას, როგორც უდიდესი კეთილი სურვილების გამოჩენა, ამიტომ პოლონეთი უარით ვერ შეხვდება ამ ნოტას". (ადს).

რუმინეთის პოლიტიკა „აღსავსეა სიცრუით, ომის სურვილით და ვერაგობით"

ვენა, 22 იანვარი. რუმინეთის მუშურ-გლეხური ბლოკის ორგანო „ინაინტე" ბეჭდავს წერილს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ. გაზეთი სწერს:

„საბჭოთა კავშირის წინადადების უარყოფით რუმინეთი ადასტურებს, რომ მთავრობას სურს ბესარაბიის საკითხი გამოიყენოს იმის საბაბად, რომ ომი გამოუცხადოს ჩვენს განთავისუფლებულ ძმებს— საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს. თავის დროზე საბჭოთა კავშირი დათმობაზე წავიდა, იგი დასთანხმდა ბესარაბიის საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას, რისთვისაც წამოაყენა პლებისციტი, ხოლო ამასწინად საყოველთაო განიარაღება. ეხლა საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა — უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობიანობა აღმოსავლეთში.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ნათელი, მშვიდობიანი და თანამიმდევრობითია. რუმინეთის იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ უარჰყო საბჭოთა კავშირის ყველა წინადადება. მისი პოლიტიკა აღსავსეა სიცრუით, ომის სურვილით და ვერაგობით".

პოლონეთი აჭიანურებს საბჭოთა წინადადების პრაქტიკულად განხორციელებას.

ბერლინი, 22 იანვარი. გერმანული პრესა ჯერ-ჯერობით უკომენტაროდ აქვეყნებს პოლონეთის მთავრობის მეორე პასუხს საბჭოთა წინადადებაზე. მხოლოდ ცენტრის ორგანო „გერმანია" აცხადებს:

„მეორე ნოტაც შეიცავს შენიშვნებს, მაგრამ ეს შენიშვნები ეხლა გამოთქმულია უფრო მოხერხებული ფორმით; ამ შენიშვნების მიზანი იგივეა, რაც პირველი ნოტის — გააჭიანუროს ხელის მოწერა საბჭოთა კავშირის მიერ წარდგენილ ოქმზე".

ბალტიის სახელმწიფოების პოზიცია

ჰელსინგფორსი, 22 იანვარი. „ჰელსინგინ სანომატ"-ის მიერ რეველიდან მიღებული ცნობით, პოლონეთის რწმუნებულმა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გააცნო პოლონეთის მთავრობის პოზიცია ლიტვინოვის წინადადების საკითხში. გაზეთის სიტყვით, ახლო მომავალში განზრახულია მოწვეულ იქნას ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია, რომელზედაც საბოლოოდ გამოირკვევა დამოკიდებულება ლიტვინოვის წინადადებისადმი". (ადს)

რაზე ოცნებობენ პოლონელი იმპერიალისტები

„კრასნაია ზვეზდა"-ს ცნობები პოლონეთის იმპერიალისტური ზრახვების შესახებ

პოლონეთი შეშფოთებულია საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვებით. ლეგიონერები ელიან სამხედრო ბრძანებას ლიტვის დასაპყრობად

მოსკოვი 23 იანვარი. „კრასნაია ზვეზდა"-ს 20 იანვრის ნომერში დაბეჭდილია მასალა იმ თათბირის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა გრაფ ტიშკევიჩის მამულში, ვილნოს მახლობლად, გასული წლის აგვისტოში, როდესაც, როგორც ვიცით, მოხდა პოლონელ ლეგიონერთა ყრილობა.

ეს მასალა გადმობეჭდილია „დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგ"-იდან, „ფოსიშე ცაიტუნგ"-იდან და სხვა გაზეთებიდან. აღნიშნული მასალა ნათლად ახასიათებს ამ ყრილობაზე თავმოყრილ პოლონეთის სამხედრო ხელმძღვანელთა განწყობილებას.

მომხსენებლის დოქტორ **მაცკევიჩის** აზრით, პოლონეთის საგარეო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს საფრანგეთ-პოლონეთის საკავშირო ხელშეკრულება. მაგრამ თუ საფრანგეთი დარწმუნებულია რომ პოლონეთი დაღვრის თავის ჯარისკაცთა სისხლს საფრანგეთ-პოლონეთის მეგობრობისათვის, მას შეუძლია ვერსალის ხელშეკრულების დასაცავადაც დაღვაროს თავის ჯარისკაცთა სისხლი.

მომხსენებელი ძალიან შეშფოთებულია საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვებით. მაგრამ ამავე დროს ფიქრობს, რომ „პოლონეთის მტერი არის არა დასავლეთის მეზობელი, არამედ აღმოსავლეთის მეზობელიო". აქედან გამომდინარეობს პოლონეთის პოლიტიკის ორი ფაქტორი: კავშირი რუმინეთთან და ბალტიის სახელმწიფოების მჭიდრო გაერთიანება. ამ გაერთიანებას აბრკოლებს ვილნოს პრობლემა, კონფლიქტი ლიტვასთან. აქედან დოქტორ მაცკევიჩს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ „**ერთად-ერთ საშუალებას ლიტვასთან დაუსრულებელი კონფლიქტისათვის ბოლოს მოსაღებად წარმოადგენს გორდიის კვანძის მახვილით განკვეთა. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ პოლონეთმა არა თუ უნდა გაბედოს, იგი მოვალეც არის შეიარაღებული ძალით დაიპყროს ლიტვა. დროა პოლონეთის დიპლომატიამ ლიტვის საკითხში ადგილი დაუთმოს პოლონელ ლეგიონერს**".

განსაკუთრებით საყურადღებოა გენერალ **ჟელიგოვსკის** გამოსვლა ამ თათბირზე.

„ჩვენ, პოლონეთის ლიტველებმა,—განაცხადა გენერალმა ჟელიგოვსკიმ —1920 წლის ოქტომბერში მიზნად დავისახეთ დაგვებრუნებია ვილნო პოლონეთისათვის. ჩვენ შევასრულეთ ეს ამოცანა, მაგრამ მუშაობა არ შეგვიწყვეტია, ვინაიდან **ვილნოს დაბრუნება მხოლოდ ეტაპია ჩვენი საბოლოო მიზნის შესრულების —1772 წლის საზღვრების აღდგენის—საქმეში.**

ჩვენ მუშაობას მაშინ დავამთავრებთ, როდესაც პოლონეთი აღადგენს და განამტკიცებს თავის ისტორიულ საზღვრებს და ამ საზღვრებს სცნობს მსოფლიოს ყველა ხალხი. უამისოდ ჩვენ იარაღს არ დავყრით".

ლიტვის წინააღმდეგ მომქმედ ჯარში იქნება 24 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 24 ესკადრონი კავალერია და 10 ბატარია (აქედან ორი მძიმე). სულ 30.000 მეომარი.

გენერალ ჟელიგოვსკის აზრით, ეს ძალა სავსებით საკმაოა ლიტვის დასაპყრობად.

„შტაბმა მხედველობაში მიიღო ყოველგვარი შესაძლებელი კომბინაცია და შემთხვევა, —განაცხადა ჟელიგოვსკიმ.—ჩვენ აქაც და იქაც, ლიტვაში, ყველაფრით მზად ვართ. **ჩვენ ველით ბელადის სამხედრო ბრძანებას. მაგრამ უნდა აჩქარდნენ, რადგან ზოგჯერ მოქმედება წინ უსწრებს ბრძანებას**".

იმასთან დაკავშირებით, რომ პოლონეთის სეიმმა დაიწყო მუშაობა პოლონეთის კონსტიტუციის გადასასინჯავად, დიდ ინტერესს წარმოადგენს ლეგიონერთა ყრილობის გადაწყვეტილება ეგრედწოდებული „საკონსტიტუციო ფორმების" შესახებ. მომხსენებელმა მინისტრმა მეძინსკიმ განაცხადა, რომ კონსტიტუციის რეფორმა, რომელიც ლეგიონერთა შტაბმა შეიმუშავა, მთავრობის ბლოკმა არაოფიციალურად უკვე მოიწონა. კონსტიტუციაში შეტანილი იქნება სხვადასხვა შესწორება, რომელთა მიხედვითაც მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა გადაეცეს სახელმწიფოს უფროსს, რომელიც ამავე დროს ინარჩუნებს უფლებას—უმაღლესი სარდლობა გაუწიოს სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს. სეიმს უფლება ექნება მოითხოვოს მთავრობის გადადგომა მხოლოდ დამსწრე წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. მეძინსკიმ განაცხადა, რომ მისი თეზისების მიღება ლეგიონერთა კავშირის მიერ უზრუნველჰყოფს პოლონეთის ახალი კონსტიტუციის რეალურად განხორციელებას. ახალი კონსტიტუცია ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას მისცემს პოლონეთსაო,—სთქვა მან.

შემდეგ ლეგიონერთა კონგრესმა წინადადება მისცა მთავრობას—მოახდინოს ხელმძღვანელი ადმინისტრატიული პერსონალის გადაყვან-გადმოყვანა სხვადასხვა სავოევოდოებში.

მდგომარეობა ავღანისტანში

ამბოხება მოწყობილია უცხოელების მიერ

სტამბოლი, 22 იანვარი. ოფიციოზი „მილლეთ"-ი კომენტარიებს უკეთებს ავღანისტანის ამბებს და სწერს:

„მოჰამედ ომარის (ამანულას ბიძა, რომელიც ინდოეთიდან „გაიქცა") გამოჩენის შემდეგ სავსებით ცხადი გახდა, რომ ამბოხება ავღანისტანში უცხოელებმა მოაწყეს. მოჰამედ ომარს ინდოეთში კავშირი ჰქონდა გაბმული ინგლისელებთან, კერძოდ პოლკოვნიკ ლოურენსთან.

ამანულას მდგომარეობა ფრიად ხელსაყრელია. იგი შემოიკრებს და დარაზმავს ძალებს ყანდაგარში, გაილაშქრებს ქაბულზე, გაჰფანტავს მეამბოხეებს და აღადგენს წესებს". (ადს).

ყანდაგარის პროვინცია ამანულას უჭერს მხარს

ლონდონი, 22 იანვარი. რეიტერი იუწყება:

„პეშევარიდან მიღებული ცნობებით, ყანდაგარის პროვინცია, როგორც ეტყობა, ამანულას უჭერს მხარს. შინვარის ტომის მეომარნი ქაბულისკენ დაიძვრიან. სამეფოს ბედ-იღბალი ავღანისტანის მრავალრიცხოვანი და უძლიერესი ტომის გილზაის ხელშია. (ადს).

ქაბულში სიწყნარეა?

პარიზი, 22 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„პარიზში მიღებული ცნობებით, ქაბულში სიწყნარეა". (ადს).

„ლოურენსი და ლინკოლნი არასოდეს არ ყოფილან ავღანისტანში"

ლონდონი, 22 იანვარი. ინგლის-ინდოეთის მთავრობა ოფიციალურად უარჰყოფს ერთი ინგლისური გაზეთის მიერ ამას წინად გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ლოურენსი და ლინკოლნი (ცნობილი ინგლისელი ჯაშუში) ასრულებდნენ საიდუმლო დავალებას ავღანისტანში. მთავრობის ცნობაში ნათქვამია, რომ „ლოურენსი და ლინკოლნი არასოდეს არ ყოფილან ავღანისტანში". (ადს).

აჯანყება აფრიკაში

პარიზი, 22 იანვარი. ბურჟუაზიული პრესა აღარ ფარავს საფრანგეთის ეკვატორიალურ აფრიკაში მომხდარ აჯანყებას.

რადიკალური „ვოლონტე" სწერს, რომ „საკვირველი არ არის ზანგების აჯანყება; მათ იციან, რომ **შიმშილით და დიზენტერიით დაიღუპა მათი 17.000 თანამოძმე, რომლებიც ძალდატანებით წაიყვანეს სამშენებლო სამუშაოზე შორეულ რაიონებში**". გაზეთი აკრიტიკებს გუბერნატორ ანტონეტის მოქმედებას: ანტონეტიმ არავითარი ზომა არ მიიღო იმისათვის, რომ გამოეკვება იძულებით სამუშაოზე შეკრებილი მრავალი ათასი ზანგი.

კომპარტიის ორგანო „ლუმანიტე" სწერს:

„სიმართლე ის არის, რომ **ეკვატორიალური აფრიკის ზანგთა მასა, რომელიც გმინავს არაადამიანური ექსპლოატაციის გამო, აღსდგა მჩაგვრელთა წინააღმდეგ. 1911 წელს საფრანგეთის კონგოში ითვლებოდა 4 მილიონი მოსახლეობა, ეხლა კი 2 მილიონიც აღარ ითვლება. ბავშვების სამი მეოთხედი იქ პირველ წლებშივე იხოცება.** იმპერიალიზმი აფრიკელი აჯანყებული ზანგებისა და გაფიცულ ფრანგ მემაღაროეთა და ფეიქართა საერთო მტერია. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა ავღანისტანში

ტერმეზი, 23 იანვარი. მაზარიდან და შერიფიდან მიღებული ცნობებით, ავღანისტანის ჩრდილოეთ პროვინციების ყველა ეროვნებათა განწყობილება ახალი მთავრობის საწინააღმდეგოა. ქაბულიდან მიღებული ცნობებით, ჯელალაბადის პროვინციის ტომები შეერთდნენ საერთო მოქმედებისათვის კუჰისტანელების წინააღმდეგ, რომლებსაც ქაბული უჭირავთ. ჯელალაბადელების ავანგარდები 70 კილომეტრის მანძილით არიან დაშორებულნი ქაბულიდან. ქაბულის ახალმა მთავრობამ ჯარები მათ წინააღმდეგ გაგზავნა ხაკ-ჯებარის უღელტეხილისაკენ (40 კილომეტრის მანძილზე ქაბულის აღმოსავლეთით). ჯარები გაიგზავნა აგრეთვე სამხრეთში ყანდაგარის გზაზე სოფელ არგენდისაკენ (25 კილომეტრის მანძილზე ქაბულიდან), რომელსაც მოუახლოვდნენ ამანულას მიერ ჯერ კიდევ წინედ გერატიდან გაწვეული ჯარები. ხოსტის და გარდეზის (სამხ.-აღმოსავლეთით ქაბულიდან) ტომების განწყობილება ჯერ გამოურკვეველია.

ხაბიბულას მდგომარეობა შერყეულია

ლონდონი, 23 იანვარი. ინდოეთიდან მოსული ცნობები ავღანისტანის მდგომარეობის შესახებ ერთხმად აღიარებს, რომ ხაბიბულას (ბაჩა-საკაოს) მდგომარეობა საიმედო არ არის. ქაბულის მოსახლეობას ეშინია ახალი უწესოებისა ქალაქში. ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისის ელჩი ავღანისტანში მოლაპარაკებას აწარმოებს ხაბიბულასთან, მაგრამ გაზეთები არაფერს იტყობინებიან იმის შესახებ, თუ როგორი ხასიათისაა და რას შეეხება ეს მოლაპარაკება. (ადს).

მემარცხენე რევოლიუციონური უმცირესობის დიდი გამარჯვება

ბერლინი, 23 იანვარი. გუშინ ჩატარდა რეფერენდუმი სრ. გერმანიის მელითონეთა კავშირის ესენის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრთა შორის. რეფერენდუმში დიდი გამარჯვება მოიპოვა მემარცხენე რევოლიუციონურმა უმცირესობამ. რეფორმისტების წინადადებას, რომელიც შეეხებოდა ადგილობრივი ორგანიზაციის წესდებას, ხმა მისცა მხოლოდ 1.404 კაცმა, მემარცხენეების წინადადებას 1,531 კაცმა. ეს პირველი შემთხვევაა მრავალი წლის განმავლობაში, როცა მელითონეთა კავშირის ესენის ორგანიზაციაში მემარცხენეებმა ხმების უმრავლესობა მიიღეს. (ადს).

ლენინის ხსოვნის მიტინგები

ბერლინი, 23 იანვარი. ბაზელიდან (შვეიცარია) მიღებული ცნობებით, შვეიცარიის კომპარტიამ ბაზელში გამართა დიდი მასიური მიტინგი, რომელიც ლენინის ხსოვნისათვის იყო მიძღვნილი. ეს მიტინგი ყველაზე მრავალრიცხოვანი კომუნისტური კრება იყო უკანასკნელი დროის განმავლობაში ბაზელში შემდგარ კრებათა შორის.

ბერლინი, 22 იანვარი. უკანასკნელ დღეებში მთელს გერმანიაში იმართებოდა კრებები და მიტინგები ლენინის, კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ხსოვნის აღსანიშნავად. (ადს).

ბერლინი, 22 იანვარი. ამსტერდამიდან გადმოცემული ცნობის თანახმად, ჰოლანდიის კომპარტიამ ლენინის გარდაცვალებიდან 5 წლის თავი აღნიშნა ლენინისა და ლენინიზმის შესახებ მოხსენებების მოწყობით. მოხსენებები გამართა პარტიის ქვედა ორგანიზაციებში. დიდ ქალაქებში მოეწყო საჯარო მიტინგები. (ადს).

გამცემლებმა მიაღწიეს თავის მიზანს

პარიზი, 23 იანვარი. რეფორმისტების გამცემლურმა ტაქტიკამ ბოლოს და ბოლოს შეძლო მემაღაროეთა საგაფიცვო მოძრაობის ჩაშლა გარის და ავეირონის რაიონებში. ორთავე რაიონის სადელეგატო კონფერენციებმა დაამტკიცეს საგაფიცვო კომიტეტების გადაწყვეტილება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ, რადგან გაფიცულთა რიცხვი უკანასკნელ დღეებში რეფორმისტების მანევრების გამო საგრძნობლად შემცირდა. კომუნისტური პარტიის ორგანო „ლიუმანიტე", უკეთებს რა ჯამს გაფიცვის შედეგებს, ხაზს უსვამს, რომ რეფორმისტები გაფიცვის დროს მწარმოებლებთან და ხელისუფლებასთან სრული შეთანხმებით მოქმედებდნენ. (ადს).

ბარტელსი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდა

ბერლინი, 23 იანვარი. ლენინბუნდის ორგანოს „ფოლკსვილენ"-ის რედაქტორ-გამომცემელი ბარტელსი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდა. თავის შესვლას პარტიაში იგი ასაბუთებს იმით, რომ „ლენინბუნდის მომხრეთა იმედები კომინტერნში გაბატონებული გავლენის მოპოვების შესახებ, უტოპიური გამოდგა. გარდა ამისა, ლენინბუნდის ორგანიზაციული მდგომარეობა ამტკიცებს, რომ გერმანელ მუშებს მობეზრდათ ახალი პარტიების შექმნაო". უნდა აღინიშნოს, რომ ბარტელსი გერმანელი ტროცკისტების ერთ-ერთი მეთაური იყო. (ადს).

1927 წლის 10 პროცენტიანი სესხის მოგებათა ტირაჟი

მოსკოვი, 23 იანვარი. ორეხოვო-ზუევში დამთავრდა 1927 წლის ათპროცენტიანი სესხის მოგებათა ტირაჟი.

5.000 მან. მოგება ხვდა შემდეგ ობლიგაციებს: № 19032 სერია 8; № 24909 სერია 6; № 26799 სერია 12; №79799 სერია 10; № 26799 სერია კლბთდო სოუგზ გკლბრთდთბვ 90133 სერია 2; № 94278 სერია 20; № 12202 სერია 6; № 123706 სერია 7; № 159276 სერია 7; №176966 სერია 12;

10.000 მან. მოგება ხვდა: № 7731 სერია 2; № 36182 სერია 12; № 37380 სერია 15; № 53897 სერია 12; № 153076 სერია 13.

25.000 მან. მოგება ხვდა: № 11536 სერია 18; № 182750 სერია 10.

50.000 მან. მოგება ხვდა: № 188930 სერია 19. (ადს).

სამგლოვიარო სხდომა მოსკოვში

მოსკოვი, 23 იანვარი. სამგლოვიარო სხდომა ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად დიდ თეატრში გახსნა ამხ. მოლოტოვმა.

„დღეს ჩვენ ჯამს ვუკეთებთ ლენინის გარდაცვალებიდან ხუთი წლის განმავლობაში მიღებულ შედეგებს,—სთქვა მან. საბჭოთა სახელმწიფოს დედამიწის ზურგზე აქვს მრავალი უდიდესი მიღწევა სოციალისტური საძირკვლის შექმნის საქმეში, ამასთან იგი ძლევამოსილად მიემართება წინ ჩვენი ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის გზით. ინდუსტრიალიზაციისა და მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანას წარმატებით ახორციელებდა ჩვენი პარტია, მუშათა კლასი და მთელი პროლეტარული სახელმწიფო. ჩვენ განვაგრძობთ შეტევას კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, ამავე დროს გადავდივართ უშუალოდ სოციალისტურ მშენებლობაზე როგორც ქალაქში, ისე სოფელში. ამ საქმეში ჩვენი გამარჯვების საფუძველს წარმოადგენს მუშათა და გლეხთა მტკიცე კავშირი. ლენინიზმი გვიჩვენებს კაპიტალიზმის დამხობის ძირითად მიზანს. ლენინიზმი გვიჩვენებს ამ მიზნის მიღწევის გზებს. ამასთან დაკავშირებით, მუშათა კლასმა მედგრად უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ სოციალისტურად აღზარდოს თავისი საკუთარი კადრები. გასული ხუთი წლის განმავლობაში პარტიას მედგარი ბრძოლა უხდებოდა იმათ წინააღმდეგ, ვინც სცდილობდა—აეცდინა იგი ლენინური გზიდან. წვრილ-ბურჟუაზიულ სულისკვეთებათა გავლენა ამჟამადაც ჰპოვებს გამოხატულებას მუშათა კლასისა და პარტიის ცალკე ფენებში. ამ მომენტში უფრო მეტად, ვიდრე როდისმე, პარტიამ უნდა ახსოვდეს ლენინის უდიდესი ანდერძი—შეურიგებელი ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა პრინციპიალური ბოლშევიკური პოლიტიკისათვის. ლენინიზმის დროშით და ერთ ქვეყანაში გამარჯვების გზით მივდივართ ჩვენ შემჭიდროებული რიგებით მთელს დედამიწაზე გამარჯვების მისაპოვებლად". (ადს).

შემდეგ გამოვიდა ამხ. ბუხარინი მოხსენებით ლენინის პოლიტიკური ანდერძის შესახებ. მისმა მოხსენებამ საათნახევარი გასტანა.

ამხ. ბუხარინის მოხსენების შემდეგ დამსწრეებმა მოისმინეს ამხ. საველიევის ცნობა ლენინის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რუსთაველის თეატრის მიწვევა მოსკოვში

მოსკოვი, 23 იანვარი. ხელოვნების მუშაკთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ კომიტეტში თქვენს კორესპონდენტს აცნობეს, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის მოსკოვში საგასტროლოდ მიწვეული არის თბილისის რუსთაველის თეატრი. ადგილობრივი მუშაკები დიდი ინტერესით მოელიან ქართულ თეატრის გასტროლებს და ფიქრობენ, რომ რუსთაველის თეატრის მოწვევა მოსკოვში დიდად შეუწყობს ხელს ეროვნულ საბჭოთა თეატრის განვითარებას.

მოსკოვის პრესა საქართვ. კინომრეწველობის სურათ „ხუთი წუთი"-ს შესახებ

მოსკოვი, 23 იანვარი. ლენინის დღეებში მოსკოვის მრავალ კინოში უჩვენებენ საქართველოს კინომრეწველობის ახალ სურათს „ხუთი წუთს". მოსკოვის პრესა დადებითად იხსენიებს სურათს და აღნიშნავს, რომ „ხუთი წუთი" მნიშვნელოვანი მიღწევაა საქართველოს კინომრეწველობის მუშაობაში.

მუშების მიღება პარტიაში

მოსკოვი, 23 იანვარი. ამჟამად მოსკოვში მიმდინარეობს რაიონული პარტიული კონფერენციები, რომლებზედაც სხვა მორიგ საკითხებს შორის, დიდი ყურადღება ექცევა მუშების მიღებას პარტიაში. ხამოვნიკურ რაიონის პარტიულ კონფერენციამ მიიღო პარტიაში 609 დაზგის მუშა, მათ შორის სამოცი წლის მუშა-ქალი კლიმანოვი, რომელმაც განაცხადა: „მინდა მოვკვდე კომუნისტურ პარტიასთან ერთად"-ო.

დაიწვა ხელოვნებათა სახლი

მოსკოვი, 23 იანვარი. 22 იანვარს ცეცხლი გაუჩნდა მხატვარ პოლენოვის სახელობის ხელოვნებათა ცენტრალურ სახლს. მიუხედავად იმისა, რომ სახანძრო რაზმებმა ენერგიული ზომები მიიღეს სახლის გადასარჩენად, მიზანი მაინც ვერ იქნა მიღწეული. ცეცხლი ელვის სისწრაფით მოედო შენობის შინაგან ნაწილს და მალე გარე ნაწილზედაც გადმოვიდა.

სრულიად დაიღუპა დეკორატიული სახელოსნოები, მთავარი დარბაზი, სცენა და მოქანდაკე ჟუკოვის მთელი რიგი ძვირფასი ექსპონატები. სახლის თანამშრომლები ენერგიულად და თავგამეტებით მუშაობდნენ ძვირფასი მხატვრული ეკზემპლიარების გადასარჩენად. მხოლოდ ამით აიხსნება, რომ დაწვას გადარჩა მხატვარ პოლენოვის სურათები.

დღეს მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია ამხ. ა. ლუნაჩარსკის წერილი მომხდარი უბედური შემთხვევის გამო. ხელოვნებათა ცენტრალური სახლის დაწვა, სწერს ამხ. ლუნაჩარსკი, დიდი უბედურებაა განათლების სახალხო კომისარიატისათვის. ამ უბედურებას საჭიროა ვუპასუხოთ საზოგადოებრივ ინიციატივის და სახელმწიფო ორგანოების ყურადღების გაცხოველებით ხელოვნებათა ახალი სახლის ასაგებად. ხელოვნებათა ცენტრალური სახლი უნდა აღდგენილ იქნეს მოსკოვში, ის უთუოდ აღდგენილ იქნება.

მბეჭდავთა კავშირის ყრილობა

მოსკოვი, 23 იანვარი. მიმდინარე წლის 28 იანვარს მოსკოვში გაიხსნება პოლიგრაფმრეწველობის სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელზედაც ჩამოვლენ უცხოეთის დელეგატებიც. ყრილობას დაესწრება ნორვეგიის, ფინეთის, საფრანგეთის და გერმანიის მბეჭდავთა წარმომადგენლები.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ბელადის გარდაცვალების 5 წლის თავი

ძველის დამხობით დაშინებულნი და ახლისათვის მებრძოლნი

ქვემოდ მოთავსებული სტატია დაწერილია ლენინის მიერ 1917 წლის დეკემბრის დამლევს ან 1918 წლის იანვრის დამდეგს. იბეჭდება ხელნაწერიდან, რომელიც ინსტიტუტს გადასცა ამხ. ულიანოვამ.

ლენინის ინსტიტუტი.

„ორი თვეა უკვე, რაც ბოლშევიკები ხელისუფლების სათავეში დგანან, მაგრამ სოციალისტური სამოთხის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ სამოქალაქო ომის ჯოჯოხეთს და კიდევ უფრო მეტ ნგრევას". ასე სწერენ, ლაპარაკობენ და ფიქრობენ კაპიტალისტები თავიანთ შეგნებულ და ნახევრად შეგნებულ მომხრეებთან ერთად.

მხოლოდ ორი თვეა, რაც ბოლშევიკები ხელისუფლების სათავეში დგანან, — ვუპასუხებთ ჩვენ — და უკვე გადავდგით უდიდესი ნაბიჯი სოციალიზმისაკენ. ამას ვერ ხედავს ის, ვისაც არ უნდა დაინახოს ან ვინც სათანადოთ ვერ აფასებს ისტორიულ ამბებს. მათ არ სურთ დაინახონ, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში თითქმის მთლად დაინგრა არადემოკრატიული დაწესებულებები არმიაში, სოფლად და ფაბრიკაში. ხოლო სხვა გზა სოციალიზმისაკენ, თუ არ ასეთი დანგრევა, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. მათ არ სურთ დაინახონ, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში, იმპერიალისტური სიცრუის ნაცვლად საგარეო პოლიტიკაში, რომელიც აჭიანურებდა ომს და ძარცვასა და ყაჩაღობას ფარავდა საიდუმლო ხელშეკრულებებით, — წარმოიშვა ჭეშმარიტი დემოკრატიული მშვიდობიანობის ჭეშმარიტი რევოლიუციონურ-დემოკრატიული პოლიტიკა, რომელმაც უკვე მოგვცა ისეთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგები, როგორიც არის დროებითი ზავი და ჩვენი რევოლიუციის პროპაგანდისტული ძალის ერთი ასად გადიდება. მათ არ სურთ დაინახონ, რომ დაიწყო განხორციელება მუშათა კონტროლის და ბანკების ნაციონალიზაციისა, ეს კი სწორედ პირველი ნაბიჯებია სოციალიზმისაკენ.

ისტორიული პერსპექტივის გაგების უნარი არა აქვთ იმათ, ვინც დაბრმავებულია კაპიტალიზმის რუტინით, დაყრუებულია ძველის ნგრევით, ცარიზმისა და ბურჟუაზიის საუკუნობრივი შენობების ნგრევით გამოწვეული ხმაურით, გრგვინვით, ქაოსით (მოჩვენებით ქაოსით), ვისაც აშინებს კლასობრივი ბრძოლის უაღრესად გამწვავება, მისი გადაქცევა სამოქალაქო ომად, ერთად-ერთ კანონიერ, ერთად-ერთ სამართლიან, ერთად-ერთ სამღვთო ომად — ამ სიტყვის არა ხუცური, არამედ ადამიანური გაგებით, — ჩაგრულთა ომად მჩაგვრელთა წინააღმდეგ, რომლის მიზანსაც შეადგენს მშრომელთა განთავისუფლება ყოველგვარი ჩაგვრისაგან. არსებითად ეს გამოყეყეჩებული, დაყრუებული და დაშინებული ბურჟუები, წვრილი ბურჟუები და „ბურჟუაზიის მსახურნი" ხშირად შეუგნებლად ხელმძღვანელობენ ძველი, გულუბრყვილო, სენტიმენტალური და უბადრუკი ინტელიგენტური შეხედულებით „სოციალიზმის შემოღების" შესახებ, ისინი იმეორებენ სხვადასხვა უტოპიების მიერ დამახინჯებულ სოციალისტურ მოძღვრებას და ჩვენ, მარქსისტებს, მოგვაწერენ სოციალიზმის „შემოღების" აზრს და თვით გეგმასაც.

ჩვენ, მარქსისტებს, საერთო არაფერი გვაქვს ასეთ აზრებთან და მით უმეტეს გეგმებთან, ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, ვამბობდით და ვიმეორებდით, რომ არ შეიძლება სოციალიზმის „შემოღება", რომ ის უნდა შეიქმნას მწვავე, გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის და სამოქალაქო ომის მსვლელობაში, რომ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის არის „სამშობიარო ტკივილების" ხანგრძლივი პერიოდი, რომ ძალადობა მუდამ ასრულებს ძველი საზოგადოების ბებიაქალის დანიშნულებას, რომ ბურჟუაზიული საზოგადოებიდან სოციალისტურ საზოგადოებაში გადასვლის პერიოდს შეეფერება განსაკუთრებული სახელმწიფო (ე. ი. განსაკუთრებული სისტემა მოწესრიგებული ძალადობისა განსაზღვრული კლასის წინააღმდეგ), სახელდობრ — პროლეტარიატის დიქტატურა. ხოლო პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს (გამოტოვებულია) სამხედრო ბრძოლის ზომები პროლეტარული ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ. პარიზის კომუნა პროლეტარიატის დიქტატურა იყო და მარქსი და ენგელსი კომუნას უსაყვედურებდნენ და მისი დაღუპვის ერთ-ერთ მიზეზად სთვლიდნენ იმას, რომ კომუნა საკმარ ენერგიით ვერ იყენებდა თავის შეიარაღებულ ძალას ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დასაძლევად.

არსებითად მთელი ეს ინტელიგენტური წუწუნი კაპიტალისტთა წინააღმდეგობის დაძლევის შესახებ წარმოადგენს, „თავაზიანად", რომ ვსთქვათ, ძველი „შემთანხმებლობის" გამოხატულებას. ხოლო თუ ვილაპარაკებთ პროლეტარული გულახდილობით, მაშინ უნდა განვაცხადოთ: ძველებურად ქედის მოხრა ფულიანი ტომრის წინაშე — აი რა არის წუწუნი იმ ძალადობის შესახებ, რომელსაც მუშათა კლასი მიმართავს (სამწუხაროდ, მეტად სუსტად და არა ენერგიულად) ბურჟუაზიის წინააღმდეგ, საბოტაჟის მომწყობთა წინააღმდეგ, კონტრ-რევოლიუციონერთა წინააღმდეგ.

„კაპიტალისტების წინააღმდეგობა დაძლეულია" — განაცხადა 1917 წლის ივნისში გულკეთილმა მინისტრმა შემთანხმებელთა ბანაკიდან პეშეხონოვმა. ამ კეთილ მინისტრს აზრადაც არ მოსდიოდა ის, რომ წინააღმდეგობა მართლაც დაძლეულ უნდა იქნას, რომ იგი დაძლეული იქნება, რომ ასეთ დაძლევას მეცნიერულ ენაზე ეწოდება პროლეტარიატის დიქტატურა, რომ მთელ ისტორიულ პერიოდს ახასიათებს კაპიტალისტთა წინააღმდეგობის დაძლევა და, მაშასადამე, ახასიათებს სისტემატიური ძალადობა მთელს კლასზე (ბურჟუაზიაზე) და მის დამქაშებზე.

ანგარება, ფულიანი ტომრის ბინძური, გესლიანი, ცოფმორეული ანგარება, ამ ტომრის შემყურეთა სილაჩრე და ყურმოჭრილობა, — აი ნამდვილი სოციალური საფუძველი იმ განგაშისა, რომელიც ასტეხეს ინტელიგენტებმა, დაწყებული „რეჩ"-იდან „ნოვაია ჟიზნ"-ამდე, პროლეტარიატისა და რევოლიუციონური გლეხობის ძალადობის წინააღმდეგ. ასეთია ობიექტიური მნიშვნელობა მათი უბადრუკი სიტყვებისა, მათი კომედიანტური ლაყბობისა „თავისუფლების" შესახებ (კაპიტალისტების მიერ ერების ჩაგვრის თავისუფლება) და სხვ., ისინი „მზად არიან" იცნონ სოციალიზმი, თუ ის დამყარდება ერთბაშად, თუ კაცობრიობა ერთი ეფექტიური ნახტომით მიაღწევს მას, თუ ეს მოხდება უბრძოლველად, შეხლა-შემოხლის გარეშე, თუ იგი არ გამოიწვევს ექსპლოატატორების კბილთა ღრჭენას, თუ ექსპლოატატორები არ შეეცდებიან დაიცვან ძველი წესწყობილება ან დაიბრუნონ იგი საიდუმლო საშუალებებით და გზებით და თუ ეს ცდები არ გამოიწვევს რევოლიუციონურ-პროლეტარული ძალადობის ახალ და ახალ „პასუხს". ეს ბურჟუაზიის მაჩანჩალა ინტელიგენტები „მზად არიან", ცნობილი გერმანული ანდაზისა არ იყვეს, გარეცხონ ტყავი იმ პირობით, თუ იგი არ დასველდება.

როცა ბურჟუაზია და მის სამსახურის შერჩეული მოხელეები, მოსამსახურეები, ექიმები, ინჟინერები და სხვები მიმართავენ წინააღმდეგობის უკიდურეს ზომებს, ეს სასოწარკვეთილებაში აგდებს ინტელიგენტებს. ისინი თრთიან შიშით და უფრო ხმამაღლა გაჰყვირიან, რომ საჭიროა დაუბრუნდეთ „შემთანხმებლობას", ხოლო ჩვენ, ისე, როგორც დაჩაგრული კლასის ყველა გულწრფელ მეგობარს, ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის უკიდურესი ზომები მხოლოდ გვახარებენ, ვინაიდან პროლეტარიატს დაავაჟკაცებს და მოამწიფებს ხელისუფლებისათვის არა რჩევა-დარიგება, არა ტკბილი ქადაგებისა და ჭკუის მასწავლებელი დეკლამაციების სკოლა, არამედ ცხოვრების სკოლა, ბრძოლის სკოლა. ეს უნდა ისწავლოს პროლეტარიატმა იმისათვის, რომ გადაიქცეს გაბატონებულ კლასად, რომ საბოლოოდ დაამარცხოს მან ბურჟუაზია. ხოლო ამის სწავლა შეიძლება ბრძოლაში. ასწავლის ამას მხოლოდ სერიოზული, შეუდგარი და თავგანწირული ბრძოლა, რაც უფრო მწვავეა გამყვლეფელთა წინააღმდეგობა, მით უფრო ენერგიული, მტკიცე, დაუზოგველი და ნაყოფიერი იქნება მათი ალაგმვა გაყვლეფილების მიერ. რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება ექსპლოატატორების ცდები ძველის დასაცავად, მით უფრო ჩქარა ისწავლის პროლეტარიატი თავისი კლასობრივი მტრების გაძევებას მათი უკანასკნელი თავშესაფარიდან, მათი ბატონობის ფესვების ამოფხვრას, თვით იმ ნიადაგის მოშლას, რომელზედაც იზრდებოდა დაქირავებული მონობა, მასების სიღატაკე, ფულის ტომრის სიმსუნაგე და თავხედობა.

ბურჟუაზიის და მისი დამქაშების წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად იზრდება პროლეტარიატისა და მისი მომხრე გლეხობის ძალა. გაყვლეფილები მაგრდებიან, ვაჟკაცდებიან, იზრდებიან, სწავლობენ, ამსხვრევენ დაქირავებული მონობის ბორკილს, — აი რითი გასცემენ პასუხს ისინი თავიანთი მტრების—ექსპლოატატორების წინააღმდეგობის გაძლიერებას, გამარჯვება წილად ხვდება გაყვლეფილებს, ვინაიდან მათ მხარეზეა ცხოვრება, მათ მხარეზეა სიმრავლის ძალა, მასის ძალა, მათ მხარეზეა ძალა იმ დაუშრეტელი წყაროებისა, რომელნიც იძლევიან ყველა იმას, რაც არის თავგამოდებული, იდეური, პატიოსანი, რაც მიიწევს წინ, რაც ეტანება ახლის მშენებლობას, მის მხარეზეა მუშებისა და გლეხების, ეგრედ წოდებული „უბრალო ხალხის", ენერგიისა და ნიჭის მთელი ულევი მარაგი. მათი გამარჯვება აუცილებელია.

ლენინი.

ლენინის ბარათი პოლიტბიუროს წევრებისადმი

ქვემოდ დაწერილი წერილი ლენინმა დასწერა 1922 წლის თებერვლის 3-ს „პრავდა"-ს № 26-ში მოთავსებულ ჰანოვერიდან მიღებულ შემდეგი დეპეშის გამო: „მელითონეთა საერთაშორისო კავშირმა საერთაშორისო კონგრესის მომწვევ კომისიაში, რომელიც გაიხსნება რომ'ში აპრილის 21-ს, შეიტანა წინადადება შეკავშირებულ მუშათა მიერ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ომი დაიწყება. თავისი წინადადების ენერგიული პროპაგანდისათვის მელითონეთა კავშირმა აირჩია საგანგებო კომისია".

ტექსტში მოხსენებული ბაზელის მანიფესტი ერთხმად მიიღეს სოციალისტურმა პარტიებმა 1912 წელს საგანგებო საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე. მანიფესტი „ავალებდა სოციალისტებს, იმ შემთხვევაში, თუ ბურჟუაზიული მთავრობები ომს დაიწყებდნენ — გაეწიათ გაძლიერებული პროპაგანდა სამოქალაქო ომისა და სოციალისტური რევოლიუციისათვის" (ლენინი).

როგორც ვიცით, ომის გამოცხადების შემდეგ ყველა ოფიციალურმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (გარდა ბოლშევიკ-ლენინელებისა) ეს მანიფესტი გადააქცია ქაღალდის ნაგლეჯად და გამოვიდა თავისი მთავრობების დასაცავად.

ლენინის ინსტიტუტი.

ბუხარინს, ზინოვიევს და მოლოტოვს

4 თებერვალი, 1922 წ.

ჰანოვერიდან მიღებული გუშინდელი ცნობის გამო იმის შესახებ, რომ მელითონეთა საერთაშორისო კავშირმა დასვა დღის წესრიგში საკითხი ომთან ბრძოლის შესახებ და მიიღო რეზოლიუცია, რომ ომის საპასუხოთ გამოაცხადოს გაფიცვა, გაძლევთ შემდეგ წინადადებებს:

1. მოათავსეთ წერილები „პრავდა"-სა და „იზვესტია"-ში ბაზელის მანიფესტის ბედის შესახებ და დაწვრილებით განმარტეთ მთელი ბავშური სისულელე ან სოციალ-გამყიდველობა, რომელსაც იმეორებენ მელითონეები.
2. კომინტერნის აღმასკომის უახლოეს გაფართოებულ სხდომაზე დასვით საკითხი ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და მიიღეთ ვრცელი რეზოლიუცია, რომელშიაც განმარტებული უნდა იქნას, რომ მხოლოდ წინასწარ მომზადებულ გამოცდილ რევოლიუციონურ პარტიას, საუკეთესო არალეგალური აპარატით შეუძლია წარმატებით აწარმოოს ბრძოლა ომის წინააღმდეგ; ამასთან ომის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას წარმოადგენს არა გაფიცვა ომის წინააღმდეგ, არამედ რევოლიუციონური უჯრედების დაარსება მებრძოლ ჯარებში და მათი მომზადება რევოლიუციის მოსახდენად.

ლენინი.

ილიჩი კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის შესახებ

მოსკოვი, 20 იანვარი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის განვითარება. იზრდება კომუნები და იქ ისახება ახალი ყოფა-ცხოვრება. და ხშირად ვეუბნებით კომუნებს იმას, რასაც ილიჩი კომუნების შესახებ სწერდა, რასაც იგი ამ საკითხის გამო ამბობდა.

საკითხი წვრილ გლეხთა გაერთიანებისა მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობებად ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში წამოიჭრა როდესაც გააფთრებული კამათი სწარმოებდა ხალხოსნებსა და მარქსისტებს შორის. ხალხოსნები უსაყვედურებდნენ მარქსისტებს, თქვენ გსურთ გლეხებს მიწა ხელიდან გამოაცალოთ და პროლეტარებად გადააქციოთო.

საუკეთესო პასუხად გამოდგებოდა 1894 წლის „ნეიე ცაიტ"-ში დაბეჭდილი ენგელსის წერილი „გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში". ამ წერილში ენგელსი ამბობს: როცა კომუნისტები სახელმწიფო ხელისუფლებას დაეპატრონებიან, ისინი წვრილ გლეხებს მეურნეობას არ ჩამოართმევენ, არამედ მაგალითის მიცემით, სახელმწიფო დახმარების გზით ხელს შეუწყობენ მათს გაერთიანებას. კოოპერაციაში შეკავშირებას მსხვილ მეურნეობებად, დაეხმარებიან, რომ თანდათან გადაიქცნენ გაერთიანებულ მეურნეობა-კომუნის უმაღლეს ფორმად.

არ ვიცი, იცნობდა თუ არა ამ წერილს ვლადიმერ ილიჩი, როცა ის ხალხოსნებს ეკამათებოდა, რადგან ეს წერილი რუსულ ენაზე პირველად მხოლოდ 1905 წელს დაიბეჭდა. ვლადიმერ ილიჩი არსად არ იხსენიებს ამ წერილს. თუმცა შემდეგ მრავალჯერ გადაიკითხა იგი, ყოველ შემთხვევაში, მან მაშინ იცოდა, თუ რას სწერდა ამის შესახებ მარქსი. მთელი პოლემიკა იმ დროინდელ ხალხოსნებთან—„ხალხის მეგობრებთან", შემდეგი საკითხის გარშემო ტრიალებდა: შესაძლებელია თუ არა რუსეთის პირობებში, თვითმპყრობელობის ბატონობისა და მასების სრული პოლიტიკური უუფლებობის დროს, კაპიტალიზმის განვითარების დროს, რომ არტელებისა, ამხანაგობებისა და წვრილ მწარმოებელთა კოოპერაციაში გაერთიანების გზით, თანდათანობით, ნელ-ნელა, ყოველგვარი პოლიტიკური ბრძოლის გარეშე, სოციალიზმში ფეხი შევდგათ? ვლადიმერ ილიჩი ამტკიცებდა, რომ ეს არის გულუბრყვილო, მავნე უტოპია. არა არტელებისა და ამხანაგობებისა, არა კოოპერაციაში წვრილ მწარმოებელთა გაერთიანების წინააღმდეგ, ლაპარაკობდა იგი, არამედ საჭირო წინასწარი პირობების შესახებ, რათა კოოპერაციაში გაერთიანებას მოეპოვებინა პოლიტიკური ბრძოლის, ხელისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობის აზრი. ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ სხვა ლაპარაკი იქნება. დამახასიათებელია, თუ რას სწერდა ამის გამო ილიჩი თავის „კაპიტალიზმის განვითარებაში", რომელმაც საბოლოოდ იდეურად დაასამარა ლეგალური ხალხოსნები. მას ციტატა მოჰყავს მარქსის „კაპიტალის" მე-3 ტომიდან: „მიწის წვრილი საკუთრების ბუნება შეუძლებლად ხდის შრომის საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარებას, შრომის საზოგადოებრივ ფორმებს, კაპიტალის საზოგადოებრივ კონცენტრაციას, დიდი მასშტაბის მესაქონლეობას, მეცნიერების პროგრესიულ გამოყენებას".

ამასთან შეფარდებით ილიჩი სწერს:

„მანქანების სისტემატიური ხმარება სოფლის მეურნეობაში ისევე ულმობელად აძევებს პატრიარქალურ „საშუალო" გლეხს, როგორც ორთქლისა და საქსოვი ჩარხი აძევებს ხელით მომუშავე ფეიქარსა და შინამრეწველს". შემდეგ: „მსხვილი სამანქანო ინდუსტრია მიწათმოქმედებაში, ისევე როგორც მრეწველობაში, რკინისებური ძლიერებით მჭნის წარმოების საზოგადოებრივი კონტროლისა და მოწესრიგების მოთხოვნილებას". „კაპიტალიზმის განვითარება" ილიჩმა ლეგალური პრესისათვის დასწერა. ამიტომ იქ პირდაპირ ვერ იტყოდა: კაპიტალიზმის დროს მიწათმოქმედების ინდუსტრიალიზაცია იწვევს გლეხობის გაღატაკებას და პროლეტარიზაციას, ხოლო როცა ხელისუფლების პატრონი პროლეტარიატი იქნება, ინდუსტრიალიზაციას აუცილებლად მოჰყვება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. ყოველივე ეს უნდა თქმულიყო ნართაულად, გადაკვრით. მას, რაც ზემოთ სთქვა, ილიჩმა დაუმატა: „ჩვენში" ტექნიკის გაძლიერება შეუძლიათ მხოლოდ სოფლის წამოწყებს.

„ჩვენში" სოფლის წვრილ და მსხვილ წარმოებათა ეს პროგრესი განუყრელად არის დაკავშირებული გლეხობის გაღატაკებასთან და სოფლის პროლეტარიატის შექმნასთან". წინწკლებში ჩასმული „ჩვენში" გულისხმობდა „კაპიტალიზმის დროს".

ყოველივე ეს იწერებოდა 30 წლის წინად. ილიჩი „კაპიტალიზმის განვითარება"-ს საპატიმროში სწერდა და დაამთავრა გადასახლების დროს. განვლო 20 წელმა გაალმასებულ პოლიტიკურ ბრძოლაში. კოოპერაციაში გაერთიანებისა და კოლექტივიზაციის შესახებ ილიჩი არ ლაპარაკობდა და არ სწერდა. მაგრამ აი დაიწყო თებერვლის რევოლიუცია; ძირიან-ფესვიანად შეიცვალა პოლიტიკური ცხოვრების პირობები; აი დაბრუნდა ილიჩი საზღვარგარეთიდან და 14 აპრილს პეტროგრადის საერთო საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე სთქვა:

„მიწის ნაციონალიზაცია ისეთი ზომაა, რომელიც არ სცილდება ბურჟუაზიული წყობილების ჩარჩოებს, მაგრამ მიწის ნაციონალიზაციას შეიძლება შეურიგდეთ. თუ გლეხები მიწას დაეპატრონებიან. ჩვენ როგორც პროლეტარულმა პარტიამ, უნდა ვსთქვათ რომ მხოლოდ მიწა ვერ გამოჰკვებავს გლეხებს. მის დასამუშავებლად საჭირო იქნება. მაშასადამე, კომუნის მოწყობა".

1917 წლის 22 მაისს, გლეხთა დეპუტატების პირველ სრულიად რუსეთის ყრილობაზე ილიჩმა ვრცლად ილაპარაკა მსხვილ სანიმუშო მეურნეობათა ორგანიზაციის, მიწის საერთო დამუშავების შესახებ სასოფლო-სამეურნეო მუშათა საბჭოების ხელმძღვანელობით. „თუ ეს საერთო დამუშავება არ იქნება სასოფლო-სამეურნეო მუშათა საბჭოების ხელმძღვანელობით, მთელი მიწა მშრომელების ხელში ვერ მოექცევა. რასაკვირველია, საერთო დამუშავება ძნელი საქმეა, რასაკვირველია, თუ ვინმე იფიქრებს, რომ ასეთი საერთო დამუშავება შეიძლება ზემოდან დაადგინონ და თავზე მოახვიონ გლეხებს, ეს სიგიჟე იქნებოდა. რადგან ცალკე მეურნეობათა საუკუნოებრივი ჩვეულება უცებ ვერ მოისპობა, რადგან ამ საქმისათვის საჭიროა ფული, რადგან საჭიროა ცხოვრების ახალ საფუძვლებთან შეგუება. ეს საბჭოები, ეს აზრი საერთო დამუშავების, საერთო ინვენტარის, საერთო საქონლის შესახებ და აგრონომებთან ერთად მანქანა-იარაღების საუკეთესოდ გამოყენების შესახებ. ეს საბჭოები რომ ცალკე პარტიების მოგონილი იყოს, მაშინ საქმე ცუდათ იქნებოდა, რადგან რომელიმე პარტიის რჩევით ათეული მილიონები რევოლიუციას არ დაიწყებენ; ასეთი ცვლილება კი გაცილებით უფრო დიდი რევოლიუცია იქნება, ვიდრე ჭკუანაკლები ნიკოლოზ რომანოვის ჩამოგდება; ვიმეორებ, ათეული მილიონები რევოლიუციას შეკვეთით არ იწყებენ. იწყებენ მაშინ, როდესაც აუტანელი გაჭირვება დგება, როდესაც ხალხი უკიდურეს მდგომარეობაში ვარდება, როდესაც ათეულ მილიონ ადამიანთა შეტევა და გაბედულობა ამსხვრევს ყველა ძველ ზღუდეს და შეუძლია შექმნას ახალი ცხოვრება".

შემდეგ ილიჩი ამბობს, რომ მიწის გადასვლა მშრომელთა ხელში ჯერ კიდევ საკითხის გადაწყვეტა არ არის. „ჩვენ ვიცით, რომ 1865 წელს ამერიკაში მონათმფლობელნი დამარცხდნენ და შემდეგ რამდენიმე ასი მილიონი დესეტინა გლეხებს უსასყიდლოდ ან თითქმის უსასყიდლოდ დაურიგდათ; მიუხედავად ამისა, იქ კაპიტალიზმი ისე ბატონობს, როგორც არსად. და მშრომელ მასებს, თუ მეტად არა, ისევე აწუხებს, როგორც სხვა ქვეყნებში". აი ის სოციალისტური მოძღვრება, აი ის დაკვირვება სხვა ხალხებზე, რომელმაც იმ მტკიცე რწმენამდე მიგვიყვანა, რომ თუ მიწას საერთოდ არ დაამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო მუშები საუკეთესო მანქანებით და მეცნიერულად განსწავლული აგრონომების ხელმძღვანელობით კაპიტალიზმის უღლისაგან ხსნა არ მოხერხდება".

25 ოქტომბერს გაიმარჯვა პროლეტარულმა რევოლიუციამ, ხელისუფლება საბჭოების ხელში გადავიდა. 26 ოქტომბერს საბჭოების მეორე ყრილობაზე მიღებულ იქნა მიწის დეკრეტი, რომელსაც ესოდენ დიდხანს ელოდნენ გლეხები. თავისთავად დეკრეტმა არ მოსპო კლასობრივი ბრძოლა სოფლად. ეს ბრძოლა გაძლიერებული იყო. საბჭოები ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით სოფლად არ არსებობდნენ. სრულიად რუსეთის ცენტრ. კომიტეტის დადგენილებით 1918 წლის გაზაფხულზე მოეწყო ღარიბი გლეხობის კომიტეტები. ხოლო 1918 წლის 17 ნოემბერს საბჭოების მე-6 ყრილობამ დაადგინა ღარიბი გლეხობის კომიტეტების დაშლა და სოფლისა და თემის საბჭოების მოწყობა; ეს ორგანოები საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი ორგანოებია სოფლად, მათ ირჩევს მთელი მოსახლეობა, რომელიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევა. დეკემბერში მოწვეულ იქნა ღარიბი გლეხობის კომიტეტების სადგილ-მამულო განყოფილებებისა და კომუნების პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა. ამ ყრილობაზე ილიჩი გულმხურვალედ მოუწოდებდა დამსწრეებს მეურნეობის ყველა საფუძველის გარდაქმნისაკენ. ლაპარაკობდა, რომ საჭიროა ბრძოლა მიწის საზოგადოებრივი დამუშავებისათვის—„ძველებურად ცხოვრება, როგორც ომამდე ვცხოვრობდით, შეუძლებელია. ადამიანის ძალ-ღონისა და შრომის ფლანგვა, რომელიც დაკავშირებულია წვრილ განცალკევებულ გლეხურ მეურნეობასთან ვეღარ გაგრძელდება. ერთი-ორად, ერთი-სამად გაიზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. ერთი-ორად, ერთი-სამად იქნებოდა დაზოგვილი ადამიანის შრომა მიწათმოქმედებისა და ადამიანის მეურნეობისათვის, ამ დაქსაქსული წვრილი მეურნეობიდან გადასვლა რომ მომხდარიყო განსაზოგადოებულ მეურნეობაზე".

1919 წელს საკმაოდ გაძლიერებული ტემპით იქნა დაწყებული კომუნების მოწყობა. მაგრამ საქმეს აფერხებდა წარმოების წესების კულტურული ჩამორჩენილობა და არ ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა მოეკიდოთ ხელი საქმისათვის. 1919 წლის მარტში რუსეთის კომპარტიის მე-8 ყრილობაზე ილიჩი ლაპარაკობდა სოფლად მუშაობის შესახებ და გადმოშალა ამ მუშაობის მთელი სიძნელეები. „თქვენ იცით—ამბობდა ის—რომ სოფელი მოწინავე ქვეყნებშიაც კი სიბნელეში იმყოფებოდა. რასაკვირველია, სოფლის კულტურას ავამაღლებთ, მაგრამ ეს იქნება წლების საქმე. აი რას ივიწყებენ ამხანაგები და აი რას გვიჩვენებს თვალსაჩინოდ ადგილებიდან მოსულთა თვითეული სიტყვა". სხვა სიძნელის შესახებაც ლაპარაკობდა იგი: „გლეხებს დღევანდლამდე შერჩენიათ მტრული განწყობილება მსხვილი მეურნეობის წინააღმდეგ. გლეხი ფიქრობს: თუ მსხვილი მეურნეობა იქნება, მაშინ მე ისევ მოჯამაგირე ვყოფილვარ. რასაკვირველია, ეს შეცდომაა: მაგრამ გლეხს მსხვილ მეურნეობასთან დაკავშირებული აქვს სიძულვილი და მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ სჩაგრავდნენ ხალხს მემამულეები. ეს გრძნობა დარჩენილია, იგი ჯერ არ მომკვდარა". ილიჩი აღნიშნავდა, თუ როგორ აძნელებს ჩვენს მუშაობას სოფლად ჩვენი საერთო სიღარიბე. „ჩვენ რომ ხვალ შეგვეძლოს და სოფელს 100.000 პირველხარისხოვანი ტრაქტორი მივაწოდოთ თავისი ბენზინით, თავისი მემანქანეებით (თქვენ კარგათ იცით, რომ ეს ფანტაზიაა). მაშინ საშუალო გლეხი იტყოდა: „მე კომუნის მომხრე ვარო". მაგრამ ჩვენ რომ ეს მოვახერხოთ, ჯერ საერთაშორისო ბურჟუაზია უნდა დავამარცხოთ. უნდა ვაიძულოთ იგი, რომ ეს ტრაქტორები მოგვცეს, ან ჩვენი წარმოება ისე უნდა გავაძლიეროთ, რომ ჩვენ თვითონვე მივაწოდოთ ისინი". მიწათმოქმედების ყველა საფუძვლის გარდაქმნა—ხანგრძლივი საქმეა. სოფლის მეურნეობაში გადატრიალების მოხდენა „ზემოდან" შეუძლებელია: „იმაზე დიდი სისულელე არაფერია, როგორც თვით აზრი ძალდატანებისა საშუალო გლეხის სამეურნეო ურთიერთობათა დარგში".

ილიჩს აგონდება 1894 წელს დაწერილი ენგელსის წერილი და ამბობს: ბრძანებლობა კი არ არის საჭირო, არამედ დარწმუნება და პროპაგანდა მაგალითის ჩვენებით. ილიჩი ლაპარაკობს იმ უდიდესი როლის შესახებ, რომელიც ამ საქმეში შეუძლიათ შეასრულონ ქალაქის მუშებს. 1919 წლის ნოემბერში სრულიად რუსეთის თათბირზე სოფლად მუშაობის შესახებ იგი ისევ იმეორებს: „მხოლოდ საერთო საარტელო საამხანაგო შრომის დახმარებით შეიძლება გამოსვლა იმ ჩიხიდან, რომელშიაც შეგვრეკა იმპერიალისტურმა ომმა"-ო.

1919 წლის დეკემბერში მოწვეულ იქნა სადგილ-მამულო კომუნებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების პირველი ყრილობა. ვლადიმერ ილიჩმა ამ ყრილობაზე ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მათ უნდა მოიპოვონ ახლო საერთოდ ყოველგვარი ორგანიზაციები, რომელთა მიზანს შეადგენს წვრილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის გარდაქმნა საზოგადოებრივ მეურნეობად და ამ გარდაქმნისათვის ხელის შეწყობა, განზე არ უნდა იდგნენ, არამედ უნდა ეხმარებოდნენ ახლო-მახლო გლეხთა მოსახლეობას. ის ლაპარაკობდა კომუნების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, იმის შესახებ, რომ მათ უნდა მოიპოვონ ახლო მახლო გლეხობის ნდობა: „ჩვენ უნდა უფრთხილდეთ იმას, რომ გლეხებმა არა სთქვან კომუნარებისა და არტელებისა თუ ამხანაგობების წევრთა შესახებ, რომ ისინი ხაზინის სარჩენნი არიან და გლეხებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ მათ შეღავათებს აძლევენო".

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს თავის წერილში „სასურსათო გადასახადის შესახებ" ვლადიმერ ილიჩი ეხება კოოპერაციის საკითხს (ის ხმარობს ტერმინს ენგელსისას, რომელიც ხმარობდა „კოოპერაციაში გაერთიანებას" და არა „კოლექტივიზაციას"). „წვრილ მეურნეთა კოოპერაციიდან გადასვლა სოციალიზმზე წარმოადგენს წვრილ წარმოებიდან გადასვლას მსხვილ წარმოებაზე. ე. ი. წარმოადგენს უფრო რთულ გადასვლას, რომელსაც შეუძლია, თუ წარმატებით დაგვირგვინდება იგი, მოსახლეობის უფრო ფართო მასებს შეეხოს, აღმოფხვრას უფრო ღრმა, უფრო გამძლე ფესვები, წინა კაპიტალისტური ურთიერთობათა ის ძველი ფესვები კი, რომლებიც ყველაზე ჯიუტნი არიან ყოველივე „ახალის" მიმართ. კოოპერატიული პოლიტიკა, თუ იგი გამარჯვებს გააძლიერებს წვრილ მეურნეობას, გააადვილებს მის გადასვლას მსხვილ წარმოებაზე ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძვლების მიხედვით".

1922 წელს ილიჩმა პარტიის მე-11 ყრილობისათვის განიხილა თეზისები სოფლად მუშაობის შესახებ და პოლიტბიუროს წევრებისადმი მიმართულ წერილში აღნიშნა, რომ ახლა „კოოპერაციაში გაერთიანების" შესახებ განყენებულად ლაპარაკი აღარ შეიძლება. საჭიროა სულ სხვანაირი განმარტება—სწერს იგი—აღარ უნდა გავიმეოროთ ცარიელი ლოზუნგი „გაერთიანდით კოოპერაციაში", არამედ კონკრეტულად უნდა ვილაპარაკოთ კოოპერაციაში გაერთიანების პრაქტიკულ გამოცდილებაზე და იმაზე, თუ როგორი დახმარება გაუწიოთ მას. ილიჩი ამბობს, რომ საჭიროა მასალის მოგროვება ამ საკითხის შესახებ, საჭიროა მისი პრაქტიკულად დამუშავება. ზოგადი სიტყვების გამეორება მავნებელია—სწერს იგი. ამის ნაცვლად, უკეთესი იქნება, თუ ერთ მაზრას მაინც ავიღებთ და საქმიანი ანალიზით დავამტკიცებთ, თუ როგორ უნდა შეეწყოთ ხელი „კოოპერაციაში გაერთიანებას". ის გვაფრთხილებს, რომ „კოოპერაცია სათამაშოდ არ გავიხადოთ", გვაფრთხილებს, რომ გადაჭარბებით არ შევაფასოთ საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შედეგები. მე-11 ყრილობაზე ილიჩი განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ მთელს მუშაობაში საჭიროა უფრო მჭიდროდ შეუკავშირდეთ გლეხობის მასას, მშრომელ გლეხობას და უკან გავიყოლიოთ იგი.

თავის უკანასკნელ წერილშიაც „კოოპერაციის შესახებ" ილიჩი კიდევ ერთხელ ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციაში გაერთიანებას, თუ როგორ გავიყოლიოთ გლეხობა კოოპერაციაში გაერთიანების გზით სოფლის მეურნეობის ყველა საფუძვლის გარდაქმნისაკენ, როგორ გავიყოლიოთ სოციალიზმისაკენ.

ჩემს თავს იმიტომ მივეცი ნება ასე ბევრი ციტატა მომეყვანა ილიჩის ნაწერებიდან, რომ, ჩემის დაკვირვებით, ილიჩის წერილს „კოოპერაციის შესახებ" ძალიან სხვადასხვანაირად განმარტავენ, ხშირად კავშირი არ არის გაბმული იმის შორის, რასაც იგი ამბობს ამ წერილში, და იმის შორის, რასაც ის წინად სწერდა და ამბობდა ამ საკითხის შესახებ. ახლა, როცა უკვე ექვსი წელიწადია გასულია ამ წერილის დაწერის შემდეგ, როცა კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა უფრო და უფრო ფართო მასებს აქცევს თავის ფარგლებში, ამ წერილს უდიდესი, სწორედ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ნ. კრუპსკაია.

ხუთი წლის თავზე[*]

ხუთი წლის წინათ მოგვშორდა ამხ. ლენინი, მოგვშორდა ფიზიკურად, აღარ მუშაობს მისი გრანდიოზული და საუცხოო გონებრივი აპარატი—ტვინი.

მისი იდეები, როგორც მარქს-ენგელსის იდეები დათესილია მთელ მსოფლიოში; ეს იდეები ნოყიერ ნიადაგზე მოხვდნენ, მათ ითვისებს მრავალი მილიონი პროლეტარი, მოჯამაგირე და ღარიბი გლეხი, აგრეთვე კაპიტალიზმ-იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული, მთელი მსოფლიოს უამრავი მოსახლეობა.

და ეს იდეები უხვს ნაყოფს გვაძლევენ კომინტერნის კარგი მხნელ-მთესველების—მისი სექციების წყალობით: საკავშირო კომპარტიის (ბ), გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის და შორეული აღმოსავლეთის კომპარტიების წყალობით...

დიდი ბრიტანეთის მძლავრი იმპერიალიზმის რღვევა ბუმბერაზული ნაბიჯით სწარმოებს მთელს მსოფლიოში, დანარჩენი საშუალო და პატარა იმპერიალიზმების შესახებ, რომ აღარაფერი ვსთქვათ....

ჯერ კიდევ სისხლს მოჭარბებული და დიდი ბრიტანეთის მეტოქე ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების იმპერიალიზმიც კი რღვევის პროცესს იწყებს... ამავე დროს, სწორედ ამ გიგანტების — იმპერიალიზმების ქვეყნებში ყველაზე სუსტი (რიცხვობრივად) კომპარტიებია და ყველაზე ძლიერი მემარჯვენე რეფორმისტები-მენშევიკები მუშათა კლასის მოღალატეები და კაპიტალიზმ-იმპერიალიზმის დაქირავებული ლაქიები...

დიაღ, მარქს-ენგელსისა და ლენინის იდეები ხორცს ისხამენ მასებში, ხდებიან ახალი ისტორიის მასიური და მამოძრავებელ ძალებად, ახალი დიდი ეპოქის, პროლეტარული რევოლიუციის ეპოქისა და კაპიტალიზმის სისტემის ეკონომიურად და იდეოლოგიურ-პოლიტიკურად საბოლოო დაცემის ეპოქის ძალებად.

მიხა ცხაკაია.

---

[*] უადგილობის გამო წერილი ვერ გავიდა წინა ნომერში. რედ.

ლენინი და ომი

ჩვენი პოლიტიკა მშვიდობიანობის პოლიტიკაა.

ხოლო ჩვენი მტრების — საერთაშორისო ბურჟუაზიის პოლიტიკა არის პოლიტიკა ომის. ჩვენი შინაური და გარეშე მტრები ცდილობენ რაც შეიძლება ჩქარა მოგვიღონ ბოლო. ჩვენი შინაური მტრები — კულაკები სოფლად და ნეპმანები ქალაქში ცდილობენ შეეკავშირდნენ ერთი მეორეს, რათა შემდეგ კავშირი გააბან საერთაშორისო ბურჟუაზიასთან. ჩვენ მუდამ ფხიზლად უნდა ვიყვეთ, მზად უნდა ვიყვეთ, მზად უნდა ვიყვეთ ომისათვის. კომინტერნის აღმასკომის მერვე პლენუმი ომის საფრთხის შესახებ ამბობს: „ის უაღრესად მძიმე პირობები, რომლებშიაც ომი აყენებს მუშათა ორგანიზაციებს (ლენინი — „ინსტრუქცია ჰააგაში გასაგზავნ დელეგატებისათვის") კომპარტიებს ავალებს **ყოველ წუთს** მზად იყვნენ ამ ომისათვის. კომუნისტები ვალდებულნი არიან ომის წინააღმდეგ ბრძოლა გამართონ არა მარტო მაშინ, როცა ის დაიწყება, როცა მთავრობის ტერორი დროებით მიაყუჩებს მასების მოძრაობას, არამედ **პირველ ყოვლისა ომის მოსამზადებელ პერიოდში**. კაპიტალისტური ქვეყნების ომი ურთიერთ შორის ან ჩვენი კავშირის წინააღმდეგ შეიძლება დაიწყოს სრულიად უმნიშვნელო საბაბით. როცა სურთ ომი „საბაბი" ადვილი მოსანახია. 1914 წელს საომარი მოქმედების დაწყების „საბაბად" გამოიყენეს ჰერცოგის მოკვლა სარაევოში. ასეთ „საბაბს" ყოველთვის იპოვნიან. ჩვენ მშრომელ მასებს უნდა უთხრათ ის სიმართლე, რომ კაპიტალისტური ქვეყნები უომრად ვერ გასძლებენ. მათ შორის ომი აუცილებელია. ეს ერთი. მეორე: კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენ არ მოგვასვენებენ. ჩვენს კავშირს არ დაივიწყებენ. უომრად საქმე არ გათავდება. ადრე თუ გვიან რაიმე საბაბს იპოვნიან და დაიწყებენ სამხედრო მოქმედებას. ლენინი საერთაშორისო ომის დროს 1915 წელს სწერდა: „მუშათა კლასისათვის თვალის ახვევის ერთ-ერთი ფორმაა პაციფიზმი და მშვიდობიანობის აბსტრაქტული ქადაგება. კაპიტალიზმის დროს, განსაკუთრებით მის იმპერიალისტურ სტადიაში ომები აუცილებელია. ის, ვინც ამჟამად ეწევა მშვიდობიანობის პროპაგანდას და ამავე დროს არ მოუწოდებს მასებს რევოლიუციონურ მოქმედებისაკენ, სთესავს მხოლოდ ილიუზიებს, პროლეტარიატს უნერგავს ნდობას ბურჟუაზიის ჰუმანიურობისადმი და სათამაშო ნივთად აქცევს მას მებრძოლ სახელმწიფოთა საიდუმლო დიპლომატიის ხელში".

ჩვენ დღესვე ყოველმხრივ და ყოველნაირად მზად უნდა ვიყვეთ ამ შემთხვევისათვის. ომის შემთხვევისათვის. ყველა მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო, საშიშარ პოსტზე უნდა იყვნენ ბრძოლაში ნაცადი და გამობრძმედილი ბოლშევიკები. ყოველ ბოლშევიკს, რომელსაც უჭირავს ესა თუ ის მნიშვნელოვანი პარტიულ-სახელმწიფოებრივი თანამდებობა, ჩვენ უნდა უყურებდეთ არა მარტო მისი დღევანდელი მუშაობის თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე ხვალინდელი დღის თვალსაზრისით, მომავალი აუცილებელი ომის თვალსაზრისით. ჩვენ უნდა შევეკითხოთ ჩვენ თავს: საკმაოდ უყვართ და საკმაოდ პოპულიარულია თუ არა ესა თუ ის მუშაკი —ბოლშევიკი მშრომელ მასებში აქვს თუ არა მას მჭიდრო კავშირი მშრომელ მასებთან და შესძლებს თუ არ ის ომის შემთხვევაში ენტუზიაზმით წაიყვანოს ეს მასები ბრძოლაში? ლენინის დირექტივა „პირების შერჩევის" შესახებ სავსებით ძალაში რჩება.

საერთაშორისო რეაქცია შეტევაზე გადმოდის, მას ხელმძღვანელობს ინგლისი. ის ტონსა და მიმართულებას აძლევს მთელს საერთაშორისო რეაქციას. ინგლისში გაფიცვების თავისუფლება თითქმის გაუქმებულია. ახალი კანონი პროფესიონალური კავშირების შესახებ გაფიცვების უფლებას ართმევს მუშათა კლასს.

ფაშისტურ იტალიაში პროფკავშირების „გასახელმწიფოებრივება" უდიდეს იარაღს აძლევს მუსოლინის პროლეტარიატის წინააღმდეგ.

სამხრეთ-სლავიაში უკვე ბატონობს სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა.

ავღანისტანში დიდი ბრიტანეთის დახმარებით გაიმარჯვა რეაქციამ.

საფრანგეთში მიიღეს ბონკურის კანონი „ერის შეიარაღების შესახებ. ამ კანონის თანახმად ომის დროს ხდება საფრანგეთის მთელი მოსახლეობის მობილიზაცია განურჩევლად ჰასაკისა და სქესისა. გაფიცვების უფლება უქმდება. გაფიცვის ყოველი მონაწილე გადაეცემა სამხედრო საველე სასამართლოს. ლენინის გამჭრიახობას დიდი ხანია გათვალისწინებული ჰქონდა „სოციალისტ" ბონკურის და საფრანგეთის ბურჟუაზიის ასეთი კანონი. „დღეს იმპერიალისტური ბურჟუაზია, — სწერს ის — მილიტარიზაციას უშვრება არა მარტო მთელ ხალხს, არამედ ახალგაზრდობასაც, ხვალ ალბად ის შეუდგება ქალების მილიტარიზაციას". (ლენინი ტ. XIII).

მეორე ინტერნაციონალი აწარმოებს გაძლიერებულ იდეოლოგიურ პროპაგანდას მუშებში, რათა ხელახლა გამოიყვანოს ერთი ქვეყნის მუშები მეორე ქვეყნის მუშების წინააღმდეგ. მეორე ინტერნაციონალი საერთაშორისო ბურჟუაზიის აგიტპროპია. კაპიტალისტური სახელმწიფოები ტექნიკურად ამზადებენ ომს, აძლიერებენ შეიარაღებას, ხოლო საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია იდეოლოგიურად ამზადებს ომს, მათ შორის მხოლოდ დაყოფილია ფუნქციები. დიდი ხანია ნათქვამი იყო და „დასაბუთებულ" იქნა მსოფლიო ომის დროს რომ „ინტერნაციონალი მშვიდობიანი დროის იარაღია" (კ. კაუცკი). ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კ. კაუცკის ამ პრინციპს არასოდეს არ დაივიწყებენ მეორე ინტერნაციონალის ბელადები დაწყებული ალბერტ ტომადან, რამზეი მაკდონალდიდან და გათავებული „რევოლიუციონური" ფრაზიორობის გმირებით, რომელთაც სათავეში უდგას ოტო ბაუერი.

უკანასკნელი იმპერიალისტური ომის დროს ჩვენ, ჩვენს თავზე გამოვსცადეთ, თუ რას ნიშნავს რევოლიუციონური ფრაზა და რევოლიუციონური საქმე. მეორე ინტერნაციონალის გმირები ომამდე დაუღალავად გაჰყვიროდნენ: „ომზე უპასუხებთ საყოველთაო გაფიცვით, ბოიკოტს გამოუცხადებთ ომს"-ო და სხვა., რამოდენიმე დღით ადრე მსოფლიო იმპერიალისტურ ომამდე ისინი, თითქოს, მტკიცედ იდგენ თავიანთ გადაწყვეტილებებზე. მაგალითისათვის ავიღოთ მხოლოდ ორი ქვეყანა: საფრანგეთი და გერმანია, სადაც სოციალ-დემოკრატიული პარტიები ყველაზე უფრო ძლიერი იყვნენ და დიდ იმედებს იძლეოდნენ. საფრანგეთში 27 ივლისს, ომის გამოცხადებამდე ოთხი დღით ადრე „ბატაი სინდიკალისტ" სწერდა: „გაიღვიძეთ პარიზის მოქალაქენო! ხელი შეუშალეთ ომს თქვენი ენერგიული მოქმედებით! მოდით ბულვარებში დღეს საღამოთი!.. ჩვენ არ გვინდა ომი"...

ასეთი განცხადებებით გამოდიოდა მთელი სოციალისტური პარტია, რამოდენიმე დღით ადრე ომამდე, ხოლო 2 აგვისტოს, როცა ომის საფრთხე რეალური ფაქტი გახდა, სოციალისტების კრებაზე, რომელსაც უნდა მოესმინა ინტერნაციონალურ სოციალისტურ ბიუროს დელეგაციის მოხსენება, სოციალისტები ნამდვილი შოვინისტური ენით ალაპარაკდენ.

ძველმა კომუნარმა ვალიანმა განაცხადა: „სოციალისტები ერთდაიმავე დროს შეასრულებენ თავის პატრიოტულ და თავის სოციალისტურ მოვალეობას; თუ ისინი მოხვდენ პირისპირ თავდამსხმელებთან ისინი შეასრულებენ თავის მოვალეობას სამშობლოს, რესპუბლიკისა და რევოლიუციის წინაშე".

ჩვენ უკვე ვიცით, როგორ შეასრულეს მათ თავიანთი მოვალეობა რევოლიუციის წინაშე. მათ საფრანგეთის პროლეტარიატი გაგზავნეს სანგრებში ბურჟუაზიული სამშობლოს დასაცავად იმ დროს, როცა საფრანგეთის გვამებზე საფრანგეთის ბურჟუაზია ათეულ და ასეულ მილიონებს იგებდა.

ერთი სიტყვით, როცა საჭირო იყო რევოლიუციონურ ფრაზებიდან რევოლიუციონურ საქმეზე გადასვლა, საფრანგეთის სოციალისტებმა, საფრანგეთის ბურჟუაზიასთან ჩამოაგდეს სამოქალაქო ზავი ორივე ქვეყნის პროლეტარების ამოსაწყვეტად.

ასევე მოიქცენ გერმანელი და ავსტრიელი სოციალ-დემოკრატები. „ფორვერტს"-მა 1914 წლ. 27 ივლისის ნომერში მოათავსა წერილი სათაურით: „ისევ, როგორც ყოველთვის ომის წინააღმდეგ". „ბერლინში გამოუშვეს მოწოდება: „ძირს ომი"! მეტად სერიოზულ მომენტში გაისმა ეს ხმა პროლეტარიატსა და მოსახლეობას შორის. საჭიროა შევქმნათ მთლიანი ფრონტი ომის პასუხისმგებელ და უპასუხისმგებლო ინიციატორების წინააღმდეგ, რომელნიც არ ერიდებიან მსოფლიო ხანძარის დანთებასაც კი. ხუთშაბათს გაიმართება 27 კრება. ამ კრებებმა უნდა დაანახვოს მთელს ქვეყანას, რომ ფართო მასები სოლიდარობას უცხადებენ მათ ძმებს და დებს, რომელნიც სცხოვრობენ საზღვრის მეორე მხარეს, მშვიდობიანობა და თანხმობა და არა ხოცვა-ჟლეტა, არა შუღლი და მტრობა, — ასეთია ხალხის სურვილი".

როცა საჭირო გახდა რევოლიუციონურ სიტყვებიდან რევოლიუციონურ საქმეზე გადასვლა სოციალ-დემოკრატებმა გერმანიის ბურჟუაზიასთან შეჰკრეს კავშირი და შეუდგენ ფატერლანდის (სამშობლოს) დაცვას გერმანიის და საფრანგეთის მუშების ამოსაწყვეტად.

რეიხსტაგი უნდა შეკრებილიყო 4 აგვისტოს. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია შეიკრიბა ერთი დღით ადრე 3 აგვისტოს და გადასწყვიტა ხმა მიეცა სამხედრო კრედიტისათვის.

ერთის სიტყვით, გერმანიის სოციალ დემოკრატია, ისე როგორც საფრანგეთის, გაჰყვა თავის ბურჟუაზიას, გაგზავნა გერმანელი პროლეტარები სანგრებში, ხმა მისცა სამხედრო კრედიტებს 5 მილიარდი მარკის რაოდენობით.

მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი — ვიქტორ ადლერი ლაპარაკობდა ისეთივე ენით, როგორც გერმანელი და ფრანგი სოციალ-პატრიოტები.

„როგორიც არ უნდა იყვეს ომის მიზეზი, როგორც არ უნდა ვაფასებდეთ, ჩვენ ომის მომზადების შედეგებს... ერთი რამ ეჭვს გარეშეა: **ჩვენი უმაღლესი მოვალეობა მდგომარეობს** იმაში, რომ დავიცვათ სამშობლოო".

და აი ეს ხალხი მეორე ინტერნაციონალის ეხლანდელი ხელმძღვანელები ახალი ომის დროს კვლავ გაგზავნიან მუშათა კლასს სანგრებში სისხლის საღვრელად. ეს ეჭვს გარეშეა. ამიტომ როგორ უნდა იქცეოდნენ კაპიტალისტურ ქვეყნების კომუნისტები ომამდე და ომის დროს?

„ომი ომს", „იმპერიალისტური ომის გარდაქცევა სამოქალაქო ომად", „თავისი (ბურჟუაზიული) მთავრობის დამარცხება იმპერიალისტურ ომში" — იმპერიალისტური სახელმწიფოების ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კაპიტალისტურ ქვეყნების მუშები აქტიურად უნდა იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის გამარჯვებისათვის. ყველა ეს დებულებები უაღრესად ინტერნაციონალისტური რჩება აქამდის.

ლენინი სწერდა: „ბოიკოტი ომს— სულელური ფრაზაა. კომუნისტებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ყოველგვარ რეაქციონურ ომში" (5). ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილი უნდა უყუროთ როგორ ამზადებს და აცხადებს ომს ბურჟუაზია?

არა!

ომის წინააღმდეგ ბრძოლაში სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს პროლეტარიატის **მასიურ მოძრაობაზე**. მასიური მოძრაობის გარეშე ჩვენ წარმატებით ვერ ვაწარმოებთ „ომს ომის წინააღმდეგ". პროპაგანდა აგიტაცია, მუშების დარაზმვა ფაბ.-ქარხნებში. ჯარისკაცთა დარაზმვა არმიაში ომის წინააღმდეგ — აი მთელი ჩვენი მუშაობის სიმძიმის ცენტრი.

„არა ომის საბოტაჟი, არა ცალკე ინდივიდუალური გამოსვლები, არამედ მასიური პროპაგანდა, რომელმაც ომი უნდა გადააქციოს სამოქალაქო ომად" (ლენინი).

ომის დროს ჩვენ მხარს უჭერთ საყოველთაო გაფიცვას, მაგრამ ის უნდა დაიწყოს რევოლიუციონურ სიტუაციაში და გადაიქცეს აჯანყებად.

კომინტერნის აღმასკომის მერვე პლენუმი ამბობს: „ლენინის შეხედულებიდან ომზე სრულიად შემცდარი დასკვნები გამოჰყავთ. ინსტრუქცია ჰააგაში მიმავალ დელეგაციისათვის ესმით ისე, რომ თითქოს ჩვენ უარს ვამბობთ გაფიცვაზე, როგორც ომის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებაზე".

როცა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის გამოცხადდება ომი, საყოველთაო გაფიცვის გატარება მეტად ძნელი იქნება. მაგრამ ჩვენ უნდა ვაწარმოოთ პროპაგანდა საყოველთაო გაფიცვის სასარგებლოდ, როგორც ომამდე, ისე ომის დროს. ხოლო როცა შეიქნება რევოლიუციონური სიტუაცია საყოველთაო გაფიცვის ლოზუნგი უნდა გადაიქცეს **მოქმედების ლოზუნგად** ე. ი. მხოლოდ რევოლიუციონურ სიტუაციის დროს შესაძლო იქნება პრაქტიკულად გატარება საყოველთაო გაფიცვის, რომელიც უნდა გადაიქცეს შეიარაღებულ აჯანყებად.

„კომუნისტები უნდა წავიდნენ ყოველგვარ რეაქციონურ ომში", იმისათვის, რომ იმპერიალისტური ომი გადააქციონ სამოქალაქოდ. ლენინი ეუბნება პროლეტარებს: „გამოართვი იარაღი ბურჟუაზიას, ისწავლე კარგად სროლა და მიმართე ეს იარაღი საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ". ლენინი სწერდა: „შენ მოგცემენ იარაღს, აიღე ის და კარგად შეისწავლე სამხედრო საქმე. ეს მეცნიერება პროლეტარებს სჭირდებათ არა იმისათვის, რომ ესროლონ თავიანთ ძმებს, სხვა ქვეყნის მუშებს, როგორც ეს ხდება ეხლანდელ ომში და როგორც გირჩევენ შენ სოციალიზმის გამყიდველები, არამედ იმისათვის, რომ იბრძოლონ საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ ბოლო მოუღონ ექსპლოატაციას, სიღატაკეს და ომებს არა კეთილი სურვილების საშუალებით, არამედ ბურჟუაზიის დამარცხებისა და მისი განიარაღების გზით" (ლენინი ტომი XIII).

„კომუნისტები უნდა წავიდნენ ყოველგვარ რეაქციონურ ომში — ეს გაგებული უნდა იქნეს იმ აზრით, რომ ჩვენ ინდივიდუალურად მივდივართ ომში. ინდივიდუალურად უარის თქმა ომზე იქნებოდა ტოლსტოის მიმდევრობა, იქნებოდა უბრალო პაციფიზმი. ჩვენ ინდივიდუალურად მივდივართ ომში. მაგრამ როგორც პარტია განვაგრძობთ ბრძოლას ომის წინააღმდეგ, ვცდილობთ გადავაქციოთ ის სამოქალაქო ომად. ჩვენ როგორც პარტია წინანდებურად განვაგრძობთ კლასობრივი პოლიტიკის გატარებას. ჩვენ შევინარჩუნებთ და დავაარსებთ (სადაც წინად არ იყო) არალეგალურ ორგანიზაციებს ომის წინააღმდეგ. კომპარტია მშვიდობიანობის სადარაჯოზე იდგა ომის გამოცხადებამდე, იბრძოდა ომის შესაძლებლობის წინააღმდეგ, ის მშვიდობიანობის სადარაჯოზე რჩება ომის გამოცხადების შემდეგაც, აქ არავითარი გადახრა არ არის პარტიის მუშაობაში და არც შეიძლება იქნეს. ჩვენი კომუნისტი დეპუტატები კაპიტალისტურ ქვეყნებში, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტები, ცენტრალური ორგანიზაციები და პროფკავშირები ერთხმად უნდა გამოდიოდნენ ომის წინააღმდეგ.

„ჩვენ ინდივიდუალურად მივდივართ ომში". ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ ინდივიდუალურად იმისთვის, რომ დავემორჩილოთ ბურჟუაზიის სამხედრო შტაბის დირექტივებს, გავწყვიტოთ ჩვენი ძმები სანგრების მეორე მხარეზე.

როცა ინდივიდუალურად მივდივართ რეაქციონურ ომში, ჩვენ ვემორჩილებით არა სამხედრო შტაბის დირექტივებს, არამედ ჩვენი პარტიის, ჩვენი ხელმძღვანელი შტაბის, ჩვენი ცეკას დირექტივებს.

სანგრებში პირველ დღიდანვე ჩვენი ამხანაგების ამოცანაა: **არალეგალური დასაყრდენი პუნქტების შექმნა ომის წინააღმდეგ.**

რატომ არის სულელური ფრაზა „ბოიკოტი ომს"? სულელური ფრაზაა იმიტომ, რომ რაკი ომი გამოცხადებულია ბურჟუაზიის ხელთ არის უდიდესი სახელმწიფო აპარატი (ჯარი, პოლიცია) ყოველგვარი უკმაყოფილების აღმოსაფხვრელად, მის ხელთ არის პრესა, ეკლესია და სხვ. საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად და მასების ასამოძრავებლად ომის სასარგებლოდ.

ლენინი მშვენივრად აგვიწერს პროლეტარიატისათვის ამ მეტად ძნელ პირობებს. ომის მომზადების საიდუმლოებას, ომის მოულოდნელად დაწყებას და აგრეთვე იმას, რომ „მუშათა ჩვეულებრივი ორგანიზაცია, თუმცა ის თავის თავს რევოლიუციონურს უწოდებს, უძლურია ხელი შეუშალოს ომის დაწყებას"; სამშობლოს დაცვის საკითხს „მშრომელთა დიდი უმრავლესობა გადასწყვეტს თავისი ბურჟუაზიის სასარგებლოდ, ვინაიდან მშრომელნი იმყოფებიან ბურჟუაზიის სახელმწიფო აპარატის ზეგავლენის ქვეშ, აპარატის, რომლის ხელშია მთელი ინფორმაცია" („ინსტრუქცია ჰააგაში მიმავალ დელეგატებისათვის").

ამ ძლიერ სახელმწიფო მექანიზმის დახმარებით ბურჟუაზია ომის პირველ დღეებში შექმნის მძლავრ მიმდინარეობას ომის სასარგებლოდ. ჩვენი პრესა დახურული იქნება. ჩვენი ამხანაგები დაპატიმრებული იქნებიან ან გადავლენ არალეგალურ მდგომარეობაში, — ამრიგად მუშათა კლასს **პირველ დღეებში აუცილებლად ჩაითრევენ ომში. „ბოიკოტი ომს" ასეთ პირობებში** იქნება უბრალო ანარქისტული ლაყბობა, სულელური ფრაზა და სხვა არაფერი. **ბურჟუაზიის ამ უდიდეს ძალას უნდა დაუპირდაპიროთ მეორე ძალა — პროლეტარიატის რევოლიუციონური ძალა** და ამიტომ ლენინი ამბობს: „მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ განმარტებულ იქნას ერთად-ერთი შესაძლებელი **საშუალება** ომის წინააღმდეგ საბრძოლველად, სახელდობრ, **შენარჩუნება და შექმნა ომში მონაწილე რევოლიუციონერთა არალეგალურ ორგანიზაციებისა ხანგრძლივი მუშაობის საწარმოებლად ომის წინააღმდეგ**".

უკანასკნელ იმპერიალისტურ ომის დროს ჩვენთვის განსაკუთრებით ნათელი გახდა, როგორ იმორჩილებს ყველაფერს სახელმწიფო თავისი აპარატით, როგორ ქმნის სახელმწიფო თავისი აპარატის საშუალებით სამხედრო ფსიქოზს — ქმნის ძლიერ განწყობილებას ომის სასარგებლოდ. „ბოიკოტი ომს" ასეთ პირობებში უსაქმო ხალხის ლაყბობაა და ამიტომ ლენინი გვირჩევს: „განმარტებულ უნდა იქნეს ერთად-ერთი შესაძლო საშუალება ომის წინააღმდეგ საბრძოლველად, სახელდობრ **შენარჩუნება და შექმნა არალეგალურ ორგანიზაციებისა ხანგრძლივი მუშაობის საწარმოებლად ომის წინააღმდეგ**"...

ვისაც არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც სურს ბრძოლა ომის წინააღმდეგ, ის ომის გამოცხადების მომენტში ლაყბობით კი არ უნდა კმაყოფილდებოდეს, არამედ უნდა იზრუნოს, რომ შენარჩუნებულ და დაარსებულ იქნეს არალეგალური ორგანიზაციები ხანგრძლივი მუშაობის საწარმოებლად ომის წინააღმდეგ. სხვა საშუალება ომის წინააღმდეგ საბრძოლველად არ არსებობს. ბრძოლის სხვა საშუალება ისტორიამ არ იცის, არ იცის უკანასკნელი იმპერიალისტური ომის ისტორიამაც.

მელიტონ ფილია.

წითელი ყაზარმის დათვალიერება

კამპანიის წინასწარი შედეგები

ამიერ-კავკასიის [illegible] თანამშრომელთან საუბრის დროს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. [illegible] წითელი ყაზარმის დათვალიერების შესახებ განაცხადა შემდეგი:

[illegible] დათვალიერება მიმდინარეობს საქართველოში, შემდეგ კი—სომხეთსა და აზერბეიჯანში.

დათვალიერების დაწყებიდან—ე. ი. 1 იანვრიდან—გარკვეული მიღწევებია. ბევრ სამხედრო ნაწილში მოეწყო საუცხოვო სასადილო, წითელარმიელთა უმრავლესობამ მიიღო საკუთარი ინდივიდუალური ჭურჭელი. გაუმჯობესდა სამზარეულოების მოწყობილება. გაიხსნა სახელოსნოები, სადაც წითელარმიელს მცირე სასყიდლის გაღებით შეუძლია [illegible]

[illegible]

[illegible] რომლებმაც ინტერესი და [illegible] დათვალიერების საქმისა [illegible] ბა, კერძოდ, ხელოვნების მუშაკთა და განათლების მუშაკთა კავშირები, რომლებიც [illegible] მხოლოდ [illegible] რებით დაკმაყოფილდნენ. [illegible] ვიტყვით იმაზე, თუ რა [illegible] შეეძლოთ საერთოდ პროფკავშირებს. კერძოდ ხელოვნების მუშაკთა კავშირს შეეძლო დახმარება აღმოეჩინა ყაზარმებში სამხატვრო მუშაობის მოსაწყობად, ხოლო განათლების მუშაკთა კავშირს ფართო ასპარეზი ჰქონდა ყაზარმაში სამუშაოდ, სადაც არიან წერა-კითხვის მცირე მცოდნენი.

სამოქალაქო პრესაც მცირე ყურადღებას აქცევს დათვალიერებას. ჩვენი წითელი ყაზარმის ყოფა-ცხოვრებისა და მიღწევების გაშუქება აუცილებლად აღძრავდა ფართო მასებში ინტერესს დათვალიერებისადმი.

უფრო საინტერესოდ და ცოცხლად დათვა- [illegible]

[illegible] უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციებში [illegible] მონაწილეობას იღებს სამეთაურო პერსონალი, რომელიც თავისი ცოდნით დიდ დახმარებას გაუწევდა საქმეს.

ახლო მომავალში არმიის კომისიას განზრახული აქვს შემოიაროს არმიის ნაწილები, რათა ადგილობრივ გამოარკვიოს წითელი ყაზარმის დათვალიერების შედეგები. 23 თებერვალს დაიწყება იმ ნაწილების დაჯილდოვება, რომლებიც საუკეთესო შედეგებს გვიჩვენებენ დათვალიერების დროს.

მეორე ქართულ ლეგიონში

„ყაზარმის დათვალიერების" კამპანია მეორე ქართულ ლეგიონში ტარდება. როგორც დიდი კულტურული კამპანია. ყოველი ზომებია მიღებული, რომ ყაზარმაში აღმოიფხვრას უკულტურობის ყოველგვარი ნაშთები. ამ კულტურულ მოძრაობის სათავეში დგას კომკავშირის ორგანიზაცია. გამოცოცხლებულია კავშირის ორგანიზაცია. გამოცხადებულია სასტიკი ბრძოლა ლანძღვა-გინებასთან, ლოთობასთან, და შინა-წესრიგის დარღვევის შემთხვევებთან. უნდა აღმოიფხვრეს აგრეთვე ასეთ სიტყვების ხმარება ლაპარაკში როგორიც არის „ბატონო", „ბიჭო" და სხვა. ამასთანავე ერთად მოხდება წერა-კითხვის უცოდინარობის საბოლოო ლიკვიდაცია პარტამხანაგების და კომკავშირელების ძალებით. შემოღებულია სასტიკი თვალყურის დევნა ყაზარმაში სისუფთავის დაცვისათვის და აგრეთვე ჰიგიენის მოთხოვნილებების შესრულებისათვის თითეული წითელ-არმიელის მიერ.

საგრძნობლად იცვლება ლეგიონის ყაზარმების საერთო მდგომარეობაც. ამჟამად მიმდინარეობს სასწრაფო მუშაობა ლეგიონის კლუბის ასაგებად 600 კაცისათვის. რისთვისაც უკვე ჩატარდა ერთი შაბათობა.

იმ შემთხვევაში, თუ ლეგიონი მიიღებს ცოტაოდენ დახმარებას ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებისაგან, კლუბის აშენება და მოწყობა უნდა დამთავრდეს წითელ-არმიის 11 წლის თავისათვის—23 თებერვალს. გარდა ამისა, მოწყობილია დასასვენებელი ოთახი რბილი ავეჯეულობით. შეძენილია რამოდენიმე ათეული ვენური სკამი. განზრახულია თითო სარკის შეძენა ყველა ასეულისათვის და აგრეთვე საბილიარდოს. აპირებენ სარეცხის მოწყობასაც წითელ-არმიელებისათვის.

გარდა ამისა უნდა გაუმჯობესდეს სასპორტო საქმე ნაწილებში, რისთვისაც უკვე შეძენილია ახალი სასპორტო იარაღები.



შკაფი სამოსწავლო ნივთებით ა.-კ. ქვეითი მეთაურთა სკოლაში

დათვალიერება გააუმჯობესებს აგრეთვე ლეგიონის საერთო სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს. ყველა წითელ-არმიელებს უბრალო საპონის ნაცვლად მიეცემა პირისაბანი საპონი. ეწყობა სპეციალური შკაფები გარეცხილ ფეხსახვევების გასაშრობად. ყაზარმის გარშემო ამოშრობილი იქნება ქაობები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახაზინო ქონებასთან მოფრთხილებულ მოპყრობას.

ბ. რუ—ი.

მეცნიერების მუშაკთა შორის

მეცნიერების მუშაკთა სექციის კონფერენცია

ორი დღის წინედ განათლების მუშაკთა სახლში შესდგა საქართველოს მეცნიერების მუშაკთა სექციის კონფერენცია, რომელსაც 80-ამდე დელეგატი დაესწრო. მათ შორის იყვნენ დელეგატები აჭარისტანიდან, აფხაზეთიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან. დღის წესრიგში დასმული იყო სექციის თავმჯდომარის პროფ. გ. ახვლედიანის მოხსენება და დელეგატების არჩევა მეცნიერების მუშაკთა მესამე საკავშირო ყრილობაზე.

ახალგაზრდა სამეცნიერო ძალების მომზადების საკითხი

იმ საკითხებს შორის, რომელიც წამოაყენა თავის მოხსენებაში სექციის ბიუროს თავმჯდომარემ პროფ. ახვლედიანმა, მისივე განცხადებით—ყველაზე უფრო აქტუალური და მეტად სერიოზული საკითხია ახალგაზრდა სამეცნიერო ძალების მომზადება. მომხსენებლის აზრით, ეს საკითხი დასმული ყოფილა [illegible] დამთავრებულ მეცნიერების მუშაკთა სექციის სრულიად საკავშირო საბჭოს [illegible] პლენუმზე. მოხსენებით ამ საკითხის შესახებ [illegible] პროფ. პოკროვსკი. როგორც მოხსენებიდან [illegible] ამ საკითხზე გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლით გამოირკვა, რომ ასპირანტების (მომავალ სამეცნიერო ძალების) მომზადების საკითხი არც საბჭოთა რუსეთში, და არც უკრაინაში საბოლოოდ მოწესრიგებული არ ყოფილა. მაგრამ [illegible] უარესი მდგომარეობაა საქართველოში. საბჭოთა რუსეთში და აგრეთვე უკრაინაში დღეს უკვე არსებობს ისეთი ორგანო, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს ამ [illegible] საკითხის მოწესრიგება. ჩვენს [illegible] დაწესებულებებს დღემდე ასეთი [illegible] არ შეუქმნიათ.

[illegible] ახვლედიანის მოხსენების გარშემო [illegible] აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში [illegible] მიიღო პროფ. ნუცუბიძემ, რომელმაც [illegible] გაუსვა იმ მძიმე მდგომარეობას, [illegible] ამჟამად იმყოფება ახალგაზრდა [illegible] მომზადების საქმე ჩვენში, ამ [illegible] მხოლოდ ის, [illegible] ზოგადი დებულება [illegible] მაგრამ ამ დებულების [illegible] არავითარი პრაქტიკული [illegible] არ არის გადადგმული.

ამ საკითხის გარშემო გამოსულ ორატორებმა [illegible] საჭიროა დაუყოვნებლივ დაარსდეს [illegible] ორგანო, რომელიც [illegible] გაუწევს ახალ სამეცნიერო ძალების მომზადების საქმეს; დაამუშავებს ასპირანტთა გადარჩევის წესს, შეადგენს მუშაობის პროგრამას, განსაზღვრავს სათანადო ვადებს ახალგაზრდა სამეცნიერო მუშაკთა მოსამზადებლად და მტკიცე საფუძველზე დააყენებს მეცნიერების მომავალს ჩვენში.

მეცნიერთა კულტურული კავშირი უცხოეთთან

მეორე მეტად საინტერესო და საჭირბოროტო საკითხი, რომელზედაც შეჩერდა კონფერენცია, არის უცხოეთთან კულტურული კავშირის მოწესრიგება.

როგორც თვით მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს უცხოეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოებას თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში აქვს თავისი განყოფილება. ასეთი არ არსებობს მხოლოდ ა.-კ. რესპუბლიკებში, რის გამოც უცხო მეცნიერებთან კავშირი გაძნელებული იყო და ხშირად ეს კავშირი ხერხდებოდა სათანადო [illegible] იძლეოდა. ასეთი განყოფილების დაარსება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგან უკანასკნელ ხანებში ძალიან გახშირდა როგორც უცხოელ მეცნიერთა მოგზაურობა საქართველოში, აგრეთვე ჩვენი მეცნიერების მუშაკთა მივლინებები საზღვარ გარედ სხვადასხვა სამეცნიერო საკითხების მოსაგვარებლად. როგორც პროფ. ნუცუბიძემ აცნობა კონფერენციას, უმაღლეს ორგანოებს უკვე გადაწყვეტილი აქვთ ა.-კ. რესპუბლიკათა განათლების კომისარიატებთან მოაწყონ უცხოეთთან კულტურული კავშირის განყოფილება, რომელნიც შეასრულებენ იმავე ფუნქციებს რასაც ზემოხსენებული საზოგადოება ასრულებს. საბჭოთა კავშირის მასშტაბით, საქართველოს მეცნიერების მუშაკთა სექციამ თავის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს გან. სახ. კომისარიატს, რომ ასეთი განყოფილება რაც შეიძლება ადრე მოეწყოს.

მოხსენების დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც კონფერენცია ავალებს მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიუროს დაამუშაოს ასპირანტების მომზადების საკითხი და დასვას ის მეცნიერების მუშაკთა სექციის საქალაქო კონფერენციაზე. რომელიც ამ ორ კვირაში იქნება მოწვეული.

დელეგატები მეცნიერთა საკავშირო ყრილობისათვის

დასასრულ კონფერენციამ მეცნიერების მუშაკთა სექციის მესამე საკავშირო ყრილობაზე დელეგატებად აირჩია ამხ. მ. ტორონჯაძე, პროფ. გ. ახვლედიანი პროფ. შ. ნუცუბიძე, პროფ. ა. ბოლოტნიკოვი, კანდიდატებად: პროფ. ინჟ. ბ. ქიქინაძე, და დოცენტი ზ. ხუნდაძე.

თათბირი მებამბეობის საკითხებზე

პირველი სხდომა

გუშინ ა.-კ. მებამბეობის კომიტეტში გაიხსნა მებამბეობის კომიტეტის რესპუბლიკანურ განყოფილებათა გამგეების, ბამბის საწმენდი ქარხნების და აგრონომიული მუშაკების თათბირი.

პირველ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები ადგილებიდან ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მებამბეობის კომიტეტის საქართველოს განყოფილებიდან მოხსენება გააკეთა თ. გოგიბეიშვილმა. მოხსენებიდან გამოირკვა. რომ გასულ წლის საქართველოში ბამბა დათესილი ყოფილა 7.491 ჰექტარის სივრცეზე (გეგმით ნავარაუდევი იყო 6.991,2 ჰექტარის დათესვა). მებამბეობაში ჩაბმული იყო 8.077 გლეხის და 4 საბჭოთა მეურნეობა. არა ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო, მოსავლის აკრეფა დაგვიანდა და ჯერაც არ არის სავსებით დამთავრებული 10 იანვრამდე მთელ საქართველოში აკრეფილია 2359 ტონა ბამბა. საშუალო მოსავალი ჰექტარზე უდრის —335 კილოგრამს.

განყოფილებას განზრახული ჰქონდა ბამბის გაწმენდა ეწარმოებია შულავერის № 1 და ქუთაისის № 3 ქარხნებში, მაგრამ ვინაიდან დასავლეთ საქართველოში მოდიოდა მეტად დაბალი მოსავალი, მთელი ბამბა გაწმენდილი იქნება შულავერის ქარხანაში. ამასთანავე განყოფილებას საჭიროთ მიაჩნია ქუთაისის ბამბის გამწმენდი ქარხნის ლიკვიდაცია.

გასული წლის მოსავლიანობამ ხორბლეულის და საკვების სიმცირემ ერთი მხრით და ცუდმა ამინდებმა მეორე მხრით ძალიან ცუდი გავლენა იქონიეს ბამბის მოსავალზე. ცუდი ამინდების გამო. მებამბეები ხშირათ ჰექტარ ნათესზე სტოვებენ 150 კილოგრამამდე აუკრეფავ ბამბას.

გასული წლის განმავლობაში კომიტეტს მებამბე გლეხებისთვის მიცემული ჰქონდა ავანსი 381.446 მანეთის რაოდენობით. აქედან ა. წ. 10 იანვრისათვის განაღდებული იყო 313.143 მან. ამრიგათ გაუნაღდებელი დარჩა 68.303 მანეთი, აქედან გლეხებზე დარჩენილია 48.189 მან. და საბჭოთა მეურნეობებზე —20.114 მანეთი.

ავანსების დაბრუნების მხრივ ძალიან ჩამორჩენილი არიან დასავლეთი საქართველო და ყარაიას რაიონი. ამასთანავე მომხსენებელი აღნიშნავს, რომ წინა წლების ავანსები ნაწილობრივათ დაუფარავია საკრედიტო ამხანაგობების მიერ. რაც უნდა მიეწეროს საკრედიტო ამხანაგობების დაუდევრობას. გასულ წელს მებამბეობის რაიონებში შეზიდული იყო 107 ვაგონი ხორბალი (ბორჩალოს მაზრაში—60 ვაგონი ყარაიაში—31 ვაგონი, კახეთში—12 ვაგონი და დასავლეთ საქართველოში—3 ვაგონი) და 5 ვაგონი ფართალი.

სას.-სამ. იარაღ-მანქანები ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვიდან დაბრუნდა საქცეო საზოგადოება „ზაკსელმაში"-ის დირექტორის თანაშემწე ამხ. ი. ს. წივწივაძე.

როგორც ამხ. წივწივაძემ აცნობა ჩვენს თანამშრომელს ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემოზიდვის გეგმა საკავშირო უმაღლეს ორგანოებში დამტკიცებულ იქნა უცვლელად.

გეგმის თანახმად ამიერ-კავკ. წელს მიიღებს 2.144.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს.

„ზაკსელმაშს" ნება მიეცა გამოიწეროს უცხოეთიდან (500.000 მანეთის ფარგლებში) ის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, რომლებიც არ მზადდებიან ან ნაკლებად მოიპოვება საბჭოთა კავშირში.

—ამგვარად,—სთქვა ამხ. წივწივაძემ,—იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაზაფხულის და შემოდგომის თესვისათვის მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე, მანქანებზე და მასალებზე დაკმაყოფილებული იქნება სავსებით.

მოსალოდნელია სავსებით ვერ იქნეს დაკმაყოფილებული მოთხოვნილება ტრაქტორებზე, რადგან მათი რაოდენობა კოლექტიურ მეურნეობების მოთხოვნილებებთან შედარებით საგრძნობლად მცირეა.

2.472.000 მანეთი ტყავის მრეწველობისათვის

ს.შ.უ. საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ტყავის მრეწველობის განვითარების 5 წლიანი გეგმის მეორე ვარიანტი, რომლითაც მომავალი 5 წლის განმავლობაში ტყავის მრეწველობის გასაუმჯობესებლად და გასაფართოებლად გათვალისწინებულია 2.472.000 მანეთის დახარჯვა.

ამ თანხიდან ფეხსაცმელების დასამზადებელი ფაბრიკისა და ქრომის ქარხნის ასაგებათ უნდა დაიხარჯოს 1.289.000 მანეთი. ტყავის ტრესტს წინადადება მიეცა სასწრაფოდ შეუდგეს ფეხსაცმელების ფაბრიკის პროექტის დამუშავებას.

1927—28 წელთან შედარებით, 5 წლის შემდეგ ტყავის მრეწველობის პროდუქცია, გეგმის თანახმად, გაიზრდება 147 პროცენტით; პროდუქციის თვითღირებულება კი დაიკლებს 23,4 პროცენტით.

ს.შ.უ.ს. პრეზიდიუმის დადგენილებით პროდუქციის გასასყიდი ფასები მომავალი 5 წლის განმავლობაში დაკლებულ უნდა იქნეს 12 პროცენტით, ხოლო მუშათა ხელფასი უნდა გაიზარდოს 22 პროცენტით. გარდა ამისა ბინების აგება მუშებისათვის 1931—32 წლის მაგიერ 1930—31 სამეურნეო წელს უნდა დაიწყოს.

აღმშენებლობა დიდომის თემში

არხი დიდომის ველზე

ორშაბათი დღე დიდომელებისათვის არხის დღეა. ვერც ერთი მამაკაცი ამ დღეს თბილისისაკენ ფეხს ვერ გამოდგამს: დადგენილია. რომ ყველამ არხზე უნდა იმუშაოს. ისვენებენ მწვანილის თრევით ზურგზე გადატყავებული ვირები.

სამაგიეროთ დიდომის ველზე გაცხარებული მუშაობაა: მიწას თხრიან, არხს სწმენდენ, სიმღერა, სიცილი, ოფლი, ბარების ჩახაჩუხი წერაქვების ცეცხლით კვესა. ტექნიკოსების ფუსფუსი. თუჯის მილების ჩადგმა, მჭედლების ჯახაჯუხი, მტკვრის პირში მანქანების მართვა. საქაჩავი სადგური. რომელიც თითქმის ერთიანად დასრულებულია და.. ვეებერთელა თუჯის მილს წურბელივით რომ ჩაუყვია მტკვრის ტალღებში თავი, უკვე ამოაქვს დიდომის ვეებერთელა ველის გასანოყიერებელი წყალი. ჯერ მოხდა ცდა, რომელმაც სავსებით გაამართლა სოფლელების იმედები:მათი შრომა უკვე უიმედოთ არ ჩაივლის, ადამიანის შრომამ და ტექნიკამ თავისი გაიტანა. მტკვრის ტალღები იძულებული არიან ადამიანს ემსახურონ.

ისტორიული დიდომის ველი, რომლის სივრცე თითქმის 3 ათას დესეტინამდე აღწევს, ერთ დროს უნაყოფიერესი ადგილი ყოფილა. ბოლო ხანებში კი გამოფიტვაც დაეტყო და მეურნეობის ახალ მოთხოვნილებებისათვისაც ბევრს არას წარმოადგენდა. ველის დიდი ნაწილი დაუმუშავებელი რჩებოდა და დიდომის მეურნე. რომელსაც უწყლობისაგან ხელი აქვს მოცარული, ისევ პატარ-პატარა ბაღ-ბოსტნებით კმაყოფილდებოდა. არხის გაყვანა კი უეჭველია, რომ მთელ გადატრიალებას მოახდენს ამ ვეებერთელა სოფლის ეკონომიურ ცხოვრებაში.

— გავაშენებთ დიდ ბაღებს, ბოსტნებს... დავთესავთ ბლომად პურს... დავიწყებთ კოლექტიურ მეურნეობას.... შევადგენთ არტელებს... ამბობენ არხის წარმატებით გახარებული გლეხები.

ეს სიტყვები პირველ ხანებში რაღაც საეჭვო ღიმილს იწვევდა. ვინ იფიქრებდა, რომ ასე რთული სამუშაო მოგვარდებოდა. ინდივიდუალიზმით შეპყრობილი გლეხი კოლექტიურობის დასაწყისს მანამდე უყურებს ეჭვის თვალით, სანამ სინამდვილეში არ დაუნახავს მისი მეურნეობის ძირიანად შემცვლელი რომ ფაქტორი. მაგრამ თუ ეს დაინახა მაშინ კი ელტოლვილია და ენერგიულად იწყებს მუშაობას. ასეა დიდომშიაც: პირველი დროის ეჭვება უკვე სამუდამოდ გაიფანტა, ოცნებობს სინამდვილით იქცა და აქაური მეურნე უკვე ტრაქტორებზე ფიქრობს, ამხანაგობების შედგენაზე ზრუნავს.

დიდომის სარწყავი არხი სულ მოკლე დროში დაიწყებს მუშაობას; მთელ ველს სამი ხაზი მორწყავს. პირველი ზონა თითქმის დასრულებულია, სულ ერთი თვის მუშაობა-ღა თუ მოუნდება.

შეიძლება გადაჭრით ითქვას. რომ დიდომელ გლეხს ასე ხალისით არც ერთი საზოგადოებრივი მუშაობა არ ჩაუტარებია. ადგილობრივ სოფლის ახალგაზრდობის სკოლა და მისი გამგე ამხ. მახარაძე ამ საქმეში გადაიქცა ერთგვარ საორგანიზაციო ცენტრად. დაარსდა სოფლის სამელიორაციო ამხ-ბა „პურდი". რომლის თავმჯდომარეთ ბუნებრივად მოექცა ამხ. მახარაძე. ეს საზოგადოება გატაცებით შეუდგა მუშაობას, 165 ათასი მანეთი სესხი აიღო, თანაც დააინტერესა სათანადო ორგანოები და ეს საშვილიშვილო საქმე უკვე დასამთავრებლადაა მიყვანებული. მთელი სოფელი ალტაცებით მოელის იმ მომენტს, როდესაც დიდომის ვეებერთელა მინდვრები წყლის ნაკადებით დაიფარება და მით მტკიცე საფუძველი დაედება მთელი სოფლის კეთილდღეობას.

სკოლები

ამ ვეებერთელა ძველის ძველმა სოფელმა მხოლოდ ამ ბოლო წლებში გაახილა თვალი და ერთგულად დაეწაფა სწავლის საქმეს. სოფელს აქვს ორკომპლექტიანი ოთხწლედი და სოფლის ახალგაზრდობის სკოლა. ჯგუფები ჩაჭედილია შეგირდებით, თვითეულ ჯგუფში 50 მეტი შეგირდი ზის.

აქაური სოფლის ახალგაზრდობის სკოლა ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად ითვლება. ამაზე საყვარელი ადგილი მოსახლეობას არა აქვს: ვენახის ნერგის გავრცელებით და აგრონომიულ ცოდნათა პრაქტიკულად ხალხში შეტანით სკოლამ უდიდესი სამსახური გაუწია გლეხობას. სკოლა და მშრომელი ხალხი მჭიდროდ გადაება ერთმანეთს. სოფელს წარსულში სკოლის შენობა თითქმის არც კი ჰქონია. ეს გარემოება დღევანდელ მდგომარეობაზედაც ახდენს გავლენას. წლევანდლამდე სკოლას ძალიან ცუდი შენობა ჰქონდა. დიდი შრომისა და ცდის შემდეგ ახლახან მოთავდა საკმაოთ ამაზი შენობა, რომიმშიაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ თავსდება ოთხწლედი და სოფ. ახალგაზრდობის სკოლაც. მაგრამ სოფელს გადაწყვეტილი აქვს ახლო მომავალში, სარწყავი არხის გამოყვანის დასრულების შემდეგ, დიდი შენობის აგებას შეუდგეს. დარწმუნებული ვართ, რომ დიდომი აქაც გამარჯვებული გამოვა.

დიდომის თემში შედის რამდენიმე სოფლის ოთხწლედებიც: თხინვალის, ლისის, ბეტრიის და თელოვანის. თელოვანს და თხინვალს კარგი სასკოლო შენობები აქვთ, ლისის შენობაც კარგია, მაგრამ სოფელმა მოისურვა დღევანდელ სკოლის შენობაში საექიმო პუნქტი გაეხსნა, ხოლო სკოლისათვის კი შესაფერ ადგილზე ააგოს ახალი შენობა. ეს შენობა უკვე დასახურავადაა მომზადებული, შედგება ექვს მშვენიერ ოთახიდან, რაც შეეხება ზღვრის, აქ ცუდაა საქმე სასურველად შენობის მხრივ. მაგრამ იმედია აქაური მშრომელი გლეხობა და სათანადო ორგანოები ამ ნაკლსაც დააღწევენ თავს.

აქაური.

ბეჭდვითი სიტყვის ტექნიკის გაუმჯობესებისათვის

(პრაქტიკული წინადადებანი)

დღეს, როდესაც წიგნების და ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი ჩვენში ჯერ არყოფილ რაოდენობამდე გაიზარდა, დღის წესრიგში თავისთავად დგება ბეჭდვითი სიტყვის ტექნიკის გაუმჯობესების საკითხი.

უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ამ საკითხის ირგვლივ არა ერთი და ორი წერილი დაიბეჭდა კიდეც ქართულ პერიოდულ გამოცემებში. პრაქტიკული ნაბიჯებიც იქნა გადადგმული პროფტექნიკური და კორექტორების კურსების გახსნის სახით, მაგრამ ეს ღონისძიებანი ვერ აღმოჩნდენ საკმარისი ამ ფრიად სერიოზულ საკითხის მოსაგვარებლად. და ჩვენ მოწმენი ვართ, როგორც ცუდი ბეჭდვის, ისე ცუდი წყობის და კიდევ უარესი კორექტურისა ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებში და სახელმძღვანელოებშიაც კი.

ჩვენს პირობებში ვის ევალება ამ საქმის მოგვარება?—სახელგამს და პოლიგრაფტრესტს, გამომცემლობას და სტამბას. მათ უნდა მისცენ დღეს უკვე გათვითცნობიერებულ, გამრავლებულ მკითხველს ღირსეული პროდუქცია.

როგორი უნდა იყოს უნაკლოდ გამოცემული და დაბეჭდილი წიგნი?

უპირველესად ყოვლისა წიგნში უნდა იყოს დაცული ენის ერთნაირობა. შემდეგ საჭიროა წიგნში თავის ადგილას იყოს სასვენი ნიშნები. პწკარიდან პწკარში სიტყვის გადატანის დროს უნდა იყოს დაცული როგორც გრამატიკული, ისე ტექნიკური წესები. პწკარში სიტყვა სიტყვიდან უნდა იყოს დაშორებული ერთნაირად; საერთოდ—კი ცარიელი ადგილი სიტყვასა და სიტყვას შუა კორპუსისათვის არ უნდა აღემატებოდეს 7 პუნქტს*) და არ უნდა იყოს 3 პუნქტზე ნაკლები.

წიგნი უნდა იყოს ნაბეჭდი ერთნაირად, და არა ზოგან მოთეთროდ, ზოგან შავად, როგორც ეს დღეს ყველა წიგნებშია საღებავის სათანადოდ გაუნაწილებლობის გამო. წიგნში არ უნდა იყოს კორექტურული შეცდომები.

დავიხსომოთ ეს ექვსი დებულება და გავსინჯოთ, თუ რამდენად სრულდება ეს ქართული წიგნის გამოცემის დროს. რაც შეეხება გაზეთებს, მათი ტექნიკურად დამახინჯება ხომ ჩვეულებადაა გადაქცეული, რასაც იმით ამართლებენ, რომ გაზეთის მუშაობას თან სდევს სიჩქარე, ნერვიულობა და სხვა. სიძნელენი მართლაც ბევრია, მაგრამ ამით ნაკლოვანებათა გამართლება მაინც შეუძლებელია. როგორც წიგნების გამომცემელს ვერ ვპატიებთ ბეჭდვითი ტექნიკის დამახინჯებას, ისე ამავე ტექნიკის დამახინჯების მონოპოლიას ვერც გაზეთების მუშაკებს მივსცემთ. დღეს გაზეთები ჩვენი ცხოვრების დიდი ფაქტორია. მათ ყოველდღიურად კითხულობს ქალაქის და სოფლის გათვითცნობიერებული შრომელი ხალხი ათი ათასობით და, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რანაირ ბეჭდვითი პროდუქციასთან აქვს საქმე ამ აუარებელ მკითხველთა მასას.

სახელგამმა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში უმთავრესი ყურადღება მიაქცია წიგნის გარეკანის გალამაზებას, რაც, რასაკვირველია, დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ის სრული უყურადღებობა. რომელსაც იჩენენ, როგორც სახელგამი, ისე სხვა გამომცემლობანი წიგნის შინაგანი ტექნიკის გაუმჯობესების მხრივ, ყოვლად მიუტევებელია.

ავიღოთ ენის ერთნაირობა. ვერც ერთ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში გამოცემულ ქართულ წიგნს ვერ ნახავთ, რომ ენის ერთნაირობა იყოს დაცული. სიტყვის დაბოლოვება: დგან, დან, დამ; დნენ, დენ; იქნა, იქნე; ბავშვი, ბავში; დაბოლოვება თ—ანით და დ—ობით ერთ და იმავე სიტყვის და სხვა მრავალი—ჩვეულებრივი მოვლენაა დღეს ქართულ წიგნში.

ამაზე უარესი მდგომარეობაა სასვენი ნიშნების მხრივ. სამწუხაროდ, ბევრმა ავტორმა არ იცის სასვენი ნიშნების სათანადოდ მოხმარება. ამ დარგში ძალიან მოიკოჭლებენ აგრეთვე ჩვენი კორექტორებიც. შედეგი—წიგნები იბეჭდება სასვენი ნიშნების სწორი განაწილების გარეშე, რაც მეტად აძნელებს კითხვას.

სიტყვის სწორად დამარცვლასა და გადატანის შესახებ ხომ ნულარ იკითხავთ! ეს საქმე ასოთ-ამწყობის ცოდნასა და მონდომებაზეა მიტოვებული. თქვენ ხშირად ნახავთ ასეთ გადატანას: მკვ-დრს, მსხ-ვერპლი და სხვ.

რაც შეეხება პწკარში ხარვეზების თანასწორობას, ამაზე რომ ლაპარაკი დაუწყოთ ასოთ-ამწყობს ან კორექტორს, მათ ეს სიცილად არ ეყოფათ. ხშირად ჩვენმა კორექტორებმა არც კი იციან, რომ შესაძლებელია თანასწორობის დაცვა. ისინი კითხვის დროს ვერც კი ამჩნევენ ამ უთანასწორობას. მათ ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია ნორმალურ გაყოფასთან ერთად ორმაგად და მეტად გაყოფილი სიტყვა სიტყვიდან.

ახლა გადავიდეთ უთანასწორო, ჭუჭყიან ბეჭდვაზე. გარდა იმისა, რომ დღეს ჩვენ არ გვაქვს რიგიანი საღებავები და საერთოდ საბეჭდავი მასალები,—რაც გვაქვს, იმის მოხმარებაც არ ვიცით. ხშირად ნაბეჭდი გვერდები ერთი მეორეს არ ხვდება, ციფრი ციფრს არ უსწორდება, ხან საღებავი აკლია, ხან კიდევ ზედმეტია, და ყველაფერი ეს ჩვეულებრივ მოვლენად არის მიჩნეული. დავტოვოთ კორექტურული შეცდომები, რომელთა შესახებ ჩვენ გაკვრით ზემოთ მოვიხსენიეთ და რაზედაც აქ უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

სამწუხაროდ, ამ საქმეს ჩვენში არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება როგორც სახელგამის, ისე სხვა გამომცემლობების მხრით. კორექტურის სწორებას ხშირად აძლევენ ბეჭდვითი საქმესთან სრულიად გაუცნობელ ახალგაზრდებს, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში ამახინჯებენ წიგნს. დროა ჩვენმა გამომცემლობებმა შეიგნონ, რომ კორექტურა სერიოზული და პასუხსაგები საქმეა და ყველა საშუალო და თუნდაც უმაღლეს სწავლა დამთავრებულებს სპეციალური მომზადების გარეშე არ შეუძლიათ მისი წარმოება. დროა შევიგნოთ, რომ მარტო თეორიული მომზადება არ კმარა ამ საქმეში.

გამომცემლობა უნდა ჰგრძნობდეს, რომ თითოეულ დაბეჭდილ წიგნში დაშვებულ შეცდომისათვის ის მორალურად პასუხისმგებელია მკითხველის წინაშე.

განსაკუთრებით ეს ითქმის სახელმძღვანელოების შესახებ, სადაც ყოველი შეცდომა ბოროტმოქმედებად უნდა ჩაითვალოს.

ამას წინად ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში ასეთი სათაური ჰქონდა ერთ ამბავს: „ხელოვნების სასუფი", და მოთხრობილი იყო, თუ როგორ უნდა გაასუფთაონ და გაანოყიერონ ნიადაგი ნეხვით სუპერფოსფატით და რომელიღაც მინერალურ სასუქით. სათაურის მიხედვით მე ვფიქრე, რომ მოთხრობილი იქნება რამე ხელოვნების შესახებ. ნამდვილად კი თურმე საქმე ეხებოდა „ხელოვნურ სასუქს". რას მივაწეროთ ასეთი უხეში ტლანქი შეცდომა და ისიც სათაურში, რომელიც დიდრონი ასოებით იბეჭდება? ჩემის აზრით, ეს და მრავალი ამგვარი შეცდომები მიეწერება იმ უყურადღებობას, რომელსაც იჩენს ადგილი ბეჭდვის ნაწარმოების გამოშვების დარგში. ამ უყურადღებობასთან ერთად, უმრავლესი შეცდომები ასოთ-ამწყობის და კორექტორის უცოდინარობას მიეწერება.

საიდ ვიშოვნოთ მცოდნე და გამოცდილი ასოთ-ამწყობები? საიდან შევქმნათ ასეთი კორექტორები?

გიპასუხებთ: საჭიროა აუცილებლად დაარსდეს საღამოს ექვს-თვიანი პროფტექნიკური კურსები სტამბის მუშებისათვის. ამ კურსების გავლა-სავალდებულო უნდა იყოს სტამბის მუშებისთვის, რომელნიც ამ კურსებზე შეიძენენ როგორც თეორიულ ცოდნას, ისე აამაღლებენ თავის კვალიფიკაციას. ამ კურსებმა უნდა იარსებონ მანამდე, სანამ სტამბის მუშების უკანასკნელი ჯგუფი არ გაივლის მათ.

ამ კურსებზე უპირველეს ყოვლისა უნდა გაგზავნილ იქნან უფროსი ოსტატები რომლებმაც უნდა გაატარონ ცხოვრებაში კურსებზე მიღებული წესები და შენიშვნები აწყობის, ბეჭდვის და კაზმვის შესახებ.

საჭიროა აგრეთვე ხელმეორედ, უფრო მტკიცედ და სერიოზულად, ვიდრე ეს გასულ წელს იყო მოწყობილი იქნას დროებითი კურსები კორექტორებისათვის. ამ კურსების გავლა უნდა სავალდებულო იყოს ყველა დღეს ფაქტიურად მომუშავე კორექტორისათვის. საჭიროა გამოსაზღვრულ დროის შემდეგ არც ერთ კორექტორს, თუ მას არ ექნება გავლილი ეს კურსები, არ მიეცეს არც ერთი წიგნი გასასწორებლად (განსაკუთრებით სახელმძღვანელო).

ჩემის აზრით, ეს ზომა შეამცირებს იმ სიმახინჯეს, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ბეჭდვითი ხელოვნებაში.

მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიექცეს ავტორების მუშაობასაც. უნდა დაუფარავად ითქვას, რომ ჩვენი ავტორების დიდმა ნაწილმა არ იცის თავის ადგილზე სასვენი ნიშნების ხმარებაც კი. სწერს გაკვრით, ზერელედ და ამნაირ „ნაწარმოებს" აგზავნის გამომცემლობაში დასაბეჭდათ. გამომცემლობა კი მას დაუმუშავებლად უგზავნის სტამბას და როცა წიგნი აიწყობა. მხოლოდ მის შემდეგ შეუდგებიან მის შესწორება-დამუშავებას. ამ სტრიქონების დამწერმა იცის შემთხვევა, როცა ფრიად სერიოზულ წიგნის პირველი და მეორე ფორმა დაიბეჭდა მხოლოდ მეცხრე კორექტურის შემდეგ.

ამ შემთხვევაში. რა თქმა უნდა საქმეს ვერ უშველის ვერც კარგი ამწყობი, ვერც კარგი კორექტორი და წიგნი. გარდა იმისა, რომ ერთი-ორად ძვირად დაჯდება. ტექნიკური შესრულებითაც ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი. ბევრ ავტორს იმის წარმოდგენაც არა აქვს, რომ რამდენჯერაც მეტი სწორდება წიგნი აწყობის შემდეგ, იმდენად მახინჯდება ის ტექნიკურად.

საჭიროა გამომცემლობასთან არსებობდეს ორიგინალების (დედნების) დამმუშავებელი მუდმივი შტატი, რომლის გარეშე სტამბაში არც ერთი პწკარი არ უნდა იგზავნებოდეს.

მაკარი გოგუაძე.

---

*) კორპუსი და პუნქტი სტამბის ტერმინებია. კორპუსში 10 პუნქტია, პუნქტი უდრის 0,38 მილიმეტრს.

[illegible]

[illegible]

1926 წ. [illegible] სამტრედიის ქარხანაც [illegible] აბრეშუმის ტრესტს განკარგულებაში [illegible] ნასკრელმა რაციონალურად [illegible] და გაამტკიცა ქარხნის წარმოება. აბრეშუმის ტრესტის ხელმძღვანელობით, სამტრედიის აბრეშუმის ძაფ-საღები ქარხნის მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება. ქარხანა შეივსო დანაკლისი მანქანა-იარაღებით, მოეწყო სახარშავი დაზგა, აშენდა ცალკე სამქადლო. სამანქანო განყოფილებაში დადგმა 8 ცხენის ძალიანი მოტორი, საქაჩი განყოფილებაში კაპიტალურად შეკეთდა 2 წყლის საქაჩავი, განახლდა წყალთა მილების განაწილება, მდინარე ცხენის წყლიდან გამოყვანილ იქნა არხი, წყლის დასაწმენდათ გაკეთდა 2 ბეტონის აუზი, ძველი სისტემის 52 ძაფ-საღები აუზი საბოლოოდ იქნა შეკეთებული და სხვ.

1928 წლ. 15 იანვარს დამთავრდა ახალი ქარხნის აგება, სადაც დადგმულია 8 თვალიანი 48 ძაფ-საღ. აუზი. ამასთანავე აღდგენილია ორსართულიანი დამწვარი შენობა, სადაც მოთავსებული იქნება მუშათა კლუბი. ქარხნის ამბულატორია, ფაბკომი და სხვა შენო- [illegible]

ქარხნის გაფართოებასთან ერთად იზრდება აგრეთვე მუშათა რიცხვი და მათი სამუშაო ხელფასიც. მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობა გაუმჯობესებულია, [illegible] სადაც არის სხვადასხვა წიგნები. მუშების მთელი 100 პროცენტი [illegible]. აბრეშუმის ტრესტს განზრახული აქვს ძველი 52 ძაფ-საღები აუზი გადაკეთოს ახალ სისტემის აუზებად. გადაიტანოს ძველი და ახალი ქარხნები და დადგას კიდევ 24 ახალი სისტემის აუზი, რკინის გზის სადგურიდან, ქარხნამდი გაიყვანოს მილი მაზუთისათვის, რაც საგრძნობლად შეამცირებს ხარჯებს და ქარხანას მისცემს ყოველ წლიურად რამოდენიმე ათას მან. ასეთი მიღწევები აქვს დღეს სამტრედიის აბრეშუმის ძაფ-საღებ ქარხანას.

შ. შენგელია.

გლეხკომების ქსელის გაფართოება

გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების ცენტრალურმა კომიტეტმა დაამთავრა გლეხკომების ქსელის გაფართოების გეგმის შედგენა. გასული სააღრიცხვო წლის განმავლობაში მთელ რესპუბლიკაში, გარდა ავტონომიური ერთეულებისა, ყოფილა 600 გლეხკომი, რომელთაც ჰქონიათ 553.142 მან. შემოსავალი.

წელს ქსელი გადიდებულია 638 ორგანიზაციამდე 179.508 წევრით და 629.641 მან. შემოსავლით. 1932—33 წლისათვის კი გლეხკომების რიცხვმა უნდა მიაღწიოს 823-ს. ამავე დროს წევრთა რიცხვი გაიზრდება 283.377-მდე და წლიური შემოსავალი მიაღწევს 1.084.073 მანეთს.

გასული წლის განმავლობაში 600 გლეხკომს ჰქონია 375.599 მან. გასავალი. წელს გასავლის რაოდენობა ნავარაუდევია 434415 მანეთამდე, ხოლო 1932—33 წელს საერთო გასავალმა არ უნდა გადააჭარბოს 706.816 მანეთს. ის თანხა, რომელიც დარჩება შემოსავალ-გასავლის განსხვავებათ უნდა მოხმარდეს ახალი წარმოების მოწყობას.

შემოსავლის ზრდასთან ერთად გეგმა ითვალისწინებს საერთო წესით გასაცემ დახმარებათა გადიდებასაც. მიმდინარე წლის განმავლობაში გლეხკომებმა შრომითი დახმარება უნდა აღმოუჩინონ უმუშახელო ოჯახებს 3,632 სამუშაო დღით.

ღვინით ვაჭრობის მოწესრიგება

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა გამოკვლევა იმისა, თუ რამდენად ასრულებს ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილებას იმის შესახებ, რომ გამოცემული იქნეს წესები ღვინით ვაჭრობის მოსაწესრიგებლად.

გამოირკვა, რომ ამ დადგენილებას, მიუხედავად მისი სასწრაფო ხასიათისა, თვენახევრის განმავლობაში არავითარი მსვლელობა არ ჰქონია მიცემული ზოგიერთ თანამშრომლების უყურადღებობის გამო. აიხსნება ეს აგრეთვე იმითაც, რომ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის აპარატის შიგნით არ იყო თვალყურის დევნება მთავრობის უმაღლეს ორგანოების დავალებათა შესრულებაზე.

ამის გამო, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ წინადადება მისცა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დააწესოს კომისარიატში სათანადო თვალყურის დევნება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოების ყველა დავალებათა შესრულებაზე.

ამას გარდა, ვაჭრობის კომისარიატს წინადადება მიეცა მიუთითოს საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილების შესრულების შეჩერებაში დამნაშავე თანამშრომლებს ღვინით ვაჭრობის მომწესრიგებელ წესების გამოცემის საკითხისადმი უყურადღებოდ მოპყრობაზე.

თამბაქოს კონტრაქტაცია

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ შეიმუშავა თამბაქოს ნათესების კონტრაქტაციის მტკიცე გეგმა, რომლის თანახმად კონტრაქტაცია ჩატარებული უნდა იქნეს აფხაზეთში 12.000 ჰექტარზე. კახეთში—1.600, სამეგრელოში 500. გურიაში—300 და აჭარისტანში 150 ჰექტარზე.

მეთამბაქოეებს თამბაქოს ნათესებზე ავანსი უნდა მიეცეს ჰექტარზე—აფხაზეთში 300 მანეთი, საქართველოს დანარჩენ რაიონებში—250 მანეთი. ამრიგად. თამბაქოს ნათესების კონტრაქტაციის ზემონაჩვენებ გეგმის შესასრულებლად საჭირო იქნება სულ 4.287.500 მან.

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის გეგმით საქართველოში კონტრაქტაცია ჩატარებული უნდა იქნეს 13.720 ჰექტარზე (აფხაზეთში—12.000 და საქართველოს დანარჩენ რაიონებში—1.720 ჰექტ.), რისთვისაც საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატს გადადებული აქვს 4.030.000 მან.

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს გეგმის განსახორციელებლად საჭირო დამატებითი თანხა 250.000 მან. რაოდენობით გაღებული იქნება საქართველოს თამბაქოს ტრესტის მიერ.

კრედიტები კოლექტიურ მეურნეობებს

საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრმა შეიმუშავა კოლექტიურ მეურნეობათა კრედიტებით მომარაგების გეგმა, რომლის თანახმად კოლექტიურ მეურნეობებს მემინდვრეობისთვის წელს უნდა მიეცეს სესხი 152.000 მან. რაოდენობით; მუშა საქონლის შესაძენათ—345.000 მან. რაოდენობით; იარაღ-მანქანების შესაძენათ—221.465 მან.; ჯიშიანი მესაქონლეობისთვის გრძელვადიანი—340.000 მან. და მოკლე ვადიანი—50.000 მან.; მეცხვარეობისათვის—50.000 მან.; სასოფლო სამეურნეო შენობების ასაგებათ—480.000 მან.; სატრანსპორტო საშუალებათათვის—100.000 მან.; მელიორაციისათვის—50.000 მან.; მევენახეობისათვის—440.000 მან.; მებაღეობისათვის—160.000 მან.; სუბტროპიკულ კულტურებისათვის—50.000 მან. და მებოსტნეობისათვის—95.400 მან. ამრიგათ, გეგმით საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათათვის სულ გათვალისწინებულია 2.603.865 მან. სესხის მიცემა აქედან გრძელვადიანი სესხი იქნება 2.306.465 მან. და მოკლევადიანი 297.400 მან.

გარდა ამისა წისქვილების, ღვინის სარდაფების, ზეთის სახდელი ქარხნების, სავენახე სათბურების, აგურ-კრამიტის და სახერხი ქარხნების და სხვ. ასაგებათ და შესაკეთებლად გამოთხოვილია სპეციალური სესხი 300.000 მან. რაოდენობით.

ამხ. სოლომონ დოლ[illegible]

ამ ერთი წლის წინად ჩვენი პარტიის ძველ კადრის უდროოდ გამოაკლდა ერთ-ერთი გულწრფელი წევრი [illegible], ძველი ბოლშევიკი (პარტიის წევრი 1905 წლიდან) ამხ. [illegible] დოლიძე.

ამხ. სოლომონი საქართველოში [illegible]

[illegible]

ამხ. სოლომონი დასაფლავებულია თბილისში (ვერის ახალ სასაფლაოზე), იმ ქალაქში, სადაც იგი 1905 წელს სხვა მებრძოლ ამხანაგებთან ერთად ჩამოვიდა გურიიდან, როგორც წითელი „რაზმელი", თვითმმართველობის [illegible]

[illegible]

ულმობელმა სიკვდილმა [illegible] ჩამოაშორა იგი საყვარელ საქმეს, მოსწყვიტა ამხანაგებს და მეგობრებს.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამხ. სოლომონი აღარ იმყოფება ჩვენს რიგებში; ერთი წლის წინათ შესწყვიტა ძგერა საერთო საქმისადმი სიყვარულით ალსავსე მისმა გულმა.

მაგრამ არ შეწყვეტილა, სცოცხლობს, მტკიცდება და წინ მიდის ის საქმე, რომელსაც იგი ემსახურებოდა, როგორც ჭეშმარიტი რევოლიუციონერი, პარტიის წევრი, პარტიის ერთგული ჯარისკაცი.

ამხ. სოლომონ დოლიძის სახელი დიდხანს არ წაიშლება ყველა ჩვენს ხსოვნაში.

დ. ა—ძე.

საქართველოს ეკონომიურ საბჭოში

აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობის გამოკვლევა

ა. წ. იანვრის 22-ს შესდგა საქართველოს ეკონომიური საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კომისიის თავმჯდომარის პროფ. გრაფტიოს მოხსენება აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობის გამოკვლევის შესახებ.

ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა ხსენებულ კომისიის დასკვნა აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის გამოკვლევის შედეგების შესახებ გადაეცეს განსაკუთრებულ კომისიას ამხ. მგალობლიშვილის (თავმჯდომარე) პროფ. გრაფტიოს, ყურულაშვილის, ივანოვ-კავკასიელის, გამყრელიძის, ვასილიევის, ქიქინაძის, სამოილოვის, ბაბოვის, შახბუდაგოვის, ალშიბაიას, მელიქ-ფაშაევის და ტიმოფეევის შემადგენლობით.

ხსენებულ კომისიას დაევალა სამი დღის განმავლობაში დაწვრილებით დაამუშაოს საკითხი აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო სამუშაოთა გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ და თავისი მოსაზრება წარუდგინოს საქართველოს ეკონომიურ საბჭოს.

პირველი აბანო სვანეთში

(წერილი ზემო-სვანეთიდან)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სვანეთში არავინ ზრუნავდა აღმშენებლობაზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი საგრძნობი გარდატეხა ხდება როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად. გაიხსნა სკოლები კოოპერატივები საექიმო პუნქტები, გაცხოველდა აღმშენებლობაც ამ მხრივ განსაკუთრებით მიმდინარე წელი აღსანიშნავი. უკვე დამთავრებულია შემდეგი შენობების აგება: ს. მესტიაში აბანოს შენობა, რომელიც პირველი აბანოა ზემო-სვანეთის ისტორიაში და რასაც შეუძლია დიდათ შეუწყოს ხელი მშრომელი მოსახლეობის ჯანმრთელობას.

ახლად აგებული აბანოს შენობა სოფ. მესტიაში

სოფ. ბეჩოში აიგო ორსართულიანი შენობა, რომელიც სოფლის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლისათვის იქნება გამოყენებული. ჯვარ-მესტიის გზაზე აშენებულია სამი დასასვენებელი სახლი: სოფ. ლასში, სოფ. ჯორკვალში და სოფ. ხაიში. რომელთაც სვანი გლეხისათვის და სვანეთში მოგზაურთათვის ისეთივე მნიშვნელობა ექნება. როგორც ოაზისს უდაბნოში მოგზაურთათვის.

აგრეთვე საფუძველი ჩაყრილი აქვს დიდ მუშაობას სწარმოებს სოფ. ლენჯერში ცხრაწლედისათვის შენობის ასაგებად. ეს პირველი საშუალო სასწავლებელი იქნება ზემო-სვანეთში, რომელიც საშუალებას მისცემს სწავლაზე მოწყურებულ სვან ახალგაზრდობას ადგილობრივად მიიღონ საშუალო განათლება. ეს გარემოება ხელს შეუწყობს მათ ჯანმრთელობასაც, ვინაიდან ცნობილია რომ სვანეთის ბუნებას შეჩვეული ახალგაზრდობა ვერ ეგუება სხვა ქალაქებში ცხოვრების ბუნებას და ხშირად ავადმყოფდება.

საკავშირო მთავრობის მიერ გადადებულია საკმაო თანხა სვანეთში გზის გასაყვანად. რაც აცოცხლებს სვანეთს.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მუშაობით სულ მოკლე ხანში, სვანეთი გამოყენებულ იქნება მთელი თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით, კურორტებით, მადნეულობით და სხვ., რომლის შემდეგ საბჭოთა კავშირს სვანეთის სახით ექნება საკუთარი შვეიცარია.

რონდო.

ბიბლიოგრაფია

კ. ი. ბაუმანი „საბჭოების გადარჩევისათვის"

სოფლის აქტივისათვის, სახელგამი, გვ. 68 ფასი 80 კაპ.

პარტიის და ხელისუფლების ორგანოების მთელი ყურადღება დღეს მიქცეულია საბჭოების გადარჩევისაკენ. საბჭოების გადარჩევა ყველაზე მნიშვნელოვანი კამპანიაა, რომელიც კი ტარდება ჩვენში. სახელმწიფოებრივი აპარატი, მისი განსაკუთრებით ძირითადი, ქვედა საფეხურები გამოცდას იქირს ამ კამპანიის დროს. სწორედ გადარჩევებში მჟღავნდება ყველაზე მეტად საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოთა ნაკლი და მიღწევანი.

ამით აიხსნება, რომ თვით ამომრჩეველთა მასა არაჩვეულებრივად აქტიურია საბჭოების გადარჩევებში, ამის მომასწავებელია ის დიდი, გაცხოველებული მუშაობაც, რომელიც მიმდინარეობს როგორც ქალაქად, ისე სოფლად საბჭოების გადარჩევის ღირსეულად ჩატარებისათვის.

ამხ. ბაუმანი მიზნად ისახავს მოკლე, მაგრამ საქმიან ფორმებში ესაუბროს სოფლის აქტივს საბჭოების გადარჩევის მნიშვნელობისა და მისი თვითკრიტიკის საფუძველზე ჩატარების შესახებ. სწორედ დღეს, თვითკრიტიკის ასე ფართოდ გაშლის გამო, საჭიროა არა შაბლონიურად, არამედ ნამდვილად, სერიოზულად საბჭოების საანგარიშო კამპანიის ჩატარება, ამომრჩეველ მასების მაქსიმალური მონაწილეობა, როგორც საბჭოების მომავალი მუშაობის გეგმის გამომუშავებაში, ისე მისი შემადგენლობის შერჩევაში.

თავდაპირველად ამხ. ბაუმანი არკვევს, თუ რისთვის არის ჩვენი სახელმწიფო მუშური. პროლეტარული და ხელისუფლება კი მუშურ-გლეხური; თუ რისთვის გლეხობა, რომელიც უშუალო მონაწილეობას იღებს ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ხელმძღვანელობაში, ხელისუფლებაში, არ აყენებს ისეთ საკუთარსა და განსაკუთრებულ პროგრამას, რომელიც მუშათა კლასის პარტიის, კომუნისტური პარტიის პროგრამისაგან განირჩევა".

საბჭოების მიმდინარე გადარჩევის დროს, ამხ. ბაუმანის თქმით, ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოებრივი აპარატის მეტ დაახლოვებას მასებთან, მის გამარტივებას, მისაწვდომობას ყოველი მუშისა და გლეხისათვის და გაიაფებას, ე. ი. იმას, რათა ის მძიმე ტვირთად არ აწვებოდეს მშრომელ მასებს. თვითკრიტიკის უმთავრესი ცეცხლი, ამხ. ბაუმანის თქმით, უნდა მივმართოთ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რომელიც დღემდე აწუხებს ყოველ მუშასა და გლეხს. არსებობს ყოველგვარი ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რათა ბიუროკრატიზმს ბოლო მოეღოს.

„საბჭოთა აპარატი,—ამბობს ამხ. ბაუმანი,—ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფართო სამსახურისთვის არის დანიშნული... ჩვენში არ არის გადაუვალი კედელი აპარატსა და მოსახლეობას შორის, როგორც ამას ბიუროკრატიულ ქვეყნებში ვხედავთ. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ აპარატის დამსხვრევა არ გვჭირდება. საჭიროა მხოლოდ მისი ყოველგვარი გაუმჯობესება, მისი სიმახინჯისა და ნაკლის სამუდამოდ მოსპობა".

რით მოისპობა ჩვენი სახელმწიფო აპარატის სიმახინჯე? ყველაზე მეტად თვითკრიტიკით, დაუზოგავ მხილებით იმ ნაკლოვანებათა, რომელთაც ყოველი მშრომელი მოქალაქე ამჩნევს აპარატის ყოველდღიურ საქმიანობაში.

შემდეგი საკითხი, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება საბჭოების მომავალ გადარჩევებში, ესაა—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლად განსაზოგადოების პროცესის გაღრმავება და დაჩქარება. საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დასმული ძირითადი ამოცანები ხორციელდება მთელი სახელმწიფოებრივი აპარატის მიერ. ამიტომ სახელმწიფოებრივი აპარატის შემოწმება იმავე დროს ხელისუფლების წინაშე დასმულ ძირითადი ამოცანათა შესრულების შემოწმებაცაა. განა რა უნდა იქნეს სოფლის საბჭოთა გადარჩევებში იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვინემ საბჭოს მუშაობის განხილვა კოლექტივიზაციის ზრდისა და მეურნეობის ინტენსიფიკაციისთვის ხელის შეწყობის თვალსაზრისით. სოფლის საბჭოთა და მის ირგვლივ შემოკრებილი, მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციები არავითარ შემთხვევაში არ უნდა კმაყოფილდებოდნენ სოფლად მეთვალყურის როლით, იმის აღნიშვნით, რაც სოფლად ხდება, არამედ მათი მოვალეობაა ამ პროცესის ხელმძღვანელობა და მისი სათანადო გზით წარმართვა.

ამიტომ ყოველმა ამომრჩეველმა უნდა მოითხოვოს კერძოთ სოფლის საბჭოსაგან პასუხი იმაზე, თუ როგორ შეუწყო საბჭომ ხელი კოოპერაციის გაძლიერებას, მასში ღარიბ და საშუალო გლეხობის მეტი რაოდენობით ჩაბმას, კულაკური მეურნეობის ძლიერების შესუსტებას ღარიბთათვის თავის დროზე და საჭირო რაოდენობით სათესლე მასალის, მანქანა-იარაღების თუ კრედიტის მიწოდებას; რამდენათ შეუწყო ხელი მან კოლექტივიზაციის იდეის პოპულიარიზაციას, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით—კოლექტივთა დაარსებით და მათში გლეხობის მისაღებ ფენების გაერთიანებით; რამდენად ებრძოდა ის მოჯამაგირეთა და საერთოდ დაქირავებულთა შრომის ექსპლოატაციას, მიწების ყიდვა-გაყიდვას, რაიც საფუძველს უთხრის ოქტომბრის რევოლიუციის უდიდეს მონაპოვარს—მიწის ნაციონალიზაციას, და სხვა.

საბჭოების მიმდინარე გადარჩევაში ჩვენს ყურადღებას სოფელი უნდა იპყრობდეს უმთავრესად. სოფლად წარმოებული კლასიური ბრძოლა და მასში გარკვევა—საბჭოების წარმატებითი მუშაობის ერთ-ერთი პირობაა. სოფლის საბჭოების დამოკიდებულების გარკვევა კულაკისადმი მოგვცემს ჩვენ წარმოდგენას იმაზე, თუ რამდენად აქვთ მათ შეთვისებული კომუნისტური პარტიის მიერ აღებული გეზი სოფლის ეხლანდელი განვითარების საკითხში და რამდენად სწორად ტარდება საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა ღონისძიებანი.

„ის ადგილობრივი საბჭოები,—ლაპარაკობს ამხ. ბაუმანი,—რომელნიც ცხოვრებაში არ ატარებენ, თანახმად კანონისა, გადასახადებით კულაკურ მეურნეობის სრულ დაბეგვრას, არ იცავენ მოჯამაგირეთა დაქირავებულ შრომას, ან და კულაკს აძლევენ საშუალებას მიიღოს სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული სესხები—ასეთი საბჭოები კანონებს ბოროტად არღვევენ და ხელს უწყობენ კულაკობის ზრდას. არავითარი შეღავათი კულაკს, არავითარი ადმინისტრატიული თავგასულობა, სრული დაცვა საბჭოთა კანონებისა და საქმით მათი ცხოვრებაში გატარება—აი, რა უნდა მოვითხოვოთ ყველა ჩვენი საბჭოებისა და კოოპერატიული ორგანოებისაგან.

ამხ. ბაუმანის წიგნაკის წაკითხვას ურჩევდით ჩვენ სოფლის თითოეულ აქტივისტს, საბჭოების გადარჩევის კამპანიის ძირითად საკითხებში გარკვევისათვის.

ხ. ქ.

ჭიათურა

მუშაობის ახალი პირობები

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის სამრეწველო რაიონის ქარხანა-მაღაროების მუშები შეუდგნენ კოლექტიური ხელშეკრულების პროექტის განხილვას.

ხელშეკრულებას სდებს სამთამადნო კავშირის ცენტრ. გამგეობა ჭიათურის მარგანეცის ტრესტთან.

კრებები პროექტის განსახილველად ჩატარებული იქნა ყოველ ქარხანა-მაღაროებში, მუშები კრებებს ესწრებოდნენ უკლებლივ და ღებულობდნენ მხურვალე მონაწილეობას კამათში.

სამთამადნო კავშირის ცენტრალური გამგეობის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულების პროექტში გათვალისწინებულია ხელფასის ფონდის გადიდება 5 პროცენტით. პროექტის თანახმად პირველ რიგში ხელფასი გაუდიდდება იმ მუშებს, რომლებსაც უხდებათ მუშაობა მიწის ქვეშ. ეს მუხლი მოწონებული იქნა მუშების მიერ ყველგან.

პროექტი ითვალისწინებს, აგრეთვე გამომუშავების ნორმების დაუყოვნებლივ შემოღებას.

ეს მუხლიც მოიწონეს მუშებმა და გამოსთქვეს სურვილი, რომ ტრესტმა დააჩქაროს მისი ცხოვრებაში გატარება.

გაცხოველებული კამათი გამოიწვია საკითხმა სალიკვიდაციო თანხების შესახებ. ხელშეკრულების პროექტში, რომელიც წარდგენილია სამთამადნო კავშირის მიერ ნათქვამია, რომ მუშებს, სამუშაოდან დათხოვნისას, უნდა მიეცეს სალიკვიდაციო თანხები მიუხედავად იმისა გაფრთხილებული იქნებიან ისინი ამის შესახებ—თუ არა.

მარგანეცის ტრესტის პროექტში არ არის შეტანილი ეს მუხლი და იგი წინააღმდეგია სალიკვიდაციო თანხების მიცემის.

მუშები ყველგან მოითხოვდნენ რათა აღნიშნული მუხლი უსათუოდ იქნეს შეტანილი ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში.

კამათი გამოიწვია აგრეთვე საკითხმა სპეცტანსაცმლის გაცემის ირგვლივ. მუშები მოითხოვდნენ, რომ იმ მუშებს, რომლებიც აგებენ მაღაროებში რელსებს ვაგონეტკებისათვის მიეცეთ საწვიმრეები და ხელთათმანები.

სამთამადნო კავშირის ცენტრ. გამგეობის მიერ წარდგენილ პროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე ინჟენერ-ტეხნიკოსთა შრომის მოწესრიგება-გაუმჯობესება, მოზარდთა მომზადების საქმის გაუმჯობესება, დახმარება წარმოებაში დაზარალებულ მუშების ოჯახებს, უმუშევრების და სანიტარული საქმის მოწესრიგება და მრავალი სხვა.

ჩატარებულ კრებებზე სამთამადნო კავშირის მიერ წარდგენილი პროექტი მოწონებულ იქნა სავსებით.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა
21 იანვარი.

ჭიათურის ქრონიკა

ხე-ტყის მასალის მომარაგება

ჭიათურის შავი ქვის ტრესტმა ოზურგეთის მაზრაში გაგზავნა დაკვეთა 40,000 ცალ ბოძის და 100.000 ცალი შპალის დამზადების შესახებ ჭიათურის მაღაროების საჭიროებისათვის.

მეურმეების ნაკლებობა

ჭიათურაში ამჟამად არის მეურმეების ნაკლებობა. მეურმეთა კავშირი იწვევს მეურმეებს, რომლებიც დაკმაყოფილებული იქნებიან როგორც ბინით, ისე სიმინდით და საქონლისათვის საჭირო საკვებით.

ახალგაზრდობა შავი ქვის წარმოებაში

ჭიათურის შრომის ინსპექცია ამ დღეებში შეუდგა ჯავშნის გატარებას შავი ქვის წარმოებაში. ქარხნებში და სხვა მსუბუქ სამუშაოებზე ახალგაზრდობა მიღებული იქნება 18 წლამდე, მძიმე სამუშაოებზე, როგორიც არის მაღაროები, 18—20 წლამდე. საერთოდ მთელს წარმოებაში ჯავშანი გატარებული იქნება ოთხი პროცენტის რაოდენობით.

მუშების რიცხვის ზრდა

ჭიათურის წარმოების შავი ქვის ტრესტის ხელში გადმოსვლის დროს ქარხანა-მაღაროებში დაბანდებული იყო 400-მდე მუშა, პირველ ოქტომბრისათვის მუშების რიცხვი უდრიდა 1.238 კაცს პირველ ნოემბრისათვის—1.845 კაცს, პირველ დეკემბრისათვის—2.691 კაცს. 1929 წლის პირველ იანვრისათვის კი—3.223 კაცს.

ტეხნიკურ საზოგადოების განყოფილებაში

ტეხნიკურ საზოგადოების ჭიათურის განყოფილება დაარსდა ამ ერთი თვის წინად. განყოფილებას უკვე ჰყავს 30-მდე წევრი. რწმუნებულად გამოყოფილია ინჟენერი გოგავა.

განყოფილება სისტემატიურად აწყობს მოხსენებებს ტეხნიკური საკითხების ირგვლივ.

ტეხნიკურ ძალების აღრიცხვა

ჭიათურაში ჩატარებულ იქნა და ამ დღეებში დასრულდა ტეხნიკურ ძალების აღრიცხვა.

კოლხელშეკრულება ფოთის მტვირთველ მუშებთან

ჭიათურის შავი ქვის ტრესტმა დასდო კოლექტიური ხელშეკრულება ფოთის მტვირთველ მუშებთან.

მოთხოვნილება პეროქსიდზე

ჭიათურის შავი ქვის ტრესტის ცნობით, ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა პეროქსიდზე.

ტრესტს დამზადებული აქვს პეროქსიდის დიდი რაოდენობა, გამზადებული საექსპორტოდ.

პეროქსიდი იგზავნება როგორც საზღვარგარედ, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში

75,000 ტონა მარგანეცი

შავი ქვის ტრესტის ცნობით მოკლე ხანში ჭიათურიდან ამერიკაში გატანილი იქნება 75.000 ტონა მარგანეცი.

მარგანეცი დაიკვეთა ფირმა „იუნაიტედ სტილ“-მა.

„არჩევნების კუთხე“

ჭიათურის მუშათა კლუბში, საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით, ქალაქის საბჭომ მოაწყო „არჩევნების კუთხე“.

კუთხეში გამოფენილია საბჭოს ანგარიში და მასალები, რომელიც ეხება საბჭოს განვლილ მუშაობას.

კუთხეში დაგროვილია ახლად აგებულ შენობების ფოტოგრაფიული სურათები, გეგმები, პროექტები და სხვა.

ქალაქის საბჭო ამ კუთხეში გამოჰკიდებს იმ ქალაქების საბჭოების ანგარიშს, რომლებსაც საბჭო მიიღებს არჩევნების განმავლობაში.

ქარხანა-მაღაროების ელექტროფიკაცია

ჭიათურის სამრეწველო რაიონში არსებული შავი ქვის სარეცხი ქარხნები მოძრაობაში მოჰყავს შინაგან წვის ძრავებს.

ძრავების მოტორები მეტ წილად დაძველებულია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს წარმოებაზე.

მაღაროებიც ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან განათების მხრივ. ელექტრო-ხაზი გაყვანილია მხოლოდ პერევისის მაღაროებში. და. ნარჩენ მაღაროებში ხმარობენ ჩვეულებრივ ნავთის ლამპებს.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა დაამუშავა ქარხანა-მაღაროების ელექტროფიკაციის პროექტი.

ელექტრო-ენერგია ქარხანა-მაღაროებისათვის მიღებული იქნება ქალაქის ცენტრალურ ელეტრო-სადგურიდან.

მარგანეცის ტრესტის მექანიკური სახელოსნო

მარგანეცის ტრესტს ქ. ჭიათურაში რკ. გზ. სადგურის ახლო აქვს მოწყობილი მექანიკური სახელოსნო, სადაც მზადდება სხვადასხვა მანქანების ნაწილები. სახელოსნო უმთავრესად ემსახურება ქვის სარეცხ ქარხნებს. ამ ქარხნების რემონტთან დაკავშირებით, სახელოსნოში მიმდინარეობს დიდი მუშაობა.

სახელოსნოშივე სწარმოებს მადანის საზიდავ ვაგონეტკების შეკეთება-გადაკეთება.

სახელოსნოში მუდმივად მუშაობს 16 მუშა, ამას გარდა სახელოსნოს ჰყავს გაგზავნილი ქარხნებში სამუშაოდ 25 მუშა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელოსნოს აქვს დიდი მნიშვნელობა ტრესტისათვის, იგი არ არის სათანადოდ მოწყობილი, სახელოსნოს არ აქვს ვენტილიატორი, რაც მთავარია, სახელოსნოში არ არის დაგებული იატაკი, რაც ცუდად მოქმედობს მუშების ჯანმრთელობაზე.

ჭიათურის თეატრი

ჭიათურის თეატრის დასი მოკლე ხანში საგასტროლოდ გაემგზავრება ქ. ზესტაფონში, სადაც დაჰყოფს ერთ თვეს.

დასი თან წაიღებს თავის დეკორაციებს და კოსტიუმებს.

ქრონიკა

საარჩევნო კომისიების თავჯდომარეთა თათბირი გადადებულია

ცაკის მიერ 26 იანვრისათვის მოწვეული სამაზრო და ავტონომიურ რესპუბლიკების საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი გადადებულია პირველი თებერვლისათვის.

საქ. პროფსაბჭოს პლენუმი

შაბათს, 26 იანვარს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში შესდგება ს. პ. კ. ს. საქალაქო პლენუმი, რომელზედაც მოწვეული არიან პლენუმის, კავშირების ც. გამგეობათა და ფაბქარკომების წევრები.

დღის წესრიგში სდგას ერთი საკითხი: ამხ. მახარაძის მოხსენება პროფკავშირთა სრ. საკავშირო მერვე ყრილობის შედეგების შესახებ.

გეოლოგიურ სამუშაოთა გეგმა

სმუს სამთო განყოფილება შეუდგა საზაფხულო სეზონში ჩასატარებელ გეოლოგიურ სამუშაოთა კალენდარული გეგმის დამუშავებას.

ზაფხულის განმავლობაში უკვე დაწყებულ გეოლოგიურ გამოკვლევათა გარდა დამთავრებისა. განზრახულია დაწყებულ იქნეს მუშაობა სხვადასხვა ახლად აღმოჩენილი მადნების გამოსაკვლევადაც.

შაგიამანის შემოზიდვის შესახებ

რადგანაც 1927—28 წ. შაგიამანის შემოტანის საქმეში ადგილი ჰქონდა დეფექტებს, სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო მიეთითოს „ზაქსელმაშსა“ და სამხედრო-ქიმიურ ტრესტს შაგიამანის შემოტანის მიმდინარე წლის გეგმის სწორი შესრულების აუცილებლობაზე, გეგმაში გათვალისწინებული ვადების, რაიონების და სტანდარტების დაცვით.

ეთხოვა გზათა—მიმოსვლის სახ. კომისარიატს, რათა შაგიამანის სეზონური სამკურნალო მნიშვნელობის გამო, იგი გადმოგზავნილ იქნეს სასწრაფო წესით.

თბილისის აღმასკომში

◆ **10.200 მანეთი ეპიდემიებთან საბრძოლველად.** თბილისში საბავშო ეპიდემიებთან საბრძოლველი ფონდის გასაძლიერებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 10.200 მან.

◆ **საბაზრო ადგილების კეთილმოსაწყობათ.** კომუნალურ განყოფილებას დაევალა გამოყოს კომისია საბაზრო ადგილების კეთილმოწყობის საკითხების დასამუშავებლად.

◆ **სავაჭრო პუნქტების გახსნის წესი.** თბილისის აღმასკომის დადგენილებით ქალაქში ახალი სავაჭრო პუნქტების გასახსნელად ყოველ ცალკე შემთხვევაში ნებართვა აღებული უნდა იყოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილებისაგან.

◆ **აკაკი წერეთლის საფლავის შეკეთება.** აღმასკომმა სამაზრო საფინანსო განყოფილებას დაავალა გადასდოს საჭირო თანხა აკაკი წერეთლის საფლავის შესაკეთებლად.

◆ **დოტაციის გადიდება.** თბილისის აღმასკომმა ბავშთა მეგობართა საზოგადოებას წლიური დოტაცია გაუდიდა 970 მანეთამდე.

სხვადასხვა

◆ **სპეციალისტების აღრიცხვა.** შრომის კომისარიატი სცნობით უკვე დამთავრებულია სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა აღრიცხვა.

◆ **ადგილკომების გადარჩევა.** პროფსაბჭოს ცნობით თბილისში დამთავრდა ადგილკომების გადარჩევა. თბილისში სულ გადარჩეულია 469 ადგილკომი.

◆ **წითელი ჯვრის კურსები.** წითელი ჯვარის საზოგადოება შეუდგა მუშაობას სათნოების დათა მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსების მოსაწყობათ.

ხელოვნება

ჭიათურის თეატრი

„გუშინდელნი“.—შ. დადიანის. დადგმა კ. ანდრონიკაშვილის

ჭიათურის თეატრის ახლად მოწყობილმა ბრუნავმა სცენამ შესაძლებლობა მისცა რეჟისორ კ. ანდრონიკაშვილს დაედგა „გუშინდელნი“ სრულიად ახალი ფორმით; ყოველი მოქმედება დაყოფილია რეჟისორის მიერ რამდენიმე ეპიზოდად, რაც უფრო ამუქებს კომედიის შინაარს.

მსახიობების მიერ კომედია შესრულებულია ცოცხლად და ყოველი ტიპი დამუშავებულია სწორად.

მსახიობი ინასარი (მაზრის უფროსი), შ. ჯაფარიძე (თავადი კოწია) თ. კიკნაძე (ქნეინა ჩიტუნია), თ. ჩარკვიანი (ფაცია)—ყველანი საუკეთესოდ ასრულებდნენ თავის როლს.

კარგი იყო კ. ლოლაძე გლეხ ჯიბოს როლში.

ადგილობრივი სცენის მოყვარეებიდან აღსანიშნავია ზ. ლეჟავა (მამასახლისი) და ნ. კაკაბაძე (კეკელა).

ე. ხ.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

ოპერა „ამირანი“

სახელ. ოპერაში მორიგ პრემიერად მიდის მელვინეთ-უხუცესის ოპერა „ამირანი“, რომელიც დაიდგმება თებერვლის შუა რიცხვებში. ოპერის დადგმა მინდობილი აქვს რეჟისორ კოტე მარჯანიშვილს. დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზების დამზადება დაევალა მხატ. დავ. კაკაბაძეს. ოპერა წავა ივ. ფალიაშვილის ლოტბარობით ბალეტი დადგმული იქნება ბალეტმეისტერ სერგეევის მიერ.

მთავარი პარტიები შემდეგნაირად არის განაწილებული: ბაყბაყ-დევი—ჩაშაკაშვილი, დოლიძე; ცამ-ცუმი—ქუმსიაშვილი, ამირანი—ისეცკი, გოცირიძე, ბადრი—სვანიძე, შავერდოვი; უსუპი—ჭურხული, გარიბოვი; დარეჯანი—რომანოვსკაია, მზე-ჭაბუკი—ივჩარენკო, პირიმზე—კარგარეთელი.

ქუთაის-ბათომის სახ. დრამის გასტროლები

ქუთაის-ბათომის სახ. დრამის გასტროლები თბილისში დაიწყება 3 აპრილს. გასტროლებზე დასწრება შეიძლება აბონიმენტებით. ამ დღეებში ოპერის დირექცია გამოუშვებს 40 პროც. შეღავათიან აბონიმენტებს თეატრის ყველა პრემიერაზე დასასწრებლად.

რკინისგზებზე

ღერძის გატეხა

ველი-ნავთლუღს შუა მიმავალ მატარებლის ერთ-ერთ ცისტერნას გაუტყდა ღერძი. ცისტერნა ლიანდაგიდან გადავარდა. ამ შემთხვევის გამო მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილი იყო ექვსი საათის განმავლობაში. სახალხო მატ. № 3 ნავთლუღიდან წავიდა 3 საათის და 38 წუთის დაგვიანებით.

რელსი გასკდა

სადგ. ქანიდან მატარებელი № 102-ს გაგზავნის დროს სადგურის პირველ ხაზზე გასკდა რელსი. ამის გამო ლიანდაგიდან გადავარდა სამი ვაგონი და მათ გარდა დაზიანდა კიდევ—ოთხი.

მოძრაობა არ შეფერხებულა.

სადგურის მორიგის დაუდევრობა

სადგ. ზერანში სადგურის მორიგე ფატიგორეევმა ისარი გადაიყვანა მიმავალ მატარებლის ქვეშ. ამას შედეგად მოჰყვა ორი ცისტერნის გადავარდნა ლიანდაგიდან და სადგ. კიურაქ-ჩაისაკენ ხაზის დაკეტვა.

შემთხვევამ შეაფერხა მატარებლების მიმოსვლა.

ძლიერი ქარი

უკანასკნელ დღეებში გზის დასავლეთ უბანზე ქრის ძლიერი ქარი. ქარი აფერხებს მატარებლების მიმოსვლას.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 24 იანვარი

გადაცემა რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის რადიო-სტუდიიდან.

პარასკევი, 25 იანვარი

პარასკევს 25 იანვარს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

საუბარი ციკლიდან „ტეხნიკა მასებს“; ამხ. გიორგაძის მოხსენება „წითელი არმია და საბჭოების გადარჩევა“; თურქული რადიო-გაზეთი; ტეხნიკური კონსულტაცია; ჯანსახკომის მოხსენება—„ყვავილი და მისი საწინააღმდეგო აცრა“; საუბარი გლეხებთან ოსურ ენაზე; ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; პიროგოვის კონცერტის ტრანსლიაცია სახელმწიფო ოპერიდან.

სასამართლო

ავადმყოფის ცემა

გასული წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში თიანეთის თემის მცხოვრებს **სოლომონ იაკობის ძე მჭედლიშვილს** თბილისში მოუხდა ჩამოსვლა რამდენიმე დღით.

მჭედლიშვილი დაავადებული იყო ქრონიკული ეპილეპსიით და დრო გამოშვებით ბნედა მოსდიოდა. მოქ. მჭედლიშვილს თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე მოუსწრო ბნედამ და უგრძნობლად გაიშხლართა ფილაქანზე. ბნედამ ძალიან მძიმე ხასიათი მიიღო. გამვლელმა მოქალაქეებმა უცნობი მოქალაქე გრძნობაზე ვერ მოიყვანეს. ამბავი ეცნობა მილიციას რომელმაც გამოიძახა სასწრაფო დახმარება და მჭედლიშვილი გადაგზავნილ იქნა ქალაქის საავადმყოფოში.

მორიგე ექიმმა შემოწმების შემდეგ საჭიროდ სცნო ავადმყოფის გადაგზავნა პსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში, სადაც მოქ. მჭედლიშვილი მძიმე და მშფოთვარე ავადმყოფთა ოთახში იქნა მოთავსებული.

პირველი დღე უგრძნობელ მდგომარეობაში გაატარა ავადმყოფმა. ავადმყოფს დაუნიშნეს სპეციალური მეთვალყურე რომელსაც დავალებული ჰქონდა დამამშვიდებელი წამლების მიწოდება მისთვის და მეთვალყურეობა.

ასეთი „მეთვალყურე“ გახლდათ **შალვა მარგიევი**, მარგიევი გაფრთხილებული იყო, რომ თუ ვინიცობაა ავადმყოფი წამოდგომას, ან გავლას მოინდომებდა, არ დაენებებია და დაემშვიდებია.

მეორე დღეს ავადმყოფმა მოიხედა, დაეტყო გრძნობაზე მოსვლის ნიშნები. მესამე დღეს ავადმყოფი უკვე სრულ გრძნობაზე იყო. ისე, რომ თავისუფლად შეიძლებოდა მისი გამოწერა საავადმყოფოდან.

მჭედლიშვილი წამოდგა ზეზე და მოისურვა დერეფანში გამოსვლა წყალის დასალევად. მიადგა თუ არა კარებს, „მეთვალყურე“ სანიტარმა მარგიევმა ისეთი მაგარი მუშტი უთავაზა მჭედლიშვილს, რომ უკანასკნელი ბარბაცით კედელს მიაჯახა.

— რას მერჩი კაცო, რა დაგიშავე,—წაილუღლუღა მჭედლიშვილმა და ისევ მიადგა კარს.

— მე ნაბრძანები მაქვს გარეთ არ გამოგიშვა!

— თავი გაუტეხეთ. ხომ არ უბრძანებიათ? მე ვნახავ შენს უფროსს და მოვახსენებ, როგორ ასრულებთ თქვენს დავალებას.—სთქვა მჭედლიშვილმა და სცადა გარეთ გამოსვლა.

მარგიევი ეძგერა წელში მჭედლიშვილს და მოუნდომა წაქცევა, მაგრამ მჭედლიშვილმაც მოიკრიბა ძალ-ღონე, მიაძახა: ღონეზე თუა საქმე, ცოტა მეც შემიძლია და მაგრად დაანჯღრია მარგიევი.

— აბა ბიჭებო, მომეხმარეთ!—გასძახა „მოწყალების ძმებს“ მარგიევმა.

იმ წამსვე გაჩნდნენ სანიტარები **ივანე გონიევი და არშაკ ჯანოიანცი**, რომლებმაც ხელთ იგდეს მჭედლიშვილის თავი, ფეხებში შეუძვრა მარგიევი და ასე სამივემ შეერთებული ძალ-ღონით ძირს მოიქციეს მჭედლიშვილი, შედგნენ ფეხით და ზილეს, ერთმა კარს ჩამოაძრო ვეებერთელა რკინა და დაუშინა მჭედლიშვილს. დიდხანს ურტყამდნენ „მოწყალების“ ძმები ახალ მოსულიერებულ ავადმყოფს. ბოლოს მოეშვენ, როცა მჭედლიშვილს გრძნობაც დაეკარგა და მოძრაობაც აღარ შეეძლო.

ასე „დააწყნარეს“ მშფოთვარე ავადმყოფი.

მეორე დღეს, გრძნობაზე მოსვლის შემდეგ მჭედლიშვილმა უამბო ექიმს ყველაფერი, რაც თავს გადახდა.

„მოწყალების“ ძმები მოხსნილ იქნენ სამსახურიდან და მათ წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. შემოწმების დროს მჭედლიშვილის სხეული სულ დალურჯებული აღმოჩნდა ცემისაგან.

ბოროტმოქმედთ გაასამართლებს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო.

მიწის კანონის დარღვევისათვის

საჩხერის უბნის სახალხო სასამართლომ მიწის კანონის დარღვევისათვის გაასამართლა ადგილობრივი მცხოვრებლები **ივანე ფალავანდიშვილი და მეთოდი კირვალიძე.**

ყოფილი აზნაური ივანე ფალავანდიშვილი ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინად აჭარბებდა საქმეს თავისი მამულის ფულზე „გადასახურდავებლად“. მაგრამ ეს გაუგო ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ფალავანდიშვილს კუდზე ნაცარი ჩაუყარა, თუმცა თავისი განზრახვა გულიდან არ ამოუღია.

მის წინააღმდეგ მიწის გაყიდვის ცდის გამო სასამართლოშიც იყო აღძრული საქმე, მაგრამ გაქნილმა ნაზნაურალმა პასუხისმგებლობიდან თავი დაიძვრინა. მოახერხა მოწმეების საშუალებით იმის დადასტურება, რომ თითქოს ის თვითონ ამუშავებს თავის მიწას.

ამის შემდეგ ფალავანდიშვილი დაცდის პოლიტიკას დაადგა. მიყუჩდება ყველაფერი და შემდეგ—ჩემსას ვიზამ.—ფიქრობდა ის.

გასული წლის გაზაფხულზე ფალავანდიშვილის მამულს გულმოდგინედ სწმენდდა **მეთოდი კირვალიძე.** ნაზნაურალმა გაასაღა მიწა, რომელსაც დაეპატრონა კირვალიძე.

ხელისუფლებას არ გამოეპარა ფალავანდიშვილის ოინი. დაპატიმრებულ იქნა როგორც ფალავანდიშვილი, ისე მყიდველი კირვალიძე.

ორივეს მიესაჯა ექვს-ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა. მიწა გადაირიცხა სახაზინო ფონდში. გაქნილმა ნაზნაურალმა იმდენი მაინც მოახერხა, რომ მიწაში აღებული ფული დაფარვა შესძლო. სასამართლომ ვერ გამოარკვია თუ რამდენი აქვს მიღებული ფალავანდიშვილს მიწის ფასად. ამიტომ ფულის გადახდევინების საკითხი ღიად იქნა დატოვებული.

გერ.

შემთხვევები

მთის ჩამოშვავება

ყოფილ მე-9-რე სამილიციო უბანში, რკინის გზის გადაღმა, პისარევის ქუჩაზე ჩამოშვავდა მთა, რომელმაც მთელი გზა შეკრა. ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერებულია.

მოკვლის განზრახვა

სამშაბათს, 22 იანვარს მეშვიდე სამილიციო უბნის უფროსს ამხ. მამალაძეს ქუჩაში დებოშის მოხდენისათვის განუზრახავს გრიგოლ ლევანის ძე მუჩაიძის (მცხ. მალაკნის ქუჩა № 36) დაპატიმრება. ხულიგანმა წინააღმდეგობა გაუწია მას და მოკვლის მიზნით სამჯერ ესროლა ნაგანის სისტემის რევოლვერიდან. ამხ. მამალაძე უვნებლად გადარჩა. მუჩაიძე დაპატიმრებულია.

დაღრჩობა

მტკვრის პირას (ავლაბრის ხიდის მახლობლად) იპოვნეს დამღრჩვალი მამაკაცის გვამი. დამღრჩვალი აღმოჩნდა ალექსი გრიგოლის ძე სმირნოვი (მცხ. პეტრიწის მოედანი № 3). კვლევა-ძიება სწარმოებს.

ხანძარი

23 იანვარს, მატინოვის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 25. სასწრაფოდ გამოწვეულმა ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ხანძარი ჩააქრო 15 წუთში.

—ამავე დღეს ხანძარი გაუჩნდა აგრეთვე მოქ. ზაქარია ჩიგოგიძის ბინას (ანტონოვის ქუჩა № 7). ხანძარი ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა. როგორც გამოირკვა, ხანძარი გაჩნდა საკვამლე მილის გაუწმენდაობის გამო.

დაჭრა

რესტორან „ნად კუროი“-ში (კარლ-მარქსის მოედანი) ქეიფობის დროს ვიღაც ბოროტმოქმედმა რევოლვერის ტყვიით მსუბუქად დასჭრა ქერამ მეხტი-ოღლი. დაჭრილი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

— სოფ. უჯარმაში (სართიჭალის სამილიციო უბანი) სტეფანე მგალობლიშვილმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა კოტე დოლგლიშვილი (მცხოვრები სოფ. უჯარმაში). მგალობლიშვილი დაპატიმრებულია.

დაჯახება

გუშინ გასტუმ ახმედ-ოღლის ურემს რუსის ქუჩაზე დაეჯახა ტრამვაის ვაგონი. ურემს დაუზიანდა ერთი ბორბალი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ჯიბგირობა

გუშინწინ ექ. მოსე ნიკიტას ძე მოსესოვთან ბინაზე (კალინის ქ. № 21) მოსულა სამი უცნობი პირი. ექიმმა გასინჯა უცნობი მოქალაქე და გამოუწერა წამლები. საუბრის დროს ჯიბგირებმა ექიმს შეუმჩნევლად ჯიბიდან ამოაცალეს 52 მანეთი და სხვადასხვა საბუთები.

ექ. მოსესოვმა ფულის დაკარგვა შეამჩნია ჯიბგირების წასვლის შემდეგ.

ქურდობა

ბორის ლოგინოვს კინო „სოლეი“-ში მოპარეს პალტო.—გაქურდეს მარიამ სინაურიძის ბინა (არტილერიის ქუჩა № 5) წაიღეს 200 მანეთის ტანსაცმელი.—ნიკოლოზ პოლუმორდვინოვის ბინიდან (ბროსეს ქუჩა №5) მოიპარეს 100 მანეთის ნივთები.—ისკანდარ ალიევს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს ფული და სხვადასხვა საბუთები.—დიმიტრი ოლოვენნიკოვს სასტუმრო „ორიანტში“ მოპარეს 95 მანეთი და 505 მანეთის ძვირფასი ნივთები.—ალექსანდრე გაჩეჩილაძის მუშათა სასახლეში მოპარეს პალტო.—გაქურდეს მარიამ საიპოვის ბინა (ლერმონტოვის ქუჩა № 3); წაიღეს 150 მანეთის ნივთები.

პატიმრის გაქცევა

მეშვიდე სამილიციო უბნის სამორიგეო ოთახიდან გაიქცა პატიმარი ამაიკ არაქელის ძე ხაჩატუროვი.

თავდასხმა და გაუპატიურება

თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიღებული ცნობებით, საგარეჯოს სამილიციო უბანში ორი ბოროტგამზრახველი თავს დაესხა მ. ქ—ის ქალს. თავდამსხმელებმა სიკვდილის მუქარით გადარცვის ქ-ი და თანაც გააუპატიურეს. საგარეჯოს მილიციამ თავდამსხმელები დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: დათიკო ერატიაშვილი და ქიტა აზარიაშვილი (სოფ. საგარეჯოს მცხოვრებნი).

მეცნიერება და ტეხნიკა

როგორ ხდება ჩინური დეპეშების გადაცემა

სანამ გამოიგონებდნენ შორ მანძილზე სურათების გადაცემას რადიოთი, ჩინური დეპეშების გადაცემა დიდ საძნელო საქმეს წარმოადგენდა. ჩინურ ენაში თითეული სიტყვა გამოიხატება განსაკუთრებული, ზოგჯერ მეტად რთული იეროგლიფით, რომლის გადაცემა ჩვეულებრივი ტელეგრაფის აპარატით შეუძლებელია. ამიტომ უკანასკნელ დრომდე ჩინური დეპეშების გადაცემა ხდებოდა სპეციალური ნიშნების საშუალებით—ცალკე იეროგლიფს მაგიერ გადაიცემოდა ციფრი, რომელიც ამ იეროგლიფის ნიშანს წარმოადგენდა. სურათების გადამცემ აპარატის გამოგონების შემდეგ, ჩინური დეპეშების გადაცემის საქმე მეტად გამარტივდა. ჩინურად დაწერილ დეპეშას აპატარავებენ (ფოტოგრაფიულად) და შემდეგ დაპატარავებულ სურათს გადასცემენ რადიოთი. მიმღებ სადგურზე ფოტოგრაფიას ადიდებენ ნორმალურ ზომამდე და გადასცემენ ადრესატს. დეპეშების ამგვარი წესით გადაცემა სწარმოებს მუკდენ-პეკინს შორის.

შრომის გმირები

მოთხოვნილება მუშა-ძალზე

დღეს, 24 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

მშენებელ მუშაკთა სექციიდან: გიორგი მრევლიშვილი, [illegible] ზაგრაძიშვილი.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ნინო კვალიშვილი, სარქის დიმოევი, ჰუსეინ მამედოვი, რაფიელ შუბაშვილი, პეტროს მინასიანი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ალექსანდრე გვალია, თამარ სოლოღონოვა, მარიამ სუბიაშვილი, კონსტანტინე მუხრანსკი, მიხეილ სანაძე, ნატალია ბეგანოვა, ლუარსაბ მაყაშვილი.

რკინის გზელთა სექციიდან: მიხეილ სტაცენკო, ანდრო საბაშვილი, ანნა როლოკევიჩი, მიხეილ ბარბაქაძე, სერგო კოლადაშვილი, ალექსი პაპოვი, გაბრიელ ჭანიშვილი, ნიკოლოზ ოთარაშვილი, შიო დემეტრაშვილი, იოსებ მერაბიშვილი, ივანე ღვინიაშვილი, იგნატი თედიევი, გიორგი ფუხაევი, ზაქარია იმნაიშვილი.

მელსექციიდან: ვალენტინა მარტინოვა, იოველ მარუაშვილი, ავეტის სარქისოვი, გ. გუკასოვა, ოსანა კამოევა-სტეპანოვასი, სიმონ პრიმანი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ 24 იანვარს, საღამოს ექვს საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის უჯრედთა პასუხისმგებელი მდივნების თათბირი.

უჯრედთა პასუხისმგებელი მდივნების გამოცხადება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

დღეს, საღამოს 6 საათზე მუშათა ახალ კლუბში შესდგება კომუნისტ-ქალების საერთო საქალაქო თათბირი.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს გაერთიანებულ კომუჯრედის წევრ და კანდიდატ ქალებს, გამოცხადდნენ დღეს, საღ. 6 საათისათვის. მუშათა ახალ კლუბში კომუნისტ-ქალების საქალაქო თათბირზე.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. გაერთიანებული უჯრედთა ბიურო-კოლექტივის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, შუადღის 12 საათზე.

ბიურო-კოლექტივის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

დღეს, 24 იანვარს, ნაშუადღევის პირველ საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივის სააგიტაციო-საპროპაგანდო კომისიის სხდომა, რომელზედაც გარდა წევრებისა უნდა დაესწრონ ამხ. აკაკი კალაძე და იოსებ ბაჯაძე.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე: დარია, შვილები: ვანო, ელენა, ნატაშა, ალექსანდრე, კოლია, რძალი სონია და შვილიშვილები: ვახტანგი და თინა აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს

სოლომონ დიმიტრის-ძე კანდელაკის

უეცრად გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 24 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება—საკუთარ ბინიდან აუზის ქ. № 8. 2—2 (ე)

ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ მოგვტაცა ჩვენი პატარა და საყვარელი

ვაჟიკო

რასაც ვაუწყებთ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ გულმოკლული მშობლები: ელენე და გიორგი მიქაბერიძე და დაი თინიკო, ბებია ანო შვილებით თამარ და ვახტანგ ნათაძე. გამოსვენება ხუთშაბათს, იანვრის 24-ს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, საკუთარ ბინიდან, მთაწმინდის შესახვ. № 2. 216

ოლღა დავითის ასული შვილებით—გოგუცა, ნინა, ჟულიეტა, დათიკო და კოწია ქავთარაძეები სიძეებითურთ—ლაზარე შურღაია და ვასო დონდუა აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი

ანუშკა ასლანის ასული ქავთარაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 3 ნახ. საათზე, პლეხანოვის პროსპ. № 93
223

ღრმად დამწუხრებული და გენო ზედელაშვილისა, ძმით მალხაზით და ქმარშვილით; მამიდა ნინო ტარასაშვილისა ქმრით და შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 22 იანვარს დღის 4 საათზე გარდაიცვალა საყვარელი

ლიზიკო ვლადიმერის ასული შალაშვილი

დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე ხუთშაბათს, 24 იანვარს, გამოსვენება ყოფ. ალექსანდრის საავადმყოფოდან დღის 3 საათზე. 224

სანდრო ივანესძე ყარალაშვილი მეუღლით საშა (ალექსანდრა) და შვილებით—არჩილი, ნიკო, გიორგი, ქრისტინე, ნინა და ანიკო უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამენ მათი საყვარელი სარძლოს

ლიზიკო ვლადიმერის ასული შალაშვილის

უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა დღეს, 24 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე კუკიის სასაფლაოზე.

დედა მატრონე და ძმა დათიკო იუწყებიან, რომ ტრაგიკულად გარდაცვალებულ

ნესტორ დუმბაძის

ხსოვნის აღსანიშნავად სოფ. შემოქმედში 25 იანვარს გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი
მინიონი
პროლეტარი ავლაბარი
პალასი
სოლეი
არფასტო
აპოლო
დარბაზი

ლენინის გარდაცვალებიდან ხუთი წლის თავის შესრულების გამო
5 წუთი
საქართვ. სახკინმრეწვის ნაწარმოები.

საუკეთესო ფილმი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან აზერბეიჯანის სახ. კინო მრეწველობის ნაწარმოები
გილანის ასული
სლეზინის რომანის „ბრინჯაოს მთვარე“-ს მიხედვით

მონტი ბენკსი ახალ კომედიაში **ნამდვილი ჯენტლმენი**

უკანასკნელად თბილისში **ჯანყი** პირველი სერია

0—17

იჩქარეთ ნახოთ!
პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი რამ, რაც ჯერ არავის უნახავს!
სამხეცე ცხოველთა სამყარო
ჟოკეი კლუბის (ყოფ. არტოს) ბაღში
ჩამოყვანილია იშვიათი ეკზემპლიარები
მფრინავი ძაღლები
ყველამ უნდა ნახოს ეს მეტად იშვიათი ეკზემპლიარები.
სამხეცე ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?
ნ. 2082 ს—7.



ცირკი
კოლოსი
ტელეფ. № 8—64

დღეს
საანტრაქციონო პროგრამის განახლება
3 მოქმედებათ
ჰიპნოტიზიორ **ორნალდოს**
(მასიური ჰიპნოზი) გამოსვლა
მონაწილეობს აგრეთვე **ეროსი** და მთელი დასი
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

3—2 ნ. 2157

დღეიდან კინო-თეატრებში:
პალასი-სოლეი-არფასტო
მხატვრული ფილმი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
გილანის ასული
ი. სლეზინის რომანის „ბრინჯაოს მთვარე“-ს მიხედვით
დადგმა რეჟისორ ლეო მურის, ოპერატორი ი. ფროლოვი
ნ. 2165 აზერბეიჯანის სახ. კინომრეწველობის ნაწარმოები.

საჩქაროდ
იყიდება
№ 1
ეტლი, 3 ცხენი და 2 კვიცი
პირობების გასაგებად მიმართეთ
სახვაჭრობას
კეცხოველის ქ. № 5.
ნ. 2164

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.)
1929 სასწ. წლის მათემატიკასა და რუსულ ენაში
უმაღლეს სასწავ., 9 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.
პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ. კუთხე 25 | 5.
ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.
214 6—1

ამ დღეებში
საუკეთესო კინოებში
მსოფლიო ფილმი
კატორღა
რეჟისორი ი. რაიზმანი
„გოსვოენკინო“-ს ნაწარმოები.
ნ. 2165

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი **დ. აშორდია**

ამით აცხადებს, რომ 1929 წ. 31 იანვარს დილის 12 საათზე ქალაქ ქუთაისში ჯულაშვილის ქუჩაზე № 49 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის შალვა კოლუაშვილის მოძრავ ქონებას: ქვეშაგების ყუთს, კამოდს, მაგიდას, სელის სკამებს, ფეჩს, სპილენძის ტაშტს, სარკეს და ქვაბს. შეფასებულს 94 მანეთად - ალექსანდრე ვასილის-ძე ყორყოლიანის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება—უნდა წარმოადგინოს 10 პროც.
ნ. 2163

გაზეთ „კომუნისტი“-ს წლიურ ხელისმომწერთა (თბილისის) საყურადღებოთ

ცხადდება, რომ მათ აუცილებლივ უნდა შემოიტანონ მთავარ კანტორაში

თებერვლის მორიგი გადასახადი **1 მ. 50 კ.**

იანვრის დამლევამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა 1-ლ თებერვლიდან შეწყვეტილი იქნება.

პროვინციის წლიური ხელისმომწერლებმა თებერვლის მორიგი გადასახადი 1 მ. 50 კ. მთლიანად, ფოსტის ხარჯების გამოუკლებლივ, აუცილებლივ უნდა გამოუგზავნონ მთავარ კანტორას თბილისში (რუსთაველის პრ. № 34) იმ ვარაუდით, რომ ამ უკანასკნელმა იგი მიიღოს იანვრის 28-მდე, წინააღმდეგ შემთხვევაში—თებერვლის პირველიდან მათაც შეუწყდებათ გაზეთ „კომუნისტი“-ს გზავნა.

0—2 „კომუნისტი“-ს კანტორა

ექიმი
ქ. ხ. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. №10

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგან სნეულება—სპეციალ ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით.
ნ. 25—11

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 „ ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოესი“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—3

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 21—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილა-საღამოს.
ნ. 8 25—1

ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—1

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედისა № 47, ელშმენი № 5—90.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექ. **დ. ლ. თევზაძე**
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ
საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.
ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ა. გ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 109 25|1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეშხაპუნება „914“, ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე
საღამ. 7 ნახ.—9 საათ.
ქალები და ბავშვები დღისის 2—4 საათამდე
მისმართი: ივანოვ-მარდალეიშვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბალათურიასი
200 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25-12

დაჰკარგვა: ინვალიდობის მოწმობა პაულინა საინინის სახელზე, ჩ. გ. 215

დაჰკარგვა: ქუთაისის მაზრის სამხედრო კომისარიატიდან მოცემული სამსახურის წიგნაკი ფ. № 6 შალვა ირაკლისძე გიგატაძის სახელზე, ჩ. გ. 212

დაჰკარგვა: კომკავშირის მანდატი № 41045 თამარა ჯოჯუას სახელზე, ჩ. გ. 213

დაჰკარგვა: პირადობის მოწმობა მესამე რაიონის მიერ გაცემული ეუდა დათიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 217

დაჰკარგვა: დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 7280, თედორე გიორგის ძე მერიცოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2163

დაჰკარგვა: აღმშენებელთა კავშირის წიგნაკი № 14/25669 და პირადობის მოწმობა ირაკლი გრიგოლის ძე მაღალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 212

დაჰკარგვა: პირადობის მოწმობა № 26 ალექსანდრე გიორგაძის სახელზე, ჩ. გ. 210

დაჰკარგვა: თბილისის მუშკოოპის საწევრო წიგნაკი სტეფანე ბუთლიაშვილის სახელზე ჩ. გ. 211

დაჰკარგვა: წალენჯიხის უმაღმასკომიდან მიღებული მოწმობა სატყეოდან საამშენებლო ხე-ტყის გამოტანის შესახებ, სამხედრო აღრიცხვის ნუსხა, მონადირეთა კავშირის საწევრო წიგნაკი, ქვითარები დამცველთა კოლეგიაში ნოემბრის და დეკემბრის საწევრო გადასახადის შეტანის შესახებ და ზუგდიდის „ეპოს“ შემოსავლის ორდერის ასლი 100 მან. შალიკო თვალთვაძის სახელზე, ჩ. გ. 209

დაჰკარგვა: პირადობის მოწმობა № 1514551 გაცემული ა | კ. რკინის გზების სამმართველოს მიერ დავით იოსების ძე პატარიძის სახელზე, ჩ. გ. 219

დაჰკარგვა: ქ. ზესტაფონის ტეხნიკუმის დამთავრების მოწმობა № 35 თამარა ერასტის ასული კაპანაძეს სახელზე, ჩ. გ. 218

დაჰკარგვა: კავშირის წიგნაკი № პაპა ვეფხვაძის სახელზე, ჩ. გ. 222

დაჰკარგვა: კავშირის წიგნაკი № 8927 ლაციკო ლებანიძის სახელზე, ჩ. გ. 222

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, ცამის ქუჩა № 63. მთავლიტი № 904.